

თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები

აკად. მ. ბროსესადმი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა,
შენიშვნები და საძიებლები დაურთო

სოლომონ ეუბანეიშვილმა

1

თეიმურაზ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი მიმოწერა აკად. მ. ბროსესადმი (1802—1880). დასახელებული წერილები საყურადღებო ცნობებს შეიცავენ საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. წერილებში ავტორს მოყვანილი აქვს მის დროს არსებული შეხედულებანი ამა თუ იმ ლიტერატურულ ძეგლზე და მისი ავტორის ვინაობაზე. ძვირფას ცნობებს გვაწვდის აგრეთვე XVIII—XIX საუკუნეების ქართველ მოღვაწეებზე.

წინასიტყვაობა

თეიმურაზ ბაგრატიონი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტის შვილი. დაიბადა 1782 წ. 23 აპრილს დედამისი ქეთევან ანდრონიკაშვილი მის ძეობაზე გარდაიცვალა. პატარა თეიმურაზზე მზრუნველობა და მეთვალყურეობა იკისრა მისმა უფროსმა ძმამ დავითმა.

სწავლა-განათლება თეიმურაზს მიაღებინა ცნობილმა განათლებულმა პირმა, თელავის სემინარიის რექტორმა, დავით ალექსიშვილმა.

თეიმურაზ ბაგრატიონი მრავალმხრივ საყურადღებო პიროვნებაა: ის მომსწრე და მონაწილე იყო იმ არეულობისა და შფოთვისა, რასაც ადგილი ჰქონდა გიორგის გარდაცვალების შემდეგ.

1810 წლის 16 ოქტომბერს თეიმურაზი გადასახლდა რუსეთში და საცხოვრებლად დამკვიდრდა პეტერბურგში. ამ დროიდან იწყება თეიმურაზის ნაყოფიერი ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობა—იქ შეუდგა იგი საქართველოს წარსულის შესახებ მასალების დაგროვებას, ხელი მიჰყო თარგმნას უცხო ენებიდან და ლიტერატურული და მეცნიერული შრომების წერას. საამისოდ თეიმურაზს ხელს უწყობდა მომზადება და უცხო ენების ცოდნაც (თეიმურაზი ფლობდა რუსულს, სომხურს, ფრანგულს, ბერძნულსა და სპარსულს). 1821 წელს პარიზში დაარსდა საზოგადოება „Société Asiatique“, რომლის მიზანი იყო აღმოსავლეთის შესწავლა. ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული იყო ამ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი მარი ბროსე. ბროსემ წერილობითი კავშირი დაამყარა პარიზიდან როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მყოფ ისტორიკოსებთან¹.

¹ მ. ბროსეს მიმოწერა ჰქონდა საქართველოში ისტორიკოს პ. იოსელიანთანაც, უკანასკნელის „წერილები“ ჩვენ გამოვაქვეყნეთ რუსთაველის სახ. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში, წიგნი 1, გვ. 149—201, 1941 წ.

მარი ბროსეს კავშირი თეიმურაზთან თუ უფრო ადრე არა, ყოველშემთხვევაში, 1830 წლიდან მაინც ფაქტია. ამ წლიდან ჩანს თეიმურაზი „აზიური საზოგადოების“ თანამშრომლად, საზოგადოების ნამდვილ წევრად კი არჩეულ იქნა 1831 წელს. ამან წაახალისა თეიმურაზი. იგი მეტი ენერგიით შეუდგა მუშაობას. გარდა იმისა, რომ თეიმურაზი დიდ დახმარებას უწევდა მარი ბროსეს სამეცნიერო საქითხების ახსნა-განმარტებაში, თვითონაც ეწეოდა დამოუკიდებელ მეცნიერულ მუშაობას. თეიმურაზის მიერ მიწოდებულ ცნობებს მ. ბროსე ხშირად აქვეყნებდა თავისი კომენტარებით აღნიშნული საზოგადოების ორგანოში. „აზიური საზოგადოება“ ავალებდა [თეიმურაზს ზოგიერთი თხზულების რედაქტირებას, რასაც ის ხალისით ასრულებდა.

თავისი საქმიანობით „აზიურ საზოგადოებაში“ თეიმურაზმა საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა. კერძოდ, მან, როგორც აღვნიშნეთ, დიდი დახმარება გაუწია მ. ბროსეს, რომელიც თავის თავს თეიმურაზის მოწაფედ თვლიდა და მასწავლებელს დიდ პატივს სცემდა. 1837 წ. მ. ბროსემ თეიმურაზი წარადგინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „პოჩოტნი ჩლენად“. ეს წარდგენა იმავე წლის 29 დეკემბერს დაამტკიცეს.

ამას გარდა თეიმურაზი იყო „კოპენლაგენის [დანისის] სამეფოს ანტიკვართა შეკრებილების პირველ ჩლენთა შორისაც“.

ინტენსიური მუშაობა თეიმურაზმა დიდხანს ვერ აწარმოვა. იმ დროს (1836 წ.), როდესაც იგი თავაუღებლივ იკვლევდა „ივერიის“ ისტორიას, ავადმყოფობის გამო იცულებული შეიქმნა ერთი წლით შეეჩერებინა მუშაობა და უცხოეთში გამგზავრებულიყო სამკურნალოდ. 1845 წ. ის შეიპყრო წყალმანკის ავადმყოფობამ, რამაც იმსხვერპლა კიდეც 1846 წლის 23 ოქტომბერს.

დასაფლავებულია თეიმურაზი ლენინგრადში, ალექსანდრე ნეველის მონასტერში, თავისი ძმის—დავითის გვერდით.

როგორც აღვნიშნეთ, თეიმურაზსა და მ. ბროსეს შორის მიწერ-მოწერა 1830 წლიდან ფაქტია. ამ ხნიდან მოყოლებული 1837 წლამდე, სანამ მ. ბროსე პეტერბურგში გადმოვიდოდა საცხოვრებლად, თეიმურაზი და მ. ბროსე ერთმანეთს მიწერ-მოწერით იცნობდნენ. ამ მიწერ-მოწერიდან ჩვენამდის მოუღწევია თეიმურაზის წერილების საკმაო რაოდენობას. დაცულია ისინი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბროსეს ფონდში (6,29—32, 46—71) და საყურადღებო ცნობების შემცველია საქართველოს

ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე. მართალია, ზოგი ამ ცნობათაგანი აშკარად ზღაპრული ხასიათისაა, მაგრამ ბევრი რამ უსათუოდ ანგარიშგასაწევი და ნდობის ღირსია. თეიმურაზს მოყვანილი აქვს მის დროს არსებული შეხედულებანი ამა თუ იმ ლიტერატურული ძეგლისა და მათი ავტორობის თაობაზე (მაგ. საკითხი „აბდულ-მესიის“ შესახებ), რასაც არ შეიძლება მკვლევარმა ანგარიში არ გაუწიოს დღესაც. ამას გარდა, წერილები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან მე-18—19 საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, რაც სხვა წყაროებით ჯერჯერობით უცნობია (მაგ. ცნობები დავით რექტორზე). აღნიშნული წერილები ნათელ შუქს ჰფენენ აგრეთვე წინათ ექვის ქვეშ დაყენებულ ზოგიერთ საკითხს, ასე მაგ., ამ წერილებით საბოლოოდ მტკიცდება, რომ ნაშრომის „ცხოვრება და მოღვაწეობა უკანასკნელი მეფის ძის დავითის“ ავტორი არის თეიმურაზ ბაგრატიონი* და სხვ. წერილებს ვბეჭდავთ ავტორის მართლწერის დაცვით.

სოლ. ყუბანეიშვილი

* თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. პროფ. შ. მესხიას ამავე სახელწოდების ნარკვევი, რომელიც დაბეჭდილია კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი 1, გვ. 17—78, 1939.

უფ[ალო ბრო]სეტ!

ფრიად პატივის საცემელი ეპისტოლე თქუენი, აპრილის ლ-ს ქკ^ს ფიზ დაწერილი, შეკრებულთა ქართულთაგან წერილთა წიგნით ნაღვაწით თქუენითურთ, დიდად დიდებულსა და სიბრძნით გვრგვინოსანსა სამეუფოსა ქალაქსა პარიესა შინა აღბე-ქდული, მივიღევ კელითა უფლისა შარმუასითა¹, მახლობელთა ამათ ჟამთა მოსლვისა მისისასა, სამეუფოსა ამას ქალაქსა სანკტპეტერ-ბურლად.

ესე ვითარისა შემთხვეულებისათვის მრავლისა მხიარულები-თა აღივსო გული ჩემი, ვინაჲდგან ახლისა ამის ღირსსახსოვა-რისა გულსმოდგინებითა თქუენითა პირტულად მე მივიღე შრო-მილი შენი და ეგრეთვე წიგნი მოწერილი ბუნებითა ენასა ზედა ჩუშნსა ქართულსა, რომელმანცა განმაკვირვა მე დიდად.

მრავლით ჟამითგან ყოველსა ქტუყანასა ზედა სიბრძნითა გან-თქმულსა და ყოვლითურთ სიბრძნის მოყვარესა ერსა შორის ფრან-ციისასა, ამითცა მიიღებს განსხტაეებასა აზიურთა სასწავლოთა და ენათა გამომეციებელი მეაზიელე საზოგადოობაჲ². და მათ შორის აღმოსჩნდების ფრიად ღირს საქებელი გულსმოდგინება ეგე შენი, რომელმანცა საქმეჲ ესე, სრულიად ევროპიისა :სწავლულთა შო-რის, აწ შენ იწყე პირტულად, და თვნიერ მოძღვრისა და მასწავ-ლებელისა მხოლოდ თავით თვისით მშრომელი მიიწიე ესეოდენსა საზმოსა ქართულისა ენისა და წერილისა სწავლისასა.

სამაგალითოთა შრომათა ამათ შენთათჳს, მოგიძღვნი ჩემ კერძო ფრიადსა მადლობასა და ვსასოებ ამას ზედა, რომელ შრო-მაჲ ესე ვითარი საქებელი არა უქმ იქმნების. ჶდა ესრეთი რაჲნე ღირსი შრომისა იპოვოს ქართულსა ენასა ზედა და წერილთა ში-ნა, რომელიცა საზოგადოთა[...] ობათათჳს*, ესე იგი საზოგადოსა ლიტერატურისათჳს იყოს შესამატი.

* ამ სიტყვის წინა ნაწილი მოხეულია.

მე მოსწრაფე ვარ და უეჭველად დიდისა კმაყოფილებითა მზა ვარ, მარადის ხშირად მიღებად წერილისა თქუნიისა. და მსურის, რათა გულსმოდგინება ჩემი ვაჩვენო ამას ზედა საზოგადოობასაცა თქუნიისა, და ვითარცა შუშნის მრავლად განათლებულსა გონებასა შენსა, ვითარცა მოყუარესა მამულისა ენისა ჩემისასა, მე თვთ გექმნები შენ თანამოსაუბრე, ესე იგი კორარესპონდენტი. ზოგად ყოველთავე ძველთა და ახალთა საეკკლესიოთა გინა საეროთა და სამოქალაქოთა ჯელოვნებათა ჩუშნისა სწავლისათა ხედვითისა, ესე იგი სათეორიოსა და საქმითისა, ესე იგი საპრაქტიკოსა ქართულისა ენისა და წერილობათა ზედმიწევნილებისათს.

მაუწყეთ ამის თსცა თუ სადამე საპირო და სახმარ იყოს ქართულისა ენისა პრაქტიკისათს, და თსებისამებრ თსისა ლაპარაკისა სწორედ გამოღებისათს, პოვნად თქუშნთს კაციისა ქართველისა და მე მივიღებ ამის თსს მეცადინეობასა, რათა ვპოვო კარგი და ამას შინა სახმარი და გამოცდილი კაცი. და მაუწყეთ ესეცა, უკეთუ კაცსა მას აქუნდეს სურვილი დაწესებად ჯელისა ქუშუშე მეაზიელესა საზოგადოობისა თქუშნისა, მიღებულ იქმნებისა იგი მას შინა? ხოლო წიგნნი ქართულნი, თუ რომელიმე რაეცა და რომელსაცა ეამსა საქი[რო] იქმნების და მოითხოვთ, გულსმოდგინე ვიქმნები თქუშნთს მოპოვებად მათდა.

ისტორიად ესე, რომელთამე შემთხვეულებათა საქართველოესა, რომელიცა ბიბლიოტიკასა შინა სამეფოსა პარიჟსა შინა ყოფილ არს დაცულ და აღბეჟილ არს წიგნსა შინა თქუშნ მიერ წარმოვლენილსა ჩემდამო, რომელიცა შეიცავს მოთხრობასა განვლილთა მახლობელთა ამათ უმეტეს სამთა ასწლეულთა საუკუნეთასა, წარვიკითხე ესე სრულიად და ფრიად სათნო მეყო მე. ესე მოთხრობა ლიტონად, ტკბილად და ადჯლ სასმენელსა ენასა ზედა ქართულსა არს აღწერილ და ამბავნიცა ამისნი მარტივნი და უტყუელნი. ჩუშნ აღრევე გვსმენი[ა] ესე, რომელ პარიჟისა საზოგადოსა გინა სამეუფოსა ბიბლიოტიკათა შინა იპოვებიან სხუა და სხუანი წიგნნი ჯელწერილნი ქართულისა ენისანი და გთხოვთ ამას, რათა მაცნობოთ, თუ რიცხვთ რაოდენნი წიგნნი არიან ხუტურად აღწერილნი, ანუ მხედრულად რაოდენნი და რომელნი წიგნნი, სხელები თვთოეულად მათნი წერილით გუაუწყოთ, და რომელსა ეამსა აღწერილ არიან და ვის მიერ იგიცა ცხად გვიყოთ.

სხეებრ, ვსასოებ ღვთისა მიერ, რათა სუფევედეთ მშჯდობით წარმატებასა შინა ჯელყოფილისა თქუშნისასა.

და ვგიე მარადის შესაბამსა პატივისცემასა და სიყვარულსა ზედა შენსა

სრულიად საქართველოჲსა მეფე ის ჴე თეიმურაზ.

წელსა განვორციელებითჲან

სიტყვსა ლ^რისა ჩელ,

ქართულსა ქ^რს მეთოთხნეტისა ნოქცევისასა ფ^რხ. თჲსა იქელისსა იმ საშვეურთა ქალაქით ს. პეტერბურგით.

ც ა ლ კ ე ფ ე რ ც ე ლ ზ ე :

საქართველოს მეფის ძეს, ბატონის შვილს თეიმურაზს, აქვს თავისი საკუთარი სახლი სანკტ-პეტრებურღს. ვასილის ოსტროვისა შინა მეცხრეს ღინიაზედ მახლობელ მდინარისა ნევისა. № 81.

როდესაც წიგნს მომწერდეთ და ფოჩით გამოგზავნიდეთ, კონვერტზედ ზევიდგან ფრანციულად მოაწერდეთ ამ ზემო წერილისა აღრესით (ესე იგი ზედა წარწერით). ფოშტიდამ ჩემს სახლში მოეა და იქ ჩემგან დადგინებული კაცი მიიღებს. თუ საკუთრად მანდელამ აქ წამომსვლელს გამოატანდეთ აქაე, ჩემს სახლში მოვიდეს, იქ ჩემს კაცსა ჰკითხოს და ის ეტყვის სადაც ვიქმნები იმ ჟამათ და წიგნს ისე მივიღებ.

2

უსაკუთრესო მეგობარო უფალო ბროსეტ!

პ^რდ ამისთჲს ღიდად მოხარული ვარ და ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავსა, ვინაჲდგან მრავლად სახელოვანსა და ყოვლად სიბრძნითა განათლებულსა ღიდებუღის პარიჲის მეაზიელეს საზოგადოობის რიცხვში აღვირეცხვე!

რაოდენ გზისმე თქვენი პატივცემული წიგნი მივიღე და ჟამი არ მომეცა პასუხის მოცემისა ესეოდენ ხანგრძლად. ამისთჲს ღიდს ბოღიშს ე[ი]თხოვ და შენღობას, რადგანაც სხვათა და სხვათ მიზეზთა და შემთხვეულებათა დამაბრკოლეს. ამისთჲს ვსასოებ, რათა თქვენი კეთილი გული ჩემზე არ შეიცვალოს.

მიზეზი აქამომღე წიგნის მოუწერეღობისა ჩემისა იყო ესე: პ^რდ ავადმყოფობაჲ ჩემი, ერთკერძო უმეტეს მწუხარებათა გამო მახლობელთა მონათესავეთა ჩემთა სიკვდიღისათვის, რომელმანცა უჩვეულმყო სულითა და ფრიაღ შეაწირა გული ჩემი. შემღგომად შემოსღვამან საშინელისა ამის სასიკვდიღიეჲსა ამის სენისა ხოღერიისამან და განუსვენებეღობამან მრავალ სახემან!

ქამსა აქა ხოლერის შემოსვლისასა, მე ჩემის სახლეულებით და ზოგის ჩემის ნათესავებითა, ვიყვენით პირველად პეტერლოფს, საზაფხულოსა სახლსა (ესე იგი აგარასა) ჩემსა, და ვინაჲდგან მას ქამსა დიდებული იმპერატორი თჳსისა დიდებულისა ფომილიითა სცხოვრებდეს მუნ, ყოვლითურთ გარემოცულ იყვნეს გარემონი ადგილისა მის და განმაგრებულ კარანტიონითა დიდითა. ამისთჳს ფრიადი მშვიდობა იყო მუნ და უფიქვლობა სასტიკისა მის სენისა ვნებათაჲგან. მაგრამ, ვინაჲდგან, ალაგისა მის იწროებისა ძლით ინება დიდებულმან იმპერატორისა ფომილიამან ცარსკსელოდ წარსვლაჲ, მუნიდგან, მკათათევეში (ესე იგი იელისის თევეში), ჩვენცა წარყვევით თანა ცარსკისელოდ და მრთელსა ზაფხულსა, შემოდგომასა და ვიდრე აქამომდე ესცხოვრებდით მუნ.

გარემოთა დაბათა და სოფელთა შინა ცარსკისელომასათა თუმცალა მახლობელ მრავალთა ადგილთა იყო სენი იგი, მაგრამ შეწყვენითა ღვთისათა ცარსკისელოსა შინა არა აუფლა კარანტინმან სენსა მას შემოსლვა და ყოველნი მცხოვრებნი ქალაქისა მის სახლეულებანი და მონათესავენი ჩემნი ყოველნივე განვერენით მშჳდობით. მაგრამ პეტერბურგსა შინა, რომელნიცა იყვნეს ქამსა მას მონათესავეთა ჩემთაგანნი, მოგვაკლდეს მათგან ვიეთნიმე, რომელთაგანი ერთი იყო წმის ცოლი ჩემი მეფის სწალი ეკატერინა, დიახ შერაცხილი ჩვენს ოჯახში და პატრიოსანი, და ამისთჳს არა მცირედი მწუხარება მივიღეთ, ვინაჲდგან გარდამატებულად მწუხარებს ძმაჲ ჩემი, და წვრილნი ძმისწულნი ჩემნი დაშთნეს უღედოდ.

ფრიადი სიფრთხილე გვექონდა ჩვენ და აღკრძალვა, ვინაჲდგან მეუღლესა ჩემსა ეზინოდა უმეტეს (ვითარცა არს წესი ღედათა ბუნებით ჭირთა მკრთალობისა) და ამისთჳს ფრიად გვიან მოვეწოდვენით პეტერბურგს და არც რასა მივიღებდით მუნიდგან.

ქურნალები იგი, რომელიცა წარმოგეგზავნათ ჩემდა მომართ, რომელთა თანაცა წიგნიცა აღრიცხვისა ჩემისა საზოგადოობასა თქვენსა შინა უფლისა ფრიად ბრძნისა და სახელოვანისა ბურნოძისა მიერ ჯელმოწერილი, გვიან მოვატანინე, რადგანაც უფალი და ფრიად საყვარელი ჩემი ბრძენი და მეგობარი შარმუა იყო უძლიერ სენითა ხოლერისათა და სახლეულებანიცა მისნი, და მოუკვდა მას სიღედრი თჳსი სენითა მით, არამედ თჳთ და მეუღლე მისი და სხვანი მისნი აეწყვენითა ღვთისათა დაშთეს მშჳდობით.

აწ ქამსა ამას, როგორც შემხვდა და რაც მოვასწარ, ესოთხი წიგნი მომირთმევი, რომელთაგანცა ორი საკუთრად შენი არის, ესე იგი ერთი დიდი და სრული დრამმატიკა. შხოლასტიკა

ქმნილი საქართველოს კათოლიკოს პატრიარხის ანტონი პირველისაგან (და ვსასოებ, რომელ ქართულის ენის ზედმიწევნილებით სწავლასა შინა ფრიად შეგეწევისთ) და მეორე მცირე რამ წერილობანი, რომელსა შინაცა პირველად გავასწორე თქვენი მეორედ მოწერილ ეპისტოლე და მასთანავე რააცა გეკითხათ რომელთამე საუწყებელთათჳს ცნობანი. ხოლო ორნი სხვანი წიგნნი, ერთი ღრამმატიკა ქმნული უხუცესისა ძმისა ჩემისა მეფის ძის დავითის^ა მიერ ჭილოსოქოსურს გვარზედ კითხვა-მიგებით და მეორე მოთხრობა მოკლედ შემთხვეულებათათჳს ღირს სახსოვართა საქმეთა ძმისა მის ჩემისა დავითისთა^ა. ხოლო მიზეზი წიგნისა ამის შეთხზვისა იყო ესე: რადგანაც კურთხეული გარდაცვალებული ძმა იგი ჩემი ძმობას გარდა ჩემი მოჭირნახულე იყო და აღმზრდელი და სხვათა ძმათა შორის განსაკუთრებული ვიყავ მისი, ამისთჳს შეგკრიბენ ღირსსაქმებლნი სიმხნენი სიკბაბუკისა მისისანი, რათა არა წარწყმედილ იყო უქმად შემდგომთა ჟამთათჳს ესე ვითარისა გმირისა ხსენებაჲ. და რათა დაიდგამცა ესენი ადგილსა ესე ვითარსა სახსენებელად მისსა და გმირთათჳს მის ჟამისათა. ამაღ ალერჩევე უმჯობესსა ამას და სახელოვანსა და ყოველსა ქვეყანასა ზედა განთქმულსა ზეაზიელესა ყოვლად ბრძენსა საზოგადოობასა თქვენსა და შევსწირავე მას, რათა იცუებოდეს ბიბლიოტეკასა შინა მისსა. და ვსასოებ, რათა შეწყ[ყ]ნარებულ იქმნას, ვითარცა მსხვერპლი გულსმოდგინებით ძღვნობილი და სათნო იყოს მისსა.

ვუწყი მე რომელ წარიკითხავ წიგნსა ამას გულსმოდგინებით და იუწყებთ რომელთამე შემთხვეულებათა უწინარეს ამა ჟამისათა და ვსასოებ არა უსიამოვნო იქმნების ესე თქვენდა.

ამაზე დიახ ბოდის ვითხოვ, რადგანაც სრულად მართლად ვერ ვიყავ ამ წიგნის წერაში. თუ ჯელი არ მოგეწონოსთ ან შეცდომა თხზვისა, მომიტევეთ ამისთვის, ჩემი განზრახვა ეს იყო, რომ ეს წიგნი ჩემის ჯელითვე აღმეწერა და ესრეთ დაშთეს.

აჲ, პეტერბურგში, დიახ ცოტანი არიან, რომელნიც კარგს ჯელს სწერენ ქართულს. მხოლოდ ერთი კარგი ნწერალი მღუდელ-მონაზონი ქართველი ჩემთან იმყოფებოდა პირველი მწერალი და აქაურს ჰაერს ვერ გაუძლო, ავით გამიხდა და საქართველოში გავისტუმრე.

მე აწ ვმეცადინებო აღრიდგანვე ჯელყოფილისა ჩემისა საქართველოს ისტორი[ი]სა უძველესით ჟამითგან ვიდრე აქამომდე წვლილიად აღწერასა^ა, რომლისაცა ერთსა პირველსა ნაწილსა მისსა ამა წიგნთა შემდგომ წარმოვგზავნი. ჩემი სურვილი ეს არის,

რომელ სრული შემეცნება მიიღოთ ქვეყანისა და ერისა ჩვენისა უძველესის გამოთვან ვიდრე აქამომდე.

თქვენ ჩენდამი მაისის ა მოწერილს წიგნში მწერთ, რომელ მე ვმართავ თქვენს წიგნსა, რომელსა შინაცა არს ისტორია საქართველოასაი, რომელიც ჩემთვის წარმოგეგზავნა პარიჟში დაბეჭდული⁷. მაგრამ მე ყოვლითურთ პირუთნებელად და ქენწარიტად აღვიარებ, რომელ მას გამართვად არა რაჲ ესაჭიროების და ფრიად მოსაწონი არის და ყოველთავე ქართულის ენის მცოდნეთ მოსწონთ ჩენს გარდა სხვათაც და კიდევ ვაქებთ. რაც იმაში საქართველოს ისტორია და მოთხრობანი არიან ნამდვილნი და ქენწმარიტი არიან ყოველნივე. მხოლოდ ერთი ისტორია აკლია იმ მოთხრობას, რომელმას შინა არა მოხსენებულ არს: წამება შააბაზ პირველისა⁸ მიერ წმიდისა დედოფლის ქეთავანისა დიდისა ბებიისა ჩვენისა ქალაქსა შინა შირაზისასა მრავლითა სხვიითა და სხვიითა და ფერად ფერადითა სატანჯველებითა. ესე დედოფალი ქეთავან იყო დედაჲ დიდისა მეფისა თეიმურაზ პირველისა, ესრეთ უმსხვერპლა მან თავი თვისი და შესწირა სისხლი თვისი ქრისტეს სარწმუნოებასა და სამეფოსა თვისსა და დედაკაცი უმხნეს ყოველთა კაცთა იპოვა. ესრეთ დაიკვა პატივი თვისი და ერდგულება ქვეყანისა თვისისა, რომლისაცა დღესასწაულსა წლითიწლად აღასრულებს ეკკლესიანი სრულიად საქართველოასანი.

მე ვიხილე ჟურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილსა დიდისა მის და სახელოვნისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა⁹ რუსთაველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციულს ენაზედ. ვაშა! ვაშა!¹⁰

მე ვპოვენ ჩვენს ენაზედ, დიდი ხანი არ არის, დიახ საკვირველი ლექსები ორთა წარჩინებულთა გმირთა მესტიხეთასა—დიდებულისა დიდისა ბებიისა ჩვენისა და საუკუნოდ ღირს სახსოვარისა მეფისა და სრულიად ივერიისა თათმპყრობელისა **მეფისა** მდივანმწიგნობართა, ერთი „აბდულ-მესია“ შავთელისა¹⁰ (ლექსი მას უქეს რომელსა), რომელიცა შემდგომად შემონაზონებისა იწოდა იოანედ, და მეორე—ჩახრუხადისა¹¹. სახელოვანთა ამათ მელექსეთა სტიხნი ფრიად მოსწრაფებით მაიძულებენ რათამცა გიჩვენნე თქვენ.

მერწმუნეთ, ყოველსა ეამსა სურვილი ჩემი ეს არის, რათა, რაჲცა საიშვიათო რ[ა]ემე ვპოვო ჩვენთა წერილთა შინა, წარმოგიგზავნოთ და ცნობა მათი მოგცეთ, რომლითაცა ისახელებიან წინაპარნი ჩვენნი სიბრძნის მოყვარენი და სიმხნით სახელოვანნი და ღირს სახსოვარნი გვამნი.

მაისის მოწერილს წიგნში მწუხარებას მწერთ სახლეულებისა თქვენისა უბედურის შემთხვეულებისათვის, რომლისათვისცა თანა ვილმე და ღმერთსა ვსთხოვ ყოველივე მწუხარებაა თქვენი შესცვალოს სიხარულად. და ვინაჲდგან ყოვლისა მწუხარების დასასრული მხიარულება არის და უბედურებისა—ბედნიერება, ამისთვის მსასოებელ ვარ, რომ შემდგომი ჟამი თქვენი ბედნიერებით, სიმართლით და მხიარულებით ეგოს.

ვსთხოვ თქვენს ჩემდამო სიყვარულიანს გულსმოუკლებელად თქვენის მშვიდობის ამბის უწყებას, და ღმერთსა ვსთხოვთ, კვალადცა თქვენს მშვიდობას და კეთილ წარმატებას. დაეშთეზი მარადია უმწვერვალესის პატივისცემით და სიყვარულით თქვენითა უსაკუთრესად სრულიად საქართველოს მეფის ძე

თ ე ი მ უ რ ა ზ .

წელსა ჩულა, დეკემბრის 15. ქკს ფით.

სანკტ-პეტერბურგით.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ა :

ქ. გთხოვ ჩემო მეგობარო, უფალო ბროსეტ, დიდად სახელოვანს და ყოვლითურთ ბრძენს, უფალს ბურნოძს, ჩემ მაგიერად მდაბლად მოკითხვა და სამსახურის წადილი მოახსენე, და ვსთხოვ რომ მწყალობდეს.

ქ. ჩემ მაგიერად დიდად პატივცემულს და ფრიად ბრძენს სანტმარტინს¹² მრავლად მოკითხვას მოვახსენებ და ვსთხოვ მწყალობდეს.

ც ა ლ კ ე ფ უ რ ც ე ლ ზ ე :

გთხოვ უსაკუთრესად, ეგ ჩვენნი-მოცნენი კაცნი, რომელნიცა მანდ მოსულაბ, რომელთათვისაც თქვენ მომწერეთ, ძმებრივის სიყვარულით მომიკითხოთ და მაგათი ვითარება მაცნობოთ, როგორ არიან მიღებული და ან როგორ იქცევიან. ეცადნენ, რომ კარგი და პატიოსანი ყოფაქცევა აჩვენონ მანდაურს საზოგადოობას და სწავლასაც ეცადნენ როგორათაც ენისას, ეგრეთვე სხვათაცა სწავლათა, რომელიც განანათლებს გონებას, სამხედრონი გინა სამოქალაქონი ზნენი, რომელიც დიდის კაცის შვილთ ეწესაბამება.

3

სანკტ-პეტერბურგით, წელსა 1832-სა ქკს ფი იანბრის ლ

უფალო ბროსეტ!

უძვირფასესო მეგობარო ჩემო, ყოვლითურთ სიბრძნით და მეცნიერებით აღსავსევე, ღმერთსა ვსთხოვ შენს მშვი[ი]ლობას. შენი

ჩემთვის სამო და დიდად პატივსაცემელი წიგნი მივიღე, ქრისტიანობის თვის თ დაწერილი, იანერის გასულს (ამ წლისას). ავადმყოფობის მიზეზითა, რომელიც ამ წარსულს ზაფხულს იყო, მწერო, რომ ჩვენთვის შეწუხებულნი იყავით. მადლობა ღმერთს, მშვიდობით განვერენით. დიდად მადლობელი ვარ შენის პატიოსანის გულისა. ქეშმარიტად და გულით და სულით მოუშორებელი ვარ შენთან და კეთილად ვუწყვი შენი ჩემდამი ერდგულება, პატიოსნება და სიყვარული. წიგნი თუმცა დაგიგვიანეთ, ამისთვის დიდს ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ ამ განვლილის დეკემბრისა (ესე იგი ქრისტიანობისთვის) ნახევარში წიგნი მოგწერეთ, რომელიც მუსიეი შარმუამ პარიეში თქვენთან წარმოგზავნა თქვენის დესპანისა (ესე იგი ჭრანციის ელჩის) მალემსრბოლის (ანუ კურიერის) გულით ოთხის ქართულის წიგნებითურთ, რომელიც ორი იგი წიგნი, რომელიცა მეაზიელეს საზოგადოებას მოვართვი, პირველი არის ღრამმატიკა ქართული და მეორე ერთისა ღირს სახსოვარისა ჩვენისა გმირისა შემთხვეულებანი. ორი მათგანი ჩვენს მეაზიელე პარიეის საზოგადოებას შევწირე, ხოლო ორნი იგი წიგნი, რომელიც საკუთრად შენ გიძღვენ, პირველი არის სრული დიდი ღრამმატიკა ქართული და მეორე ლიტერატურანი; და ორი თქვენ მოგართვი საკუთრად თქვენს სასარგებლოდ და ჩემს სახსოვრად. ხოლო შემდგომად ვსასოებ უმეტესს გულსმოდგინეს ხვედრსა შეწვენისა მიერ ღვთისა.

ბეჭდისა სახე ვახტანგ მეფის მიერ დიდებულს ჭრანციის კოროლს ლუდოვიკ მეთათხმეტის მიმართ მოწერილს წიგნზე აღტყფრულისა სახე მისი თქვენს წიგნში იყო შთაწერილი. ჩვენ უწყით, რომელ სულხან-საბა ორბელიანი¹³, ჩინებულთა თავადთაგანი საქართველოჲსა და მონათესავე მეფეთა, წარმოგზავნულ იქმნა საქართველოჲთ ვახტანგ მეფის მიერ წელსა 1713-სა (განჯორციელებითგან სიტყვისა ღვთისა). და მოწვენილ პარიეად შეიწყნარა ფრიად კეთილად და პატივსაცა საუკუნოდ სახსენებელმან დიდებულმან კოროლმან ლუდოვიკ. ეგრეთვე რომელ მიიწია და უწმიდესმან პაპამან რომისამან პატივსაცა მას ფრიად. და შეიყვარეს იგი კოროლმანცა და პაპამან და ანიჰნეს მას ნიჰნი. გარნა ესე ჯერეთ არა გვაქენდა უწყებულ, რომელ მუსიოკონთ დე სანპურიესთ ჭრანციისა დიდებულთა გვარისა, ვახტანგ მეფილამ ჩვენნი მონათესავენი ბრძანებულან, და ესე რა ვსცანიოთ თქვენ მიერ, დიდად ვისიამოვნეთ. გთხოვ უსაკუთრესად, რათა თქვენ გაისარჯნეთ, მიბრძანდეთ მასთან და ჩემ მაგიერად სამსახური მოკითხვა

და გაცნობის სურვილი მოახსენოთ. დიდად მსურს წიგნიც ვაახლო გაცნობისა და მწყალობლობისა, რადგან ჩვენი მონათესავე გრძანდება და როგორც შენ მიიჩვევ, მე ისე აღვასრულებ. თუ მიიჩვევთ ქართულათ მოვსწერ და თქვენ უთარგმნეთ, და თუ არა და ჭრანციცულად. მომწერეთ მაგათი ტიტული ჭრანციცულათაც და ქართულათაცა.

განმარტება (ანუ ახსნა) ვახტანგ მეფის ბექდისა იუწყეთ ესრეთ:

რტოდ ვარ ვითის ძველ ლმა დავითის ვ ახტანგ ვმტ კიცებ მეფ.	და
---	----

ამაში არცა არაბული და არც სპარსული ლექსნი არ არის შერთული, რომელიც თქვენ გგონებოდათ (ესე იგი) აქს; იასალ

(ანუ იასალამა) არც ერთი არ არის. ამაზედ ქართული ლექსი სწერია. გამოცანასავით გამოსაცნობი (ესე იგი სათარგმნელი) ლექსი შეერად. ლექსისა ესე ვითარისა გვარი იწოდების წყობილად. საქართველოს მეფეების ბექდებზედ ჩვეულება იყო: შესაბამს რასმე ლექსსა დასწერდენ წყობილად და რომელსამე გამოცანით, რომელსა ძველის სახელით ეწოდების ამიციანა. ესევე ჩვეულება აქვსთ სპარსთაცა, რომელნიცა ბექედთა თჯსთა ზედა აღსწერენ ლექსთა რათამე, ჩვეულებათამებრ მათთა, რომელსა შესაბამად გამოცანად და ლექსად, რომელსა იგინი უწოდენ წოდებისამებრ მათისა **ساجا** საჯა-ს.

წერილი ვახტანგ მეფის ბექდისა განიმარტების ესრეთ (ლექსი ესე წყობილ ორი ტაეპი არის, ესე იგი ორი ტრიქონი):

1. რტოდ ვარ და ვითის (ამას ნიშნავს), რტოდ ვარდისა ქმნა იგი, ვით და ვით ეგ სახედ.

2. ძველმა და ვითის (ამას ნიშნავს), ძველმა და ვით იგი, ესე იგი ძველმა და ვით წინასწარმეტყველმან და მეფემან, ანუ ძველმან და ვით წინასწარმეტყველის შთამომავლობამან.

კვალად პირველს ტაეპსა აქვს მნიშვნელობა ესე ოდეს წარიკითხავ მას სწორედ: 1. რტოდ ვარ და ვითის, ბექდისა მის პატრონი იტყვის: და ვითის რტო ვარო. და მეორეს ტაეპში რომელ არს. 2. ძველმა და ვითის, ველი გამოდის ზმათა. ზმა ეწოდების ესე ვითარს შიირსა ანუ ლექსში გამოყვანილს კოლემბურს* ანუ სიტყვაში გამოყვანილს სხვა და სხვა ლექსებში გამოყვანილს სხვას ლექსსა და მნიშვნელობასა სხვასა და სხვასა,

* Colambour (ან) charade [თეიმურაზი].

ვითარცა ამ ბეჭდის პირველს ტაეზში, ვარდი და დავით ზმა.დ., ესე იგი, კოლეგებურად არის გამოყვანილი, და ეგრეთვე მეორეში და სხვა და სხვა რიგათ ითარგმანება ერთი და იგივე წერილი. ხოლო მონამყვანება, ესე იგი მეტაჰორია ბეჭდისა ამის არს ესე: რტო (ხომ კარგათ იცით, ხის ტოტებსა ანუ ხის მკლავებსა ეწოდება) და მეტაჰორით გვარის ჩამომავლობას შვილთა, შვილიშვილთა და სირათა რტოებად ნიშნენ და უწოდებენ (რტოდ წინაპართა მათა შთამომავალნი ნათესავნი შვილნი და შვილისშვილნი ითქვიან). ვარდი რადგანაც რომ სხვათა ყვავილთა უმჯობესი არის ფერთა, ნაკვეთითა და სურნელებითა, მას ყვავილთა ჰელმწიფედ სახელს სდებენ და შემსგავსებაში მრავალჯერ მეფეთა და დიდებულთა გვამთა და მრავალჯერ შევნიერთა და საამოდ სახილველთა და ღირსთა შეამსგავსებენ. კვალად ვარდის სურნელებას მეფეთ მოწყალებას შეამსგავსებენ ეს სახედ, ვითარმედ, როგორათაც რომ საყნოსელს და განაწლიერებს კეთილი სულნელება, ეგრეთვე უძღურთა და უღონოთა მეფეთა და უხვთა წყალობა. დავით რომ არის ამ ბეჭედში მოხსენებული, ამას ნიშნავს, რომელ რადგანაც საქართველოს სამეფოს სახლისანი ამტკიცებენ, რომელ იგინი აოიან დავით წინასწარმეტყველისა და მეფისა შთამომავლობისაგან და, ამისთვის იწოდებოდნენ ტიტულსა შინა თვსთა დავით[ი]ან სოლომონიან ბაგრატიონანად. ხოლო ბაგრატიონობისა სახელი საქართველოს მეფობაში იწოდეს.

ჰგავს, რომელ ეს ბეჭედზე დაწერის ჩვეულება ძველადვე ჰქონდათ საქართველოს მეფეთ, რეაას წლამდის უნდა იყოს. ახლარომ ჩვენის გვარისაგანი მეფე დავით მესამე იყო, რომელსაც აღმაშენებელი ეწოდების და წმიდათაც არის შეწყნარებული, ღირსი ხსოვნისა და საკვირველი ძლიერი და ბრძენი მეფე სრულიად ივერიისა ზემოა და ქვემოა მპყრობელი და სხვათა, ამის ბეჭედზე ეწერა ლექსი ესე:

1. ჯვართა მტერთა მძლეველი
2. მე დავით ვარ უძლეველი.

ამაში ზმა კი არა არის რა გამოყვანილი, მხოლოდ სტიხათ არის. აგრეთვე პაპის ჩემის მამისა, მეფის თეიმურაზ მეორის¹⁴ ბეჭედზედ ეწერა:

უფლისა მიერ მეფედ ცხებული
თეიმურაზ ზის დამტკიცებული

ამაში მეორე ტაეპში გამოდის ზმა (ესე იგი კოლემბური). თეიმურაზ ზის დამტკიცებული (ესე იგი მეფედ დამტკიცებული ზის ტახტსა ზედა) და მეორეს აზრით ამას ნიშნავს, ვითარმედ: თეიმურაზის მიერ არის დამტკიცებული წერილი იგი, რომელიცა აღბეჭდულ არს.

პაპის ჩემის ირაკლი მეორის ბეჭედზე ეწერა:

1. მეფერხთ განბანილთა მი⁶⁶.

2. ერეკლესია ვადიდე.

ამაში ზმათ გამოდის: პირველად მეფე, მეორედ (სწორეთ რომ წაიკითხავ) ფერხთ-განბანილნი წმინდანი ქრისტეს მოციქულნი არიან.

მეორე ტაეპში ზმით სახელი გამოდის ერეკლე და სწორეთ წაიკითხვით ერი და ერეკლესია ვადიდე, (ესე იგი: მე, მეფემან ირაკლიმ, ქრისტეს მოციქულთ სჯულითა ერი (ჩემი) და ერეკლესია დიდებულყავ და ჭეშმარიტიც არის, რომელ მამამან. ამის მეფისა ირაკლისამან მეფეთეიმურაზ მეორემან. და ძემან მისნან პაპამან ჩემმან მეფემან ირაკლი მეორემან, მართლმორწმუნეთა ამათ მეფეთა და სასელოვანთა ძლიერთა გმირთა უწინარეს მათსა შეიწრებული წარმართთა მიერ სხვათა და სხვათა ური საქართველოჲსა და ერეკლესია აღადგინეს, განამტკიცეს და განაღლიერეს ყოვლითურთ და სჯული იგი საღმრთოთა ქრისტეს მოციქულთა უმეტეს აღაყვავილეს სრულიად საქართველოსა შინა.

ეს მაგალითნი ამისქთვის დაესსენ, რომ შემეცნება მიიღოთ ესე გვართა წერილიბათა, ოდესცა შეგხვდებოდესთ, რომელ არ გაგიკირდესთ ახსნა¹⁵.

ლექსნი მრავალნი არიან ზეერთა თვთ ვეფსის-ტყაოსანნიცა და სხვაქს ლექსებნიცა ნათქომნი, რომელსცა ჩვენნი ველნი ველექსენი უწოდებენ მაჯამასა (ანუ წყრილსა). ამ ლექსებს დაბოლოება, ესე იგი რიფმა, ერთის ლექსითა აქვსთ, მაგრამ იმ ერთს ლექსსა მნიშვნელობა სხვადასხვა რიგათა აქვსთ, ვითარცა იხილავთ ამ შემდგომს მაგალითებშია.

აერთავან აბდულ-მესიასთა, თამარ მეფისა წესხმასა შინა (ეს აბდულ-მესია არს შავთელი), იოანეც სახელს ძევს ამას:

გავსილო ამით*, გავსილო ამით*¹, შეცოდებისა ბიწთა წარმღვნელად.

ვმ.წმობ*² სულებსა და*³სასულებსა, სამარადისოდ სხნდე განუხრწნელად.

ნხნე ხარ*⁴ ასური, მკვრეტთა და *⁵სური, აღვის ხე ტანად რტო განფენილად:

გხედვენ*⁶ რა ლამით, მოსრნეს*⁷ რალამით, მიწვენილ იქმნენ თუთ სიკვდილ ქმნილად¹⁶.

* გ ა ვ ს ი ლ ო ა მ ი თ (ნიშნავს): აღესილო ამით, *² გ ა ვ ს ი ლ ო ა მ ი თ (ნიშნავს); ჰგავს, რომ შენ ილი, (ესე იგი) ღმერთი, ხარ ამით. კვალად: * გ ა ვ ს ი ლ ო ა მ ი თ (ამას ნიშნავს): ჰგავს რომელ სილოამის წულითა, ესე იგი მიტევებითა და შეწყალეებითა, ბიწთა და შეცოდებათა გამწმედელი ხარ. (სილოამის წყალი იხილე სახარებასა შინა იოანესა თავი 9).

ემოწმობ*² ს უ ლ ე ბ ს ა, (ესე იგი) ცხოველთა; და *³ ს ა ს უ ლ ე ბ ს ა, (ესე იგი) ჯორცთა ანუ გვამთა და სადგურთა სულთასა.

მხნე ხარ *⁴ ა ს უ რ ი, (ესე იგი) პირველად ა ს უ რ ი ასურასტანელთა მხნეთა და ძლიერთა გმირთა ძლიერებითა სწორი. ა ს უ რ ი ასეულსაც ნიშნავს, რიცხვსა.

გხედვენ *⁵ რ ა ლ ა მ ი თ (ამას ნიშნავს): გხედვენ მტერნი და წინააღმდეგნი ვერლარა, ვინაჲდგან მოისრნეს იგინი ძლიერებითა მხედრობისა შენისათა *⁷ რ ა ლ ა მ ი თ — ლამესა შინა და წარწყმდენ საცთურითურთ მათით, ესე იგი, ლამითურთ უგუნურობისათ.

შოთა რუსთაველისა ვეფხის ტყაოსანისა ლ ე ქ ს ი რ ლ ვ ერთგან დასხდეს ილალობეს, საუბარი ასადაგეს, ბროლ ბალახში შეხვეული, და გიშერი ასად აგეს, ყმა ეტყვის თუ შენთა მკვრეტთა, თავი ხელი ასად აგეს, ცეცხლთა მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასად აგეს.

ლექსისა ამის რიფმანი ესრეთ განიმარტებინ:

პ ი რ ვ ე ლ ი ა ს ა დ ა გ ე ს (ამას ნიშნავს): საუბარი ასწილად განამრავლეს და განაგეს.

მ ე ო რ ე ა ს ა დ ა გ ე ს (ამას ნიშნავს): სადად, ესე იგი ლიტონად (და მდაბლად) თავნი თჳსნი და აგნეს. ურთიერთ არს ბროლი და ბალახში, რომელ არიან ლაწენი და გიშერნი. თვალნი და წარბ-წამწამნი ერთმანერთს ლიტონის სახით მიიუახლოვნეს, სადაგიც ლიტონსავე ნიშნავს.

მ ე ს ა მ ე ა ს ა დ ა გ ე ს (ამას ნიშნავს): თავი ხელი ასად აგეს; თავი ხელი, სიყვარულით გაგიჟებულს თავს ნიშნავს, ვინაჲდგან (ხ ე ლ ი, ამ ასოთი დაწერილი, რომელ არს „ხ“, სიყვარულით გაგიჟებულს ნიშნავს) ჩემი თავი სიყვარულით ვნებული და გაგიჟებული შენმა კვრეტამა და ყურებამ ას წილად ალაგოვო, ესე იგი, განმკურნა და ას წილად უმეტესად ალაშენა თავი ჩემი

სიბრძნითა და კეთილობითა (ა გ ე ბ ა, აშენებას ნიშნავს, ა ლ გ ე ბ ა — ა ლ შ ე ნ ე ბ ა).

მ ე ო თ ხ ე დ ა ს ა დ ა გ ე ს — გული ჩემი ასად, ანუ ასწილად დადაგეს *(დადაგვა — უნამეტნავესად ცეცხლით დაწვასა ნიშნავს).

თქმული მეფისა პატრონისა თეიმურაზ პირველისა მიერ გაზაფხულის ქების ლექსთაგან:

დაუსწრო პირველ ყოველთა, ყვავილთა მოსლეა იამან,
მოგვართვა სული სულნელი, მით საყნოსელმან იამან,
თავმოდრეკილმან სიმდაბლით, არ თავი გაიზვიამან,
ტკბილად შეხედა თვალმა და, გულისა კარმა ღიამან¹⁷.

პ ი რ ვ ე ლ ი რ ი ფ მ ა ი ა ყვავილი არის, რომელიც სულ ყოველს ყვავილზე უწინ მოვა გაზაფხულზედ ტყეთა შინა და ველთა და კეთილსულნელი.

მ ე ო რ ე — ი ა მ ა (ნიშნავს): ისიამოვნა.

მ ე ს ა მ ე — გაიზვიამან, ამას ნიშავს: მით თავი გაიზვიადა, ესე იგი თავი გაიამპარტავენა იამან.

მ ე ო თ ხ ე — ღიამან, ეს ცხადად და ნათლად იგულისხმისყოფება: ღიას ნიშნავს.

საქართველოს კათოლიკოსის ანტონი პირველისაგან ნათქომია წმიდის დიდებულის მოწამის ქეთაევან, საქართველოს დედოფლის, მეფის თეიმურაზ პირველის დედის შესხმასა შინა:

ი ა მ ბ ი კ ო

ეს ქრისტეს სძალი, იასპ მკვირვალი ლალი,
არ ნათელ მცხრალი, არ ყვავილ ფერით მზრალი,
აქვს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უცს სალი, მით დასცა მძლავრი მწყურალი,
ამას იქმს ქალი, ბუნებით ქირთა მკრთალი.

ამ იამბიკოს საშუალზედა და ბოლოს რიფებზედაცა ა ლ ი არის გამოყვანილი — ღმერთისა სიყვარულისა აღსა ნიშნავს, რომლისა მიერცა არა რიდა მოწამემან ცეცხლისა აღსა. თუ თქვენც დამემოწმებით, ეს იამბიკო მშვენიერად არის ნათქვამი.

ამაზედ მეტი ამ ჰელათ არა ცალმიცს. გთხოვ, მომიტევეო და ხშირად მომწერე რაც ამგვარი შეგხვდესთ და წარსრულის თვის თქვენის წიგნის პასუხს მოველი, რომელიც მე მოგწერეთ და ამის პასუხსაც ნუ დამიგვიანებთ.

ჩემ მაგიერად, ყოველთა მეგობართა თქვენთა, მდაბლად მოკითხვა მომიხსენეთ, რადგანაც ყოვლის გულით თქვენთან მარადის ვგიე შეკრულ აღუხოცელად.

მდაბლად საქართველოს მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ .

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი :

საბას წიგნები რომ გიშოვნია, დიახ კარგი არის ქართულის ენისათვის. ხპირად იკითხეთ.

ამ წიგნის წერაში ცოტა ავიქარდი, გთხოვ მომხატვეო!

4

უსაკუთრესო მეგობარო უფალო ბროსეტ!

ივნისის კბ დაწერილი შენი წიგნი მივიღე ივლისის ივ. მაშ სად გამოიხატება, ანუ რო.ჩელსა ადგილსა დამტკიცდება შეურყვევლი მეგობრობა, თუ არა ჭეწნარიტს ხელიდან? ჩე აღვიარებ ამას და ბრალათაცა ესდებ ჩემს თავს, აქამდის თქვენთან წიგნის დაგვიანებას, მაგრამ მოიმედე ვარ შენი, ვითარცა ერდგულისა მეგობრისა და მოყვარისა (ჩვენთა მესტიხეთა შორის მოთა^ს რუსთაველისა: „თქმულა სიწყნარე გმობილი, „სჯობს სიჩქარესა ქებულსა) რომ არ ამიჩქარდები და არც განმირისხდები, არამედ ბროსეტ იქნება ჩემთვის მარადცა ვითარცა იყო და ვითარცა არს. მე დიდი შეცოდება მაქვს ასე წიგნის დაგვიანებისათვის რადგანაც ადრევე მივიღე ორგზის წიგნი შენი ზედას-ზედა, და მე პასუხილა ვერცა ერთისა შემემთხვა მოწერად. [უფქველად იყო ესე ამა შენდგონთა ძლით შემთხვეულებათა: ერთი განუზომელისა ჩენისა ვნებისაგან, რომელსა ეგროპიელნი უხნობენ იპოხო დროისა (და ამ ლექსს ჩვენს ენაშიაც ვხმარობთ), აზიელნი უხნობენ სოვდასა, რომელიც არაბული ლექსი არის და ჩვენ, ქართველებს, სევდა დაგვირქმევიდა და ამ ლექსს ესრეთ ვხმარობთ. ხოლო ქართულად ამას ეწოდების კაეშანი. ვგონებ სენი ესე არა არს ეგრეთ მომატყვებელი სიკვდილისა, ვითარცა შემაწუხებელი მრავალგზის უბრალოდცა. მე კი ასე მაქვს ჩემს განზრახვაში დამტკიცებული, რომელ ამისი მკურნალი სხვა არა არის რა, გარდა კეთილისა და თავისუფლისა ჰაერისა. მეორედ: რომელთამე საქმეთა და გარემოებათა [ჩემთა] საკუთართა არა მაცალეს, მაგ-

რამ ამაში ბრალი მაქვს. რადგანაცა მე ჩემის თავის ბრალს თვთ აღვიარებ, ამისთვის წმიდა სახარება ამას გვიბრძანებს: „ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატყვევბად“. შესამედ: ზოგჯერ ავადმყოფობა მიშლის.

ამაზედ მეტი არ ძალმიცს აწ გრძლად მოგწეროთ, მომიტყევე! ფრიად სწუხდა და სწუხს სული ჩემი სენისა ზაგის მომსვლელისა ხოლერად წოდებულისა.

ამას შინა სხვათა წამალთა გარე უპირველესი არს ვედრება ღვთისა მიმართ, მაგრამ მე ამაზედ ვმადლობ ღმერთსა, რომ მშვიდობა არის ახლა ამ სნეულების ძლით პარიზსა შინა და ფრანკიასა და შენ ჰვიე მშვიდობით.

შენი უსაკუთრესი საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა ქრისტესით ჩულბ, ქკს ფკ. ივლისის იმ პიტერლოფით.

მინაწერები:

ქ. მივიღე ღერბი ფრიად მშვენიერად გამოხატული ღირსი ქებისა და მადლობისა. ამას საუკუნოდ ვალადა გვღებ ჩვენზედ. ღმერთმან გვიცოცხლოს შენი [თავი] და ჩვენც მაგიერი სიკეთე შეგაძლებინოს.

ქ. ყოველნივე ჩვენნი ნათესავნი თვისნი, ტომნი და ჩვენნი მექვეყნენი მოყვარენი მამულისნი, მოკითხვის მადლობას და სიყვარულით მადლობას მოგახსენებენ და მოკითხვას.

ქ. ზოგს რასმე ვამზადებ წერილს აღრევე თქვენგან კითხულისათვის და მერწმუნე მალე მოგართმევ.

ქ. ეს წიგნი საჩქაროდ დაეწერე და ამ თქვენის წიგნის პასუხი, რომელიც მე მივიღე ამ რიცხვში, უეჭველად მოგერთმევათ თვითოეულად. ჟურნალებიც მივიღე ხუთი წიგნი.

ჩემთან მოწერილს წიგნს შარმუას წარმოუგზავნიდეთ, ახლა მშვიდობით არის.

5

**უსაკუთრესს მეგობარს, უფალს ბროსეტს
მოწყალეს კელმწიფეს!**

დიდის სიყვარულით მრავალს მოკითხვას მოგახსენებთ და თქვენს მშჯდობით სუფევას ვისურვებთ.

მოგილოცავთ წარსრულთა ამათ დღესასწაულთა და ახალწელსა, რათა მშვიდობით და ბედნიერად და მხიარულებით სცხოვრებდეთ მრავალსა წელსა ყოვლითა თქვენისა ჭომილიით და მახლობელებითურთ.

თქვენი წიგნი სხვასა და სხვასა დროსა წარსრულსა ამას წელსა მივიღე. მაგრამ მე პასუხი დამიგვიანდა და თქვენთან უკაცრაოთ, მაგრამ რაღცა შარშანდელსა წელსა კითხული თქვენ მიერ იყო ჩემდამო წარმოვლენილი, ყოველივე სხვათა და სხვათა წიგნთა ზედა ამ წიგნსა თანა მომირთმეგია უნაკლულად.

ტ. პირველი: ისტორიათაგან ჩვენთა გამოკრებული, თუ რაოდენნი იყვნეს მეფენი ჩვენნი, რომელთა ეწოდათ გიორგი ანუ ვახტანგ, რაოდენნი იყვნეს და შეძინებულ არს მასვე წიგნსა შინა ისტორია შემოკლებით, რომელთამე მეფეთა ჩვენთა და ესე წიგნი მომიძღვნიეს მეაზიელისა საზოგადოობისათჳს თუთ ჴელით წერილი ჩემ მიერ მხედრულს გრგვალს ჴელად.

ჴ. ანბანი ქართული მშვენიერად აღწერილი ეგრეთვე მეაზიელესა საზოგადოობასა უძღვენ, ამასვე თანა ერთს ყოვლად წიგნად შეკრული.

ჴ. მესამე: ეპისტოლე ჩემი თქვენდა მომართ, სხვათა და სხვათა შენ მიერ კითხულთა განმარტებანი და საზომნი სტიხთა ქართულისანი, თქვენ მოგიძღვანეეთ.

ჴ. კვლად, მეოთხე: რვეულსა ზედა აღწერილი თვეთათჳს სხვათა და სხვათა ენისა, რომელიცა ერთსა ქართულსა ლექსიკონსა შინა ეპოვე და გამოგიწერეთ სრულიად და მოგართვი.

ჴ. ამათვე წიგნთა თანა იხილავთ ცალკე მცირესა რასზე წერილსა, რომელიცა გკითხეთ თქვენ საუწყებელად თქვენ მიერ ჩემდამო.

ადრევეც მომწერეთ და შემდგომად ამა წარსრულის წლისა ოკტობრის 2-რისა რიცხვით რომ მწერთ წიგნას თქვენსა, იმაში მოგეწერათ: რომელიც ადრევე ჩემის ძმის, მეფის ძის დავითისა ისტორია ჩემგან წარმოვლენილი თქვენდამი მეაზიელეს საზოგადოობისა მიმართ ძღვანელი გითარგმნიათ ჭრანციულს ენაზე, და რომლისათჳსაც მკითხავთ, რომ გსურის რომელ დააბეჭდინოთ. და მე რჩევასა რომ მკითხავთ, მოგახსენებთ, რომ დია კარგი იქმნება რომ დაიბეჭდოს. მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებეთ, რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა. მე სხვა არა რა მიზეზი მაქვს, რომ ჩემს სახელს არ გაწერინებთ მაგ წიგნში, რადგან ეგ წიგნი მე აღვსწერე. იქმნება წარმკითხველთ ასე იფიქრონ, რომელ

თავის ძმათ სიყვარულით მეტები და მომატებული ქებაები დაუწერიაო, მაგრამ მე წინაშე ღვთისა და წინაშე თქვენსა ქვეშარიტებით ამას აღვიარებ, რომელ რაც ჩემს ძმას, ზეფის ძეს დავითს, სიკეთეები სჭირდა და საქებელი საქმეები ჰქონდა, იმის ღირს სახსოვართა საქმეთაგანი მეთედოცა ნაწილი არ აღმიწერია, მგონია, რომ საქირო არ იყოს მაგ წიგნში მოხსენება ვისგანაც არის აღწერილი. მაგრამ ამაზედ არამც თუ ნებას არ დაგროთავ, არაზედ ვედრებითაცა გთხოვ, რომ რადგანაც ზადენი ღვაწლი დასდევ და ეგ მეფის ძის დავითისა ჩემის ძმის ისტორია სთარგმნე, თქვენს ღვაწლს ნულარ წაახდენთ და დაბეჭდეთ და გამოეცით, რომლისათვისცა ვიქმნები მე დიდად მოხარული და მაღლობელი შენი, უსაკუთრესო მეგობარო ჩემო! და არათუ მე, ყოველნი ნათესავნი ჩემნი და რომელნიცა სიბრძნის მოყვარენი ქართველნი არიან, ყოველნივე ესე ოდენსა გულისა შენისა სიკეთესა ზედა და გულს-ზოდგინებასა შენსა ზედა ფრიად მაღლობელ და ზაქებელ არიან და იქმნებიანცა¹⁸.

გარდა ამისა, სხვათა ლიტერატურათა შორის, ჩემ მიერ წარმოვლენილთა, ვითარცა სათნო გიჩნდეს, შთასწორდე სახელთა ჩემსა. სხვებრ შენ უწყი, უსაკუთრესო მეგობარო ჩემო, ვითარცა უმჯობეს არს, ეგრეთცა ჰყოფდე ნაღვაწთა ჩემთა ზედა. მე არცა ერთსა რასაზე ზედა დაგაბრკოლებ შენ, მოვაგდებ ნებასა შენსა ზედა და ვიცი სარწმუნოდ არაოდეს უგულლებელს ვიქმნები შენ მიერ.

სრულისა გულსმოდგინებითა ვმეცადინებო ძალისაწებრ ჩემისა შრომასა ჩინებულისა წაგის უბრძნისისა მეაზიელისა საწოგადლობისა მიმართ, და უკეთუ ღირს შესაწირავსა ვერარას უილებდე მუშაკობად, ვგონებ, რომელ ეგრეთცა ერთი მხოლოდ სურვილი ჩემი შრომისათვის არა უგულლებელს იქმნების ამას ზედა მათ მიერ.

უფლისა სანქტ-მარტინისათვის ფრიად ჰსწუხს გული ჩემი, ფრიად დასანანებელ არს ეგე ვითარი კაცი ბრძენი და გონიერი სწავლულებითა სავსე და კეთილი.

უფლისა განსვენებულისა სანქტ-მარტინის ჯელით წერილის წიგნისა რომელიც მოგეწერათ მე ზაქესო და ჩემთვის გეთხოვნათ, რომ იმის აღბეჭდვაში მე გექმნეთ მმოდვრებელ (ანუ ცენზური) მისი, დიდის კმაყოფილებით მივიღებ, და თუ ცთომასა რასაზე ვიხილავ, განემართავ და შემდგომად კვალად თქვენ განსჯით ჩემგან გაძართულს და ეგრეთ აღბეჭდთ. ასე მემჯობნება: რამდენადმე გააყოთ ეგ წიგნი და თვთოს ჭოშტაზედ, ანუ მგზავრობაზედ, თითო-თითო გამომიგზავნოთ. მე არ დაგიგვიანებ, მალე გავძართავ და ისე მო-

გართმევ. და თუ შეიძლება, თითო ფურცლის გვერდის ნახევარზედ რომ იყოს დაწერილები, იმის ნახევარზედ პირდაპირ განმაოთვას მოუწერ და ონტოგრაფიასაც გაუმართავ და ისე მოგართმევ.

მანდ დაბეჭდილი თქვენ მიერ წარმოვლენილი ლერბები¹⁹ მომცა უფალმან ჩემმან საკუთარმან მეგობარმან ბრძენმან შარბუამ. დიდად მადლობას მოგახსენებ, საუკეთესო არის და ეგრეთვე მცირე წიგნი თქვენ მიერ ჭრანციკულად აღბეჭვული. ამ პატარას წიგნაკში თვეცებისა და წელიწადთათჳს ფრიად კარგათ არის აღბეჭვული, მაგრამ სხვას ადგილებში რომელიმე შეცთომა არის, ამისთჳს ვგონებ შარშან მე რომ მოგწერეთ კაის ჳელად ვერ იყო დაწერილი ჩემი მოწერილი და ან იქმნება რომელ სტამბაში შესცთათ. მე ამის შეცთომადებს ამის შემდგომად მალე მოგართმევ. რადგანაც ჩვენი ლიტერატურა თქვენში ახალი დაწყებული არის, პირველს დაბეჭდილებაში არ იქნება შეცთომა არ მოვიდეს²⁰, მაგრამ შემდგომსა და შემდგომს დროში კი უკეთ იქმნება და ამისთვის ორი რამ დაიმარხეთ: ერთი ესე, რადცა ჩემგან მონაწერები იყოს ხოლმე, კარგათ, გულსმოდგინებით წაიკითხევდე ორჯელ და სამჯერ და რომელსაც სიტყვას ანუ აზრს ვერ გაიგონებდე, მომწერდე, უფრო ადვილათ განვიმარტებ და ნათლად გიჩვენებ და ცხადად. მეორე, დაბეჭდვაში ცალიან გაუფთხილდი, რომ არ შეაცდენდენ, ანუ ქართული წერილობაები რაც იყოს შიგ ჩატანებული, იმათი ასო ან ლექსი ნაკლებად არ მოვიდეს, ან სიტყვა მრუდედ. და ზოგს დასაბეჭდს მე გამამართვინებდე და ეგრეთ დააბეჭდინე, რომ ან მე და ან თქვენ არავინ დაგვზრახოს, რომ ფრთხილნი არ არიან ლიტერატურაშიო.

თუმცა მრავლისა მეტყველებითა თავს გაწყენ, მაგრამ ვსასოებ ჟამსა თჳსსა არა უსარგებლო იქმნნეს ესეოდენი შრომაჲ შენი ენისათჳს ჩვენისა. მე მარადის განმზადებულვარ და გთხოვ, რათა საზოგადოობისა მიმართ მეაზიელისა, ცხად ჰყოფდეთ სურვილსა ჩემსა: წარადგინოთ ჩემ მიერ წარმოვლენილნი წიგნნი ამა წიგნსა თანა, და შარშანდელსა წელსა რომელიცა წიგნები მოვართვი საკუთრად საზოგადოობასა, იმისიცა და აწინდელისაცა საზოგადოობამან მცირედისა ბარათითა, ესე იგი წიგნითა თჳსითა, მიბოძონ მე უწყება, რომელ მიღებულ იქმნა და ღირსი შეიქმნა ნალეაწინი ჩემნი ჩინებულისა მაგის და ყოვლად ბრძნისა მეაზიელისა საზოგადოობისა მიმართ მსხვერპლებისა. და მე ნიჳად ჩემდა და სახსოვრად დავსცვა წერილი მათი ჩემდამო ბოძებული საუკუნოდ.

ხოლო რომელნიცა წიგნნი საკუთრად მოგართვი, უსაკუთრესო მეგობარო ჩემო, თქვენ იგინი დასცვე თჳთ საკუთრად შენთჳს

ვარ ღვაწლათოვს თქვენთა, რომელსაცა სდებთ ვალად ჩვენზედ ენისათვის ჩვენისა, დაწერილობათა, სხვათა და სხვათა. ეგრეთვე ეურნალეზიკ მივიღე და უფლისა სანტ-მარტინის ცხოვრება აღწერილი და საქებელნი საქმენი მისნი შობითგან მისით ვიდრე აღსასრულადმდე. და როდეს მოცალეზულ ვიქმნი, გარდავთარგმნი ამას ქართულად, რათა ქართველთაცა წარიკითხონ ღირსსახსოვარისა მის კაცისა საქებელნი საქმენი სახსოვრად მისსა.

ვეფხის-ტყაოსანზე თქვენ მიერი შრომა მოგეწერათ და აღბეკვდა. მე თითონ ვეძებე ვახტანგ მეფის სტამბისა, თქენთვის მინდოდა წარმომეგზავნა, მაგრამ აქ ჯერ ვერსადა ეპოვე, თუმცა ერთი ექზეზმლარი მე მაქვს ჩემთვის, რომელსაც აქ ჩვენს საბლშიაც ხშირად კითხულობენ. დიდის სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაძველებული არის, რომ თითქმის უფრო მეტი ფურცლები დახეული და ზოგგან დაკარგული ფურცლები ხელით არის ჩაწერილი. და ვახტანგ მეფისაგან განმარტებაცა სრულად არ არის, ფურცლები აქლია. კიდევაც ვეფებ, თუ ვიშოვნე, გამოვგზავნი, მაგრამ სწორეთ კი არ ვიცი მეშოვნება თუ არა.

მე ლექსების განმარტება ამისი ადრევე დაეწერე, მაგრამ თერთად არა მაქვს გადმოწერილი. დიდად კმაყოფილება იქმნებოდა ჩვენის ქართველებისათვის, რომ ვეფხის-ტყაოსანი დაიბეკდოს ერთს წიგნათ და კიდევ იყიდოან და კარგს ფასათაც გავიდოდა. და ეგების ეცადნეთ კარგის ასოებით, კარგს ქალაღღზედ მოამზადოთ და დაიბეკდოს. მომწერეთ მე თითო ექზეზმლარი მანდ როგორ დაჯდება, რა ერთი ფასი წავა და მეც მოგწერ, როგორც გაიყიდება, მეაზიელის საზოგადოობის ფულით რომ დაიბეკდოს და ისევ საზოგადოობისათვის გაიყიდოს, სარგებლობა იქმნება და თუ საკუთრად თავის ფულით ვინმე დაბეკდეს და არას წარაგებს, კიდევ მოიგებს მგონია. და თუ მოხდეს დაბეკდა, მხოლოდ ლექსების გასწორებისათვის, რომ ტყუილები არ ჩაიწეროს, ესეც შეიძლება მე მიჩვენოთ, ორგინალი ერთს თვეზედ ნეტი არ დაუგვიანდება. მე იმავე ორგინალნი გავასწორობ და ვახტანგ მეფის სტამბისას შევამოწმიბ. თითო-ოროღს ალაგს ვახტანგ მეფის სტამბაშიაც არის მესტამბისაგან შეტომმა (ესე იგი დაბეკდვაში). ბევრს ალაგს კი არ არის, ცოტას ალაგს, იმასაც გავისწორობთ და სამს თეჯზედ ნისეღითა და მოსეღით მანდავ მოგივათ ორგინალი. ვახტანგ მეფისაგან განმარტებულსაც ზედავ მოვაწერიინებ და ისე დაბეკდეთ, რომ ხალხში გამოვიდეს, კარგი რამ იყოს. როცა ვეფხის-ტყაოსანი, თუ დაბეკდოთ ცალკე ერთს წიგნათ, მარტო მხედრუღის ასოებით დაბეკდეთ,

ხუცურს ნუ ჩაატანთ ამისთვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხის-ტყაოსანსა და იმათში ხუცური ბევერმა არ იციან. მართო მხედრული წიგნი იციან. და თარგმანით ფრანციუსულად დაბეჭდვა, როგორც თქვენი სურვილი არის, რომ ფრანცის წერილთ მოყვარეთ წარიკითხონ და შეიტყონ რუსთაველის შრომა, დიახ კარგათ გიფიქრიათ და დიდად მომწონს თქვენი განხრახვა და შრომა. ამას წინათა ვეფხის-ტყაოსნის ბოლოს ლექსი რომ გეკითხათ, ადრევე მოგართვი განმარტებული²⁶.

მე ერთი სათხოველი მაქვს თქვენთან: მე ხუცურის წერილის ასოები მინდა. თუ შეიძლება, მანდ, პარიჟში, განიკეთებინე ჩემის ხარჯით. რე რომელიც რომ ამბანები ერთს წიგნათ შეეწირე მეაზიელეს საზოგადოებას, იმაში დიდი ასოები რომ არის ხუცური ასომთავრული, იქილამ მინდა რომ გარდმოიღოს კარგმა კელოვანმა ოსტატმა, მაგრამ ნაკვეთობა და სახე კი არ უნდა წაუხდინოს. ყოველი ასო, როგორც რომ მაგ წიგნში არის, სწორეთ იმ სახით უნდა გააკეთოს, მაგრამ მსხვილი ასოები კი არ მინდა. დიახ მინდა და წერილი ასოები იყოს. ასე პატარა ასოები უნდა გამიკეთოს, რომ თვალთ ძლივსა ჩნდეს, რომ ცოტათ ხნიერმა კაცმა უსათვალთ ვერც კი წაიკითხოს. ამას თუ კარგი ოსტატი არ შეხვდება, ძნელი არის გაკეთება და შემიტყუე და შემატყობინე ან ფასსა როგორ და რა ერთს აიღებენ. ეს ამისთვის მინდა, რომა საუბე სახარება დაიბეჭდოს და რომელიმე სხვა სახმარად, რომ უბეში ჰქონდეს კაცსა და ისე ატარებდეს.

მონისკრიბტები აქვსთ ბევრსა, თითონ მეცა მაქვს მშვენიერად დაწერილები. მგზავრად რომ წავალთ სადმე, უბეში შევიანახავთ სიმსუბუქისათვის; და ქართველებს ბევრსა სურსთ, რომ ჰქონდესთ სტამბით დაბეჭდილი და ზოგი სალოცველი წიგნები, ამისთვის მინდა, აქაც თუმცა არიან ოსტატები, მაგრამ პანდ უკეთესები იქმნებიან.

ამისთვის გთხოვთ, შემიტყუთ და წერილით შემატყობინოთ რომ შეიძლება თუ არა.

მეუღლემან ჩემმან, მეფის სძალმან, მდაბლად მადლობა მოკითხვისათვის და პატივისცემით მოკითხვა მოგიძღვანათ და ეგრეთვე სხვათა მონათესავეთა ჩემთა.

მარადის გულით ერდგული და პატივისცემელი თქვენი
საქართველოს მეფის ძე თეიმურაზხ.

წელსა 1833-სა.
ოქტომბრის 9-სა
სანქტაპეტერბურგით.

საკუთარო მეგობარო ბროსეტ!

ეს ფურცელი ამ ისტორიისა გაგიმართე. მაგთენი არა იყო რა შეცთობა.

ეს ინებეთ, რომ ამ წიგნში საცა დასაწყისებრ არის თვთოსა და თვთოს აემთხვეულებისა თავებში ზედა წარწერაები, ამ სახეთ გაუკეთეთ:

შემთხვეულება პირველი.

შემთხვეულება მეორე.

შემთხვეულება მესამე (და თვთოსა და თვთოს თავზე ამ სახეთ მოაწერეთ) და სხვანი.

გთხოვთ, ვისგანაც ეს წიგნი არის ქმნილი, იმისი სახელი ამ წიგნიდამ ამოიღოთ, როგორათაც რომ აღრეც მოგწერათ, მარტო ამისთვის ის კმარა, რომ ორგინალში არის მოხსენებული, თუმცა ამ მოთხრობაში წინააღმდეგი რაჟ არა სწერია რა, რომ დაძაყენებელი იყოს და დანაბრკოლებელი რაზედმე, მაგრამ იმან ასე თქვა, ამ წიგნში ჩემი სახელის ხსენება სულ ნუ იქმნებაო, რა საჭირო არისო. მხოლოდ თუ საჭირო იყოს, რომ ვისგან არის ეს წიგნი ნამუშავეი, ასე უნდა დაიწეროსო ამ წიგნში, რომ მაშინდელთ მომსწრე კაცთაგან არის, ვინცავენ ამ შემთხვეულობებში დასწრებიან და გამოწერილი სხვისა და სხვის ბარათებისაგან (ესე იგი მონაწერის წიგნებისაგან). და ამ მოთხრობაში ბოლოს შემთხვეულებაში საცა ეწეროს ამ წიგნის გამკეთებელის სახელი, ისიც ამოიღეთ და დაბეჭდაში ნუ ჩაატანთ ნურც ქართულსა და ნურც ჭრანციკულში ამ წიგნის გამკეთებლის სახელსა, ნურც თავს ნურც ბოლოს და ნურც საშუალზედ სრულად²⁷.

ეს მოთხრობა ამ ფურცლითა სჩანს, რომ დიახ კარგათ და ლამაზათ იბეჭდება. რადგანაც ზაფხულით მე ქალაქს გარეთ ვსდგე-ვარ და შორს, ამისთვის მე ეს თქვენგან გამოგზავნილი ორი ფურცელაკი მომცეს აგვისტოს თვს 17^ა და 20^ა. ამ აგვისტოში სრულყოფილი წარუგზავნე გამართული პაკეთით მას, ვისაც გამოგზავნა. ჩემთან არ დაჰგვიანებია და ისიც ქალაქში არა დგას, ქალაქს გარეთ სხვას მხარესა დგას. და ამას იქით მე თითონ მოვიკითხავ ყოველთვის თქვენს გამოგზავნილს. რაც გასამართაფი გექნებათ, იქავ გამოგზავნეთ და ვეცდები ყოველთვის, რომ არ დაგიგვიანდესთ ხოლმე.

მ ი ნ ა წ ე რ ი:

თქვენი მშუდობის ამბავი მაცნობეთ თქვენის წიგნით.

[1833 წ.]

უსაკუთრესო მეგობარო ჩემო და საყვარელო უფალო ბროსეტ!

პატივისცემით და სიყვარულით მოგიკითხავთ და შენს მშვიდობას ვისურვებთ. დიდი ხანი იყო თქვენი ჩემთვის სასიამოვნოდ მისაღებელი წიგნი აღარ მომსვლოდა, მესმოდა შენი აქ მოსვლა და წიგნი ამისთვის ველარ მოგართვი. 22¹⁸ მარტის წიგნი თქვენი 9-სს მაისს მივიღე, ამაშიაც მოგეწერათ იმედი მისვლისა, რომელ უფალი ვიზოტ მოღვაწეობს და ჯერ პასუხი არ მიგიღიათ წარმოვლენისა აქა როსიად პეტერსბურგსა შინა და განვისაროთ ერთმანერთის ნახვით. გუშინ, რომელ იყო მაისის 14 რიცხვი (ჩვენის ანგარიშით), ვიყავ უფალს შარბუა ჩემს მეგობართანა საღანოს ჟამს და მთელი დღე თქვენის ლაპარაკით გავატარეთ. შარბუამ ასე მითხრა, რადგანაც რომ შეაზიეღე საზოგადოობისა განმგე მინისტრი იყო, ის გამოიცივალა და ამისთვის დაგვიანდა უფალი ბროსეტის აქ გამოგზავნაო. მაგრამ მოიმედე ვარ ღვთით, რომ მალე გნახოთ. მცირეს ხანს რომ აქ დაჰყოფთ, ქართულს კარგათ შეისრულებთ, საქართველოშიაც მცირეს ხნობით მოვლით და შემდგომად ღმერთმან ჰყოს რომელ დიდებულსა პარციასა შინა, ვითარცა არიან სხვათა ენათა სასწავლებელნი, ეგრეთვე ქართულისა ენისა თქვენ გახსნათ პირველად და აირველი მოძღვარი და პრეფესორი თქვენ იყვნეთ. და ისწავებდენ ფრანციის ერნი ქართულსა, ვითარცა სხვათა ენათა ვინაჲდგან. ჩე თქვენს გონიერებას ვარწმუნებ, შესაძლებელ არს ქართულსა ენასა ზედა ესრეთთა ძველთა წერილთაგანთა ისტორიისა, გინა სხვათა სიბრძნეთა. რომელ ევროპიამან იგი იეასხოოს ჩვენგან.

დოსითეოს იერუსალიმის პარტიარხისა²⁸ ისტორიის პოვნა მოგეწერათ, რომელშიაც არიან საქართველოსი ზოგი რაჲმენი ისტორიანი, ბევრი კარგათ არის და სწორედ და ზოგში კი შემცდარა. ის დოსითეოსის ისტორია 1817¹⁸ წელსა კურთხეულს განსვენებულს ჩემს ძმას, უმაღლესს მეფის ძეს, დავითს მოეტანიებინა მოსკოვიდამ ბერძნების მონასტრიდამ. მე მიბოძა. აქ ერთი ბერძენი ვიშოვეთ, რომელნაც ელინური და რუსული კარგათ იცოდა, გიორგი სახელდებული, ისი ჩყვანდა თანაშემწედ. თუმცა ყმაწვილობას ვსწავლობდი ბერძულს, მაგრამ ჟამთა ცვლილებისაგან ვერ

* დნ. ნიბრძანა.

შევისრულე. ამისთვის გიორგი ბერძენი შევიწივე. იგი რუსულად მეუბნებოდა და მე ქართულად ვსწერდი. ზოგი გამოვსწერეთ. უფრო მეტი მერმე ჩემმა ძმამ დავითმა ინება და მე და იმან ერთად შევასწორეთ სხვასა და სხვას ჩვენს ისტორიებსა და შემდგომად წარუგზავნეთ ტფილისს ჩვენს ოსტატსა დავითს ალექსიშვილს²⁹, რომელიც პაპის ჩემის მეფის ირაკლის დროს და მამის ჩემის მეფის გიორგის დროს იყო ინკუბექტორი და უპირველესი მოძღვარი საქართველოს სასწავლებელთა. და დიდი სასწავლებელი ჰქონდა გამართული კახეთს, ქალაქსა შინა თელავს, სამეფოს პალატის ნაწილშია და იქ ასწავლიდა მამის ჩემის მეფის გარდაცვალებამდის. მერმე თავისის ნებით გადამდგარი იყო და საქუთრებით, ვითარცა შეენის ჭილოსოფოსსა, ისე სცხოვრებდა.

ეს დავით ალექსისშვილი იყო შაგირდი ანტონი კათოლიკოსისა პირველისა და ჩემის ძმის დავითისა და ჩემი ჭილოსოჭიისა, ისტორიისა და ქართულის ენისა და წერისა მოძღვარი ის იყო. ჩემი ძმა დავით ხომ აღრევე ბარებოდა და როცა სწავლის დრო მომივიდა, მეც იმას ვებარე და ის მასწავლიდა და სხვა ოსტატებიც მყვანდნენ. იმ ჩვენმა ოსტატმა, დავით ალექსისშვილმა, საქართველოს ისტორია დიახ კარგათ იცოდა, და არამც თუ საქართველოსი, საზოგადოდაც კარგი ისტორიკოსი იყო. ეს ჩემგან ნათარგმნი იმას წარუგზავნეთ ტფილის და იმასაც გავაჩხრიკეთ. საცა რა შეცთომა იყო დოსითეოსის ისტორიაში, როგორც ჩვენ შევნიშნეთ, იმანაც დაგვიმტკიცა.

ახლა თქვენ სრულად რომ გამოსწერთ და მე გამომიგზავნი, ყოველს ადგილებს მე შეგიინიშნავთ და ისე მოგართმევე, რომ ისტორიაში იხმარებთ თუ ჟურნალში, გასწორებული იყოს, რომ საქართველოს ისტორიას თანახმობდეს და დროზედ ეცადეთ, რომ შეასრულო და გამომიგზავნოთ ეგე დოსითეოს პატრიარხის ისტორიიდან გამოწერილი ქართული ისტორიანი.

ველად მოგეწერათ ჩემთვის მი რ ი ა ნ ი³⁰ ვსთარგმნე ჭრანციკულათაო. მე არ ვიცი ეს მი რ ი ა ნ ი რომელი და რა წიგნი არის. მი რ ი ა ნ ი უეჭველად ან მი რ ი ა ნ მეფის ცხოვრება უნდა იყოს, რომელიც რომ მეფე იყო სრულიად ზემოხსა და ქვემოხსა საქართველოხსა, რომელიცა დიდის კოსტანტინე ბერძენთა და რომის კეისრის თანამედროვე იყო და მის, მირიანის, დროს მოიქცა სრულიად საქართველო ქრისტეს სარწმუნოებაზე.

სხვა წიგნიც არის ქართულს ენაზედ მი რ ი ა ნ ი, საერო წიგნი არის, ზღაპარი არის და მომწერეთ რომელი არის, თუ ახალი რამ სხვა იშოვნეთ, რომელიც ჯერ მე არ ვიცი.

ჭურცილები თქვენ მიერ ნაშრომი და აღბეჭდილი ლამაზათ ქართულის სჯულებიდან გამოღებული ნაწიკაციისათვის საყოფელნი, განვიხილე. დიახ ლამაზი და კარგი წერილი არის, და ტრიქონები რომ შორი-შორს არის, დიახ კარგათ გიფიქრიათ, უკეთ აჩენს წერილს, მაგრამ ჩემთვის რომ მოგეწერათ, თუ მომწერათ სტამბაში ამის ასოებს გამოვართმევო, ნუ სთხოვთ, ჩემთვის არ მინდა, ამისთვის მე ხუცური ასოები მინდა სულ სხვაგვარი. და აქ დამპირდნენ, რომ გამკეთებელს აქ მიშოვნია. თუ მე მანდ ვიყო, მე შემეძლო მეჩვენებინა თუთ, როგორც მინდოდა გასაკეთებლად ჩემის ხარჯით. მე აქ ფრანციკული ასოები ასეთი ვნახე წმიდა და საკვირველად მშენიერად გაკეთებული, რომ აღარ შეიძლება უკეთესი სილამაზე. რასაკვირელი არის, იმ ასოების გამკეთებელი ქართულსაც რომ უჩვენოს ვინმე, კარგათ გააკეთებს, რადგანაც მანდაურნი ოსტატნი ძალიან არიან დახელოვნებულნი, ამისთვის მოგწერეთ, ახლა საჭირო აღარ არის ჩემთვის.

სულხანის ლექსიკონის თარგმანი დიახ მიამა, უცხო საქმე გიქმნია³³ და რაც გასამართავი იქნება, მე არ დაგზარდები და გულსმოდგინებით გაგიმართავ. ეცადე, ყოველს წერილებში, ყოველთვის კარგათ წაკითხვას, რომ სწორეთ გამოიცნა და მიხედე, რომელსაც ვერ მიხედე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი ამისთანა შაგირდი გყავსო.

მე რაც დამზადებულები მაქვს ახალი, შევასრულებ და მოგართმევ. პასუხს და შენის მშვიდობის ამბავს ნუ დამიგვიანებ. ღვთის მოწყალებითა მუსიეი შარმუა ახლა კარგათ არის. ესეც ქალაქს გარეთ აგარაში, ესე იგი საზაფხულოს სადგომს ბაღჩაში, აპირობს გასვლასა და მეც ამ დღეებში ვაპირობ პეტერლოფს, მაგრამ დიდი ხანი არ არის ჯერ აქ ზაფხულის დაწყება და წვიმები არის. მე ზამთარში ხომ ყოველთვის პეტერბურგში ქალაქში ვდგევარ და ზაფხულით პეტერლოფს. ჩვეულებისამებრ წიგნს რომ მომწერდეთ, შარმუას გამოუგზავნიდეთ, ის მე გამოიგზავნის ყოველთვის.

უსაკუთრესად და უმდაბლესად მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1834სა.

მაისის 16სა.

სანკტ-პეტერბურგით.

ქ. ამათთ უმაღლესობათ დედოფალმაც, მეფის სძალმაც, ჩემმა მეუღლემ და სხვათა ჩვენთ მონათესავეთ და აქ მყოფთ ქართვე-

ლებმა — მოკითხვის მადლობა. და ჩემი მეუღლე, მეფის სძალი, კვალად სიყვარულით და პატივისცემით მოიკითხავს თქვენს-მეუღლეს უფრო საკუთრად.

9

ჩემო უსაკუთრესო მეგობარო, უფალო ბროსეტ!

ამ პატარას ქალაღღში, რომელიც ამ წიგნში ძეგს, კიდევ სხვა ქალაღღი ძე[ქ]ს. იმაზედ ხაზი არის გავლებული, დღეს კონვერტის დაბეჭდაში დამაიწყდა. დღეს დიდს თქვენდამი გამოგზავნილს კონვერტში ველარ ჩავდე და ამ წიგნით მოგართვი. იქ იმ დიდს კონვერტში რომ წიგნი ძე[ქ]ს ჩემგან მოწერილი, თვით-ულად ცხადი არის იმაში რა სახეთაც უნდა მომიჭრეინოთ ყოვლად წერილი ასომთავრული ასოები ყოვლითურთ მსგავსი ნაკვეთობით იმ სულ დიდს ასომთავრულის ასოებისა, რომელიც ამბანი აღრევე მე მოუძღვანე მეაზიელესა საზოგადოობას.

ამას გარდა, მეაზიელე საზოგადოობის წიგნთ-საცავში ხუცუ-რი დაბეჭდილი წიგნები სრულადა გაქვსო თუ არა, ესე იგი საეკლესიო წიგნები რა და რა გაქვსო, მაცოდინე. მე ძაქვს მეტი საეკლესიო წიგნები და მე მოგართმევ. მეაზიელე საზოგადოობას რომ ჩვენი საეკლესიო წიგნები ყველა გქონდესთ თქვენს წიგნთა საცავში. ეს წიგნი საჩქაროთ დაეწერე და ამის შემდგომად რომელიც მაგ დიდს კონვერტში დამრჩა ჩაუწერლად, და ახალს თქვენგან კითხულის ცნობაებს, ყოველსავე მოგართმევ.

მინაწერი:

წერილად მომწერე რა და რა წიგნი გაქვსო საეკლესიო და რომელნი გაკლიათ, რომ არა გაქვსო²¹.

უსაკუთრესად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1834^{სა} ოკტობრის 17^{სა} ქკს თებ.

მისამართი:

მათს კეთილპობილებას, ჩემს საკუთარს მეგობარს, უფალს უფალს, მეაზიელე საზოგადოობის წევრს ბროსეტს მიერთვას.

10

წელსა 1712-სა ვახტანგ მეფეს რომ დაუბეჭდინებია ვეფხის-ტყაოსანი, იქილამ გამოიწერა ეს შემდგომი ბოლოს ლექსი. ამ ლექსში შეცთომა არა არის რა (იმ სახით გამოვწერე, როგორც იყო):*

* აზიზე: ჩფთ 1589.

1. ამირან დარეჯანის ძე, მოსეს უქია ხონელსა,
2. აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი ზას უქეს რომელსა,
3. დილარ გეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა,
4. ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთჳს ცრემლ შუეშრომელსა.

1. პირველს ტაეპში — ამირანს რომ ახსენებს დარეჯანის ძესა, მოსე ხონელმა დასწერა იმისი ზღაპარი. პროზათ არის დაწერილი ძველს ქართულს ენაზედა, დიახ ლამაზათ თხზული. ამ წიგნში, რომელსაც „დარეჯანიანი“ ეწოდება, თოთხმეტი ზღაპარი არის. თითოს ზღაპარს თითო კარი ჰქვან.

ამირან დარეჯანის ძისა ძლიერი კაბუკობა და მრავალი სხვადასხვა ბრძოლაები და შემთხვეულობა სწერია ამირანისაგან და სხვათა სახელოვანთა კაბუკთა.

ამირან ბაღდადის ქალაქისგან ყოფილა, იქაური სარდარი.

მოსე ხონელი შოთა რუსთაველის თანამოქაამე იყო. დიდებულისა და საუკუნოდ ღირს სახსოვარისა თამარ მეფისა, გიორგი მესამის ასულისა, სრულიად ივერიის თჳთმპყრობელისა მდივანი იყო და წარჩინებული.

ხონი ქვემოს საქართველოში არის, იმერეთის მამულში. ხონს ძველს ეაშში ქალაქი ყოფილა და მუნ არს მონასტერი ეკკლესიადიდი გუმბათიანი, რომელიცა იყო საეფისკოპოზო კათედრა იმერეთის ვაკისა.

2. მეორეს ტაეპში — შავთელი რომ არის; შავთელს ერისკაცობაში თითონაც აბდულ-მესია ჰრქმევია სახელად, ისიც, მდივანი ყოფილა თამარ მეფისა და დიდი წარჩინებულთაგანი მისი. აბდულ-მესია შავთელმან ბოლოს ეამს დაუტევა სოფელი, ბერად შედგა, მონაზონება შეიმოსა, იოანე უწოდეს სახელად. ქვემოსა-ქართველოში, იმერეთს, გელათის მონასტერში შევიდა, მუნ დაემკვდრა ლოცვთ, მარხვთ და დიდის მოღვაწეობით იქცეოდა და მუნვე აღესრულა.

შავთელს დაუწერია ლექსად საკვრველის შეთხზვით მოთხრობა აბდულ-მესიასი ვისიმე და ასე იტყვიან ჩვენში მომთხრობელნი, რომ იმასთანა საქები ლექსები (ესე იგი სტიხები), არაოდეს ქართულს ენაზედ არ დაწერილიყოს. და დღესაც ვინც ქართველთაგანმა საქართველს ისტორია კარგათ იციან და ქართულს ენაზედ მოლექსენი არიან, ასე ამბობენ: რუსთაველის ლექსებს შავთელის ლექსები სჯობნებიან და თამარ მეფის დროსაც შავთელის სტიხები ჳუმეტესად მოუწონებიათ. ამისთჳს თჳთ რუსთაველიც როგორათაც ამ სტიხში ემოწმება (აბდულ-მესია შავთელსა ლექსი მას

უქეს რომელსა—ამ თქვენს გამოგზავნილს სტიხში უთქვამს ეწერა და შეცთომა არის, უქეს უნდა. უქეს, ესე იგი მოუწონეს).

ჩვენ უზადრუკთ ქართველებს ის საკვრველი სტიხები შავთელისა აბდულ-მესიას წიგნი, დაჰკარგვიათ. პაპას ჩემს, მეფეს ერეკლეს, მრავალი უძებნინებია, დიდი სურვილი ჰქონია იმისის ლექსებისა, მაგრამ ის წიგნი ვეღარ უპოვინათ. სხვა ლექსები კი არის შავთელისაგან შეთხზული თამარ მეფის ქება და რომელნიმე სხვანი, დიახ ურჩეულსნი.

ხოლო იყო იგი ადგილით სამესხეთოთ, შავშეთით. შავშეთი არს შავთა და არს ნაწილი ესე სამესხეთოსი (ესე იგი სამცხე-საათაბაგოსი), რომელიცა არს საქართველოს ნაწილი ზემო ქართლის მამული. შავშეთი არს საშუალ არსიანის მთისა (რომელსა ყალნუდალს უწოდებენ ოსმალის თურქები) და საშუალ ჭოროხისა. ერთ კერძო აქეს კლდე არტანუჯისა და ერთ კერძო მთა შავშეთისა არსიანის მთიდან ჩაშოსული და ამათ საშუალ შავშეთი არს ფრიად ნაყოფიერი და კეთილი ადგილი და აქეს სიმრავლე დაბნებთა და სოფლებთა, სამცხე-საათაბაგო და სხვანი გარემონი მათნი, რომელ არს სრულიად სამესხეთო.

მესხია ანუ მესხეთი ოსმალებმა მძლავრებით წაართვეს საქართველოსა. მასუკან ორას წლამდის იქმნება. და აწ რომელნიმე მამულნი მისნი რუსთა მოუხუნეს ვითარცა ახალციხე, ჯაყახეთი, ასპინძა და სხვანი რომელნიმე ადგილნი. ხოლო რომელნიმე ოსმალებსავე დარჩათ სრულიად სამესხეთოს მცხოვრებნი დღესაც ქართულის ენით ლაპარაკობენ. მრავალნი ჩინებულნი და ძკრფასად ნაშენნი ეკლესიანი სამღვდელთმთავრონი, მონასტერნი და წმიდანი ადგილნი იყვნენ მუნ. ოსალთაგან დაცალიერდეს და ეგრე ცალიერნი დაშთეს შენებულეზანი. და რომელთამე მცირედთა ადგილთა კვალად დაშთეს ეკლესიანი სამღვდლოებითურთ.

მესამეს ტაეპში ახსენებს (დილარ გეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა). სარგის, ეგრეთვე თამარ მეფის მდივანი იყო, წარჩინებულთაგანი მისი და თანამედროვე იყო რუსთაველისა და შავთელისა. იმას დაუწერია ზღაპარი, რომელსაცა რქმევია „დილარიანი“. პროზათ ყოფილა დაწერილი, მშვენიერად ენამზეობით. აზიატიკურს გვარზედ. „დილარიანი“ ამისთჳსა ეწოდება, რომელ დილარის ამბავს მოუთხრობს. ვითომ დილარ დიდი ვინმე ძლიერი და გოლიათი ყოფილა და მრავალთა სამეფოთა მპყრობელი ჯელმწიფე, მრავალი რამ შემთხვეულებები გარდახედია და მრავალი ბრძოლა გარდახედია და დიდი სახელოვანი საქმენი უქმნია. ეს წიგნიც დაკარგულა, აღარსადა სჩანს.

სარგის თმოგველისაგან კვლად ერთი წიგნი არის გაკეთებული, სახელად „ვისრამიანი“ ეწოდება. ესეც პროზათ არის დაწერილი, ენამზეობით, აზიატიკურს გვარზედ. დიახ კარგი რომანი არის (ვის იყო ერთი მეფის ქალი და რამინ იყო მეფის შული ხორაზმ შაჰსა შა მოჰაბადის ძმისწული იყო რამინ. ვისსა თუმცა შა მოჰაბად ირთედა ცოლათ, მაგრამ რადგანაც იგი ხნიერი კაცი იყო, იმ ქალმა რამინ შეიყვარა. ეს იმ შამ იწყინა და მრავალი კირი გარდახდათ ვისსა და რამინსა, და დიახ კარგი ზღაპარი არის, ასეთი, რომ ვინც მიჯნური იმ წიგნს წაიკითხავს, დასწვანს და დასდაგავს, ესრეთს სიყვარულის გრძნობაში მოიყვანს). მართლად იტყვს რუსთაველი: „მას ენა დაუშრომელსა“. ამდენი ულაპარაკნია სიყვარულზედ, რომ უმეტესი და ქეშმარიტი არის რომ ენა დაუღალავი ყოფილა.

სადაურიც იგი იყო, მისი ადგილი თმოგვი, საძებე-საათაბაგოსა. ესე იგი სამესხეთოს მამულში არის, ახალციხისა და ასპინძის საშუალი ადგილი არის, ხობას ზევით, ცუნქალრელის ხევში, კლდეზედ არის თმოგვი დაშენებული და ის ცუნქალრელის წყალი, რომელიც თმოგვს ჩამოუდის, მტკვრის მდინარეს ეყრება. ძველად ქალაქი იყო თმოგვი და აწ დაბა არს დიდი. დილარგეთი არც ერთს ადგილს საქართველოში არსად არა ჰქვიან და არც არის.

დილარ იმ კელმწიფის სახელი არის, რომლისაც ზღაპარი სარგის თმოგველმა დაწერა. ლექსში რომ მოიხსენებს: „დილარ, გეთს სარგის თმოგველსა“, ეს მიცემითად ბრუნვილი სახელი რომელ არს „გეთს“ სარგის თმოგველისავე, სახელი არის გვარეულობითი. გეთისშვილი ყოფილა გვართა და შთამავლობითა სარგის თმოგველი, რომელ ეს გვარეულობა ახლაც არის საათაბაგოში და იმერეთშიაცა, რომელთაც გეთისშვილებს ეძახიან. (ეს გვარის სახელი ამისთვის ჩაუტანებია რუსთაველსა, რომ ლექსის ტაეპი არ დამოკლდეს).

4. მ ე თ ხ ე ტ ა ე კ შ ი ი ტ ყ ჯ ს: ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთჳს ცრემლ შეუშრომელსა, ამა სტიხისა ოთხისავე ტაეპისა საზოგადო ზმნა არის უქია (ესე ზმნა მეორის უღვლილებისა არის, ნამყო უსრულესი, მხოლოობითი მესამე პირი), რომელიცა განისაკუთრებს ყოველთა მათ ოთხთავე ტაეპთა შინა მიცემითთა სახელთა ქვემდებარეთა მისთა და მოქმედი ცხადყოფისა ქებათასა, წინასწარ დასხმულთა წრფელობითად სახელთა თვთოეულთა ტაეპთ შინა ლექსისათა შეასმენს ესე გვარად მგალ:

1. ამირან დარეჯანის ძე, მოსე ხონელს უქია.

2. აბდულ-მესია, შავთელს უქია, რომელსაც რომ ლექსი უქეს და მოუწონეს.

3. დილარ, გეთს „სერგის“ თმოგველს უქია.

4. ტარიელ, რუსთველს უქია, რომლისათვისაც მარად ცრემლ-
შეუშრობელი ყოფილა.

რუსთველი, ესე იგი რუსთაველი. რუსთავეი ქალაქი ყოფილა
კახეთის მამულში. გარე-კახეთში, მდინარისა მტკვრის პირზედ
(რომელიც შორავს ტფილისს ექვსის მილითა). ამ ქალაქს უძველესს
დროში ბოსტან-ქალაქი რქმევია, მერმეს რუსთავეი დაურქმე-
ვიათ და მესამე სახელი ნაგებები ჰქვიათ. ერთს მხა-
რეს მტკვრის მდინარე აქვს და მეორე მხარეს დიდი მინ-
დორი ყარაიისა (აქ ეპისკოპოსიცა მჯდარა რუსთველ-არხიეპისკო-
პოსი და როდისაც ეს ქალაქი მოშლილა, მუნებური არხიეპის-
კოპოსი მარტყოფს გარდუყვანიათ, მაგრამ ისევ რუსთველობითვე
სახელსდებდენ მუნებურს არხიეპისკოპოსს ამ მახლობელს ჟამებამ-
დინ) თუმცა რუსთავეში ქალაქი კი აღარ ყოფილა, მაგრამ მეფეებს
იქ სასახლე ჰქონიათ საზამთროდ დასადგომად, რადგანაც ზამთ-
არს კეთილი ჰაერი აქვს და გარეშემო მრავალი უქცხო სანადირო
არის, ნადირითა და ჭრინვლით სავსე და მუნ ზამთარი ასეთი იქმ-
ნება, რომ გაზაფხულსა აგავს. ზაფხულით კი დიახ ცხელი არის.
ამა რუსთავეისა სანედო სასახლეები კვალად განაახლა და აღაშენა
სრულიად ქართლისა და კახეთის მეფემან ირაკლი პირველმან. და
ქალაქსაც უპირობდა აშენებასა, მაგრამ შემდგომად გარდაცვალე-
ბისა ჩისისა, დაშთა კვალად უშენი. და აწცა უშენ არს ძველად
სახელოვანი იგი ადგილი ყოვლითურთ.

რუსთაველი მას ცხელს ადგილში იყო შობილი, სახელად
შოთა ერქვა (შოთა სახელი ქართველებსა ისევ ძველათვე, კერპთ-
მსახურებაში, ჰქონდათ და ქრისტიანობაშიაც არქმევდენ. ეს სახე-
ლი არ მოშალეს. შოთთა (ანუ შოტტა) არმაზ კერპის სახელი
არის, რომელიც კერპთმსახურებაში ქართველებისა ერთი უპირვე-
ლესი ღმერთთაგანი იყო, რომელიცა უწმიდესისა ნათლისა არსება
იყო. ეს შოთა სახელი მე ჭრანციკულს პარნოელის მიქოლოდიურს
ლექსიკონშიცა ვნახე. იმაშიაც აცხადებს, რომ შოტტა არმაზის
სახელი არის, არმაზ ანუ ორმუზად შოტტა).

შოთა რუსთაველი თამარ მეფისა მოლარეთუხუცესი იყო (ესე
იგი მინისტრი ჭინანსისა) და დიდად წარჩინებული კაცი იყო წი-
ნაშე თამარ მეფისა და პატივცემული. ასე მოუთხრობენ შოთა
რუსთაველისასა, როგორათაც რომ მოლექსეობაში იყო უპირველე-
სი, ეგრეთვე სხვას ყოველს მეცნიერებასა და ზნეობაში საღმრ-
თოსა, სამხედროსა და სამოქალაქოს საქმეში. ყოველშივე მის

ჟამის კაცთა ყველაზედ უმჯობესი და უპირველესი ყოფილა და სახითაც, თვალად და ტანად საკვრველი მშვენიერი. თუმცა მის ჟამშიაცა, უწინაც და შემდგომშიაცა მრავალნი სწავლულნი და მეცნიერნი ნიბხველნი იყვნენ სამესხეთოშიაც, ქართლსა, კახეთსა და იმერეთშიაც ქართულს ენაზედა და პეტრიწისა²² და იოანე შავთელის ლექსებსაც ამჯობინებენ რუსთაველის ლექსებსა, მაგრამ მე ჩემის მოკლის განსჯით, ამას ვიტყვი: საზოგადოდ ერისათჳს და ქართულის ენის ხარაქტირით, როგორათაც შოთა რუსთაველს ვეფხის-ტყაოსანი შეუთხზავს, არც ერთი არ არის იმისი ამხანაგი. იქნება, რომ, რომელნიც უფრო ღრმათ სწავლულნი არიან, იმათ წინა თქმულთა მათ თხზულება უფრო ზოიწონონ და ყოველთავე ხომ არ ესმისთ ღრმა თხზულებაები.

შოთა რუსთაველი, როგორათაც ყოველს ზნეობასა და სწავლაში სრული იყო, ეგრეთვე უკანასკნელსაცა ჟამსა აღსასრულიცა ეგრეთვე შეუყენა, ეს ამაო სოფელი დაუტევა და თავისი ქვეყნი-დამაც უცხოებაში წავიდა, წმიდას იერუსალიმს მივიდა და იქ ჯჳარის მონასტერი არის და ის მონასტერი ქართველთ* არის, დიდი და მშვენიერი მონასტერი არის. იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს, ყოვლის საქართველოს მპყრობელსა, გვართ ხოსროვინს, დაუდვია. რადგანაც პირველად ქრისტიანობის სარწმუნოებაზედ მირიან მეფე მოიქცა კერპთმსახურებისაგანა, ამისთჳს დიდმა კონსტანტინემ, პირველის მსოფლიოს კრების განჩინებითა²³, მრავალი შეწევნა მოსცა ქრისტიანობის განსამტკიცებლად საქართველოს და იერუსალიმშიაც ადგილები მოსცეს. და მის ჟამითგან საქართველოს მეფეთ უმეტესად გაამშვენიერეს ჯჳარის მონასტერი და იერუსალიმში და იმის გარეშამოში სხვა მონასტრებიც ალაშენეს და საქართველოს განუსაკუთრეს. ყმა და მამული მრავალი შესწირეს საქართველოში, რომლისაც შემოსავალი წლითი-წლად მას მონასტრებს ეხმარებოდათ. და რომელნიც წმიდანი ძამანი ჩვენნი ქართველნი და საღმრთოს წერილთ მთარგმელნი გამოვიდნენ, იგინი ჟამითი-ჟამად იერუსალიმს იყოფოდეს, სთარგმნიდეს წიგნთა და იმ მონასტრებში ყოველშივე ქართველი ბერები და სამღვდლონი ცხოვრებდენ. ჯჳარის მონასტერი წიგნთ-საცავათ გააკეთეს და დიდი ბიბლიოთეკა შეკრიბეს ქართულს ენაზედა და დღესაც მრავალი წიგნები არის ქართული იმ მონასტერში უძველესნი და რჩეულნი და გაუზრუნველნი²⁴.

* დნ.: ქართველთი.

შოთა რუსთაველი იმ ჯვარის მონასტერში დაემკვიდრა, მრავალი შესწირა იმ მონასტერსა და დიდის სათნოებით მუნ აღესრულა (ერის კაცობაშივე) და მუნვე დაეფლა. იმისი სახე იქ იერუსალიმსა, იმ ჯვარის მონასტერში, ეკკლესიაში კედელზედ არის დახატული და აქამომდე კიდევ დარჩა იმის სახე მუნ²⁵. (თუმცა მცირეს კითხვაზე განვიგრძე სიტყვა, მაგრამ მომიტევე, რადგანაც ზიძძულებს შენი* [გულსმ]ოღვინება*. [ყოველს გამოძიებაში მსურს გაქენდეს გამოწელილვით ზედმიწევნილება).

უპატივცემულესად და მდაბლად მ. ძე თეიმურაზ.

[1833 წ. 9 ოქტომბრამდე].

11

მისს კეთილშობილებას, უსაკუთრესს მეგობარსა ჩემსა, უფალს უფალს ბროსეტს!

მრავალს მოკითხვას მოგახსენებ და შენს მშვდობას ვისურვებ. ჩვენს ამბავს იუწყებთ, ღვთის მოწყალებით, მშვდობით გახლავართ. თქვენი პატივცემული წიგნი მივიღევე სექტემბრის 11-სა აღწერილი. დიდად მოხარული შევიქმენ თქვენის მშვიდობის ამბისათვის, მაგრამ ჯერეთ თქვენის წამოსვლის დაბრკოლებისათვის კი შევწუხდი. ჩემი წიგნის დაგვიანებისათვის მე თქვენთან ვითხოვ მოტევებასა და თქვენ მე დაგარწმუნებ, რომელ რაც თქვენ გეფიქრათ (ესე იგი განგებრახათ), არცა ერთი დამაბრკოლებელი ჩემი არა ყოფილა რა. ღვთის შეწევნითა არცა რას ბოროტ - შემთხვეულებასა რაჲსამე ვეშიშვი არაოდეს, ვინაჲდგან ვიცი საზომი საქმისა და ეგრეთ სლვა დაყვანება მდგომარეობისა ჩემისა. არცა შენზედ ესჯავრობდი და თუ ოდესმე მცირედს რასმე შეცთომას ვიხილავ შენში, არ გავჯავრდები კი, მაგრამ გამხილებ და გაგაფთხილებ და მსასოებელიცა ვარ შენი, როგორათაც სარწმუნოს მეგობრისა, რომელ არც ჩემი მხილება გეწყინება და ჩემგან დარიგებასაც მიიღებ.

კვალად მწერთ „მე უცხო ვარო და მდაბალიო ვინმეო და დიდ გვართა კაცთა თანა ცხოვრებად არა ჩვეულვარო“, მე თუმ-

* დნ. შენდევ მოხეულია.

ცა დიდთა გეართა შთამომავლობა ვარ, მაგრამ რაოდენ განზრახვა ჩემი უმაღლესად აღიწვეის, ეგეოდენ მოვიხსენებ, რომელ რაოდენცა ამაღლებულ ვიყო სოფელსა აშას შინა, ეგრეთცა კაცოვე ვარ და არა რა უმეტესი. არა უსმენელვარ საღრთოთა წერილთა და სიყრმიდგან აღზრდილვარ წერილთა შინა წმიდათა მამათასა ვასილი დიდისა³³, გრიგორი ღვთისმეტყველისა³⁴, იოანე ოქროპირისა³⁵ და სხვათა მოძღვართა და წმიდისა ეკლესიისა მნათობთა წმიდათა მამათასა ძველთა და ახალთა, თუ ვითარ იგინი გვრძღვრიან ჩვენ უბადრუკთა.

აწ ჯერ არს განუგრძელობისათჳს დატევება ზემო თქმულთა მათ ყოველთა და ვინადგან მომწერეთ მე სახმარად თქვენ მიერ დაწყებულისა ვახტანგის სჯულთასა, რომელიცა იბეჭდვის, რაჲცა სახმარ არს ზედმიწევნით საუწყებელად და ნათლად დანახვება თქვენი.

ვახტანგ: ხჯული: 16. ვიწყით პირველად რაოდენობისათჳს ვეცხლისა, ესე იგი საფასისა, თუ ვითარ და რაოდენ ირიცხვს მას შორის და საწონი მისი თუ რაგვარ გულისხმა იყოფების: ძული — სპარსული სახელი არის და ქართველები ამ სახელსა ადრიდგანვე ხმარობენ. ქართულად საფასე არის ძული. საფასე საზოგადო სახელი არის. ოქროს, ვეცხლს, რვალს (ესე იგი სპილენძსა) გასასყიდად ანუ გასაცეველად მოქრილთა — საფასე ეწოდება. და ჩვენს საღმრთო წერილებში ყოველს ადგილს და უფროსიერთსა, საერო წიგნებშიცა ძული არა სწერია, საფასე სწერია ვეცხლი და ზოგან ოქრო, მაგრამ საზოგადო მდაბალი ხალხი და ვაქარნი ძულს ეწახიან.

წიგნი სამართლისა, ესე იგი საქართველოს სჯულთა, შეკრიბა ვახტანგ მეექვსემან, ქართლის მეფემან, ოდეს იგი ჯერ არ იყო მეფე, არამედ ბატონისშული, აღწერისამებრ ვახუშტისა (ვახტანგ მეექვსე, მეფე ქართლისა, დაადგინა შაჰ სულთან უსეინმან წელსა ქრისტესით 1703-სა, რამეთუ მაშინ გარდაცვალებულიყო მეფე ირაკლი პარჯელი, მპყრობელი ქართლისა და კახეთისა სამეფოთა, ოდეს მიეცა ქართლის განჩგეობა ვახტანგს, იყო იგი მას ჟამსა ბატონისშვილი და თავის ბატონისშვილობაში აღსწერა და შეკრიბა სამართლის წაგნი (ვითარცა ზემოთჲ ითქვა). ხოლო წელსა ქრისტესით 1712 წარხყვანეს ვახტანგ ყიზილბაშთა სპარსეთად და განაჯგბდა ქართლსა ძმამ მისი ბატონისშული სჯმონ ჟამ რაოდენმე და ნერმე ყვენმან ჩისცა მფობა ქართლისა იასეს, ძმასა ვახტანგისასა აღიყულიხანად წოდებულსა. გამაჰმადიანებულსა (იასე მეფე იყო მამა კათოლიკოსისა ანტონი პირველისა. შობილი იყო ანტონი ელენა დედოფლისაგან მეფის თეიმურაზ მეორისა დისა). მეფობდა იესე აღიყულიხან ქართლის სამეფოსა ზედა შვიდი წელიწადი და წელსა 1719

ვახტანგ წარ[ძო]ავლინა ყვენამან* მეფედ ქართლისა და იმეფა ქართლისა სამეფოსა ზედა სამი წელიწადი მხოლოდ. ხოლო ქრისტესით წელსა 1724-სა, ოდეს ოსმალნი შემოვიდეს ქართლსა შინა, ვახტანგ მეფე გარდავიდა ყოვლითა სახლეულეებითა თვისთა რუსეთს და მრავალნი თავადთა და აზნაურთაგანნი გაოდაჰყენენ ყოვლითა სახლეულეებითა თვისთაჲ, აღესრულა მუნვე ვახტანგ მეფე. დაშეთეს შკლნი, შკლისშკლნი და ნათესავნი მათნი და მრავალნი გარდაყოლილთაგანნი მასთანა რუსეთსა შინა. ხოლო შემდგომად ვახტანგ მეფის ქართლიდამ წამოსვლისა მიიღო მეფობა სჯულიერად სრულიად ქართლისა და კახეთისა სამეფოთა თეიმურაზ მეორემან, ძემან ირაკლი პირველისა, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფისამან) დაიდგინა ვახტანგ განმგედ ქართლისა სამეფოსა წელსა ქრისტესით 1703-სა (ყვენისაგან) ხოლო წელსა ქრისტესით 1705-სა შემოკრიბნა წარჩინებულნი სამღვდელნი და საერონი და სწავლულნი კაცნი მის ეამისანი და რაჲცა მას ეამსა ეპოვათ სჯულნი საქართველოჲსანი, მოიღეს იგინიცა. დაშვრა ამას ზედა ვახტანგ და სამართალთა მათ დართო თსიცა სჯულნი. საეროსა ენითა დაწვრა გასაგონად, რათა ყოველთა მდაბიოთაცა ესმოდესთ.

ხოლო მეათექვესმეტესა რიცხვსა შინა სამართლისა მისისასა მოიხსენებიან საფასეთა საწონნი ეს სახედ:

ტ. ოთხი ხაშხაშის (ხაშაშო სპარსული სახელი არის, ქართულად ყაყაჩორა ეწოდება, ფრანციულად le pavcau, ანუ le pavot) მარცვალი ერთის ჭეიტვის (ჭეიტვი: le millet) წონა არის.

ჟ. ოთხი ჭეიტვის წონა ერთის ქერის (ქრთილი ანუ ქერი l'orge) მარცვლის წონა არის (ესე იგი ქრთილისა სრულისა ქერის მარცვლისა, რომელიცა შემოდგომამხედ ითესება).

ღ. ოთხი ქერის მარცვალი ერთის მუხუდოს (მუხუდო ნუხუდ არის. ნუხუდ სპარსული სახელი არის, ქართულად ერენდი ეწოდება. ესეც ცერკვის გვარი არის, ამისთვის სამართლის წიგნში ცერკვი სწერია. მაგრამ თუ განრჩევიო არ დაიწვრა ცერკვის მარცვლები უფროსი ერთი ასეთი არის, რომ თითო, მონია, თორმეტს და თხუთმეტს მარცვალს ქერს აიწონს. მუხუდოს სახელი მეჭრანციულად არ ვიცი, სპარსულიდამ იპოვნე. მგონია კი რომ თქვენებურად ერქვას des pois და სწორე არ ვიცი ჭრანციულად რა რქვიან) მარცვლის წონა არის. ერთს მუხუდოს წონას ყრათსაც უწოდებენ. ყრათი სპარსული სახელი არის.

შ. ოთხი მუხუდოს მარცვლის წონა — ერთი დანგი არის.

წ. ერთი შაური—ერთი დანგის წონა ვეცხლაკი არის სპარსულად შა ეწოდება. შაური იქიდან დაურქმევიათ. სპარსელებს რომ ნოფრუხის დღე^წ მოუვათ, ესე იგი ახალი წელიწადი მათი, მაშინ ყვენები თითოს დანგის წონას ჭულებს მოაკრევიებენ ვეცხლისასა და ოქროსასა და თავიანთ ხალხს და-

* დნ. ყვენან.

ურჩევებენ მათის დღესასწაულის მისალოცაებათა. და იმ წონის ჭული საქარველოში კეთდებოდა და ამისთვის უწოდებდენ შაურსა).

ჩ. ორის შაურის წონა—ერთი იუზხალთუნი არის ანუ უზხალთუნი. (ეს ოსმალთა რომ ყოფილა, როცა ოსმალეები შემოსულან ქართლში, მაშინ დაურქმევიათ, თორემ უზხალთუნი დიახ ძველი ჭული არის საქართველოსი, კირმანეული ჰქვიან, ძველად სულ ამ ფულს ამუშაებდნენ). ოთხი ვეცხლაკი ანუ ოთხი შაური, ესე იგი ორი კირმანეული, რომელ არს ორი უზხალთუნი, ერთი თელთია (კირმანეულსა თინგარიცა ზქვიან). ორი უზხალთუნი ანუ ორი კირმანეული ერთი თელთი არის. თელთი და აბაზი ორივე თანასწორე და ერთი და იგივე არის. თელთი ქართული სახელი არის (და ვახუანდ მეფე სწერს ფონგნი ეძახიანო, იქნება ფრანგული სახელი იყოს, თქვენ გაჩარკეთ ლექსიკონებში).

აბაზი დიდისა ანუ პირველის შააბაზის დროს მოუქრიათ სპარსეთში და იმისი სახელით დაურქმევიათ ქართველებსაც თავიანთ ძულისათვის (ესე იგი ვეცხლისათვის). ერთხელ და ერთხელ დაჩვეულან აბ[ა]ზის ძახილს ასე, რომ ეხლაც რუსულს და იმ სიდიდექა ვეცხლსა აბაზს ეძახიან.

ხ. სამი თელთი (ესე იგი სამი აბაზი, რომელ არს ექვსი კირმანეული) ერთი მარჩილი არის. მარჩილი საკუთარი ქართული სახელი არის. მარჩილი ბერძულად ლევი არის. ძველად ქართველნი მარჩილით ანგარიშობდენ,

ღ. ხუთი აბაზი ანუ ხუთი თელთი — ერთი რუბლი არის ანუ ერთი მონეტა (მინალთუნი ეს არის, მონეთასაუვის დაურქავევიათ ოსმალობის ჟამსა). ქართულად ზუზა ეწოდება რუბლსა, და დიდრაქმა (ზუზა სწორედ საკუთარი ქართული სახელია, დიდრაქმა ებრაული უნდა იყოს და ბერძულიც).

ნ. ათი მონეტა ანუ ათი მინალოუნი ერთი თუმანი არის, ანუ ერთი იმპერიალი (თუმან სპარსული სახელი არის). შესწავება: პაპის ჩემის სრულიად საქართველოა მეფისა მეფე თეიმურაზ მეორის დროსა და პაპის ჩემის მეუის ირაკლია მეორის დროსა და მამის ჩემის რეფის გიორგი მეთცამეტის დროსა, მათს მეფობაში კეთდებოდა და იკრებოდა ტყილისსა შინა სამეფოსა ქალაქსა მათსა სამარადისოს საშუალო და სავაქროდ თეთრი (ესე იგი საფასე ანუ ჭული).

თ. შაური მცირე, ვეცხლაკი ოთხის მუხუდოსი ანუ ერთის დანგის წონა.

ყ. მეორე—ორშაურიანი, ორი დანგის წონა. ესე არს თენგირი ანუ კირმანეული.

ღ. მესამე—თელთი ანუ აბაზი, ეს არის ორი კირმანეულისა ანუ ორის ორშაურიანის წონა.

შ. მეოთხე—ექვსწაურიანი, რომელიც არის წონით სამი ორშაურიანის წონა ანუ ოცდაოთხის ყრათის წონა, რომელიც ჭული

ერთი მიხალი არის წონითა (მიხალი სპოზუდი სახელი არის, ქართულად დრამა ეწოდება მიხალს).

ეს ოთხი გვარი ძეული იქრებოდა ტფილისში. ხუთი აბაზი ერთს რუბლად ითვლებოდა ანუ ერთს მინალთუნადა და ათი რუბლი ერთს თუშნად ანუ ერთს იმპერიალად ითვლებოდა.

ასეთს თეთრსა სჭრიდენ ჩვენშია, რომ ყოველს ვეროპიისა და აზიის ვეცხლზედ ჩვენი ვეცხლი უფრო წმინდა იყო. საქართველოს თითონ კარგი მადნები აქვს და მეფეებისა მათისა დროს ძალიან კარგათ მუშაობდა, დიდად სარგებლიერად. ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეტიკისა და ოსმალისა და უფრო ცოტა (მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისთვის არ უყვარდათ ქართველებსა). რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდიოდა, იმას ჩვენი მეფეები არ აქრეინებდენ ამისთვის, რომ რაც დასჭირდებოდათ თავიანთთვის იარაღათ ქალისა თუ კაცი-სას, აკეთებინებდენ, თავიანთ სახლეულებსაც ახზარებდენ და ვინც წყალობის ღირსნი იყვნენ, იმათაც უბობებდენ. ეკლესიის ნივთებსაც აკეთებდენ და უფროსს ნაწილს კი ჰყიდდენ. უფრო წმინდა და კარგი ოქრო რომ იყო, ვაჭრები ძვრათ ყიდულობდენ, ზოგი ვეროპიის მხარესა და ზოგს აზიის მხარეს ავაჭრებდნენ და თითონაც სარგებლობა ჰქონდათ და მეფეთა ჩვენთა და მათს ხაზინას უფრო სარგებლობა ჰქონდათ ამითი, ვინემ რომ მოეკრათ და ისე გაეყიდნათ.

შავი ფული, ესე იგი სპილენძისა, იქრებოდა ტფილისში საკმაოდ:

ჯ. ნახევარ ფულიანი ჳ. ცალქულიანი ჴ. ორფულიანი. ო. ოთხფულიანი, რომელსა ბისტს ეძახდნენ (ბისტის სპარსული სახელი არის). ხუთი ორფულიანი — ერთი შაური არის, ხუთი ბისტის, რომელ არს ათი ორფულიანი, ორი შაური არის (რომელ არს კირმანეულ ანუ თენჯირი). ათი ბისტის ერთი აბაზი არის (რომელ არს ერთი თელთი. თუმცა ქართულს ფულებს საკუთარს ქართულს ენახედ თუხი საბელები აქვს, მაგრამ. რადგანაც ქართველებს სპარსელებთან და თურქთა თათრებთა და ოსმალებსა თანა აქენდათ ვაჭრობა, ამისთვის ფულების სახელებსაც წოდება იმათგან ჩვეულებად მიუღიათ, მაგრამ ძველათ კი ასე არა ყოფილა, ქართულს სახელებს უწოდებდენ ფულებსა).

ჩვენს ანბანის ასოებზედ არის გაკეთებული ძეულის ანგარიში, რომელსაც ჩვენი ვაჭრები ხმარობენ შემდგომითა ანით სახითა. მეხუთე ასოდამ დაიწყება ვინდამ, რომ ანგარიში სწორედ მოვიდეს, ესრეთ:

ე, ენ ერთი ფული, ი, ინ ორი ფული, კ, კან ერთი ბისტის, ლ, ლას ექვსი ფული. მ, მან ორი ბისტის. ნ, ნარ ერთი შაური.

ა, აიე სამა ბისტი, ო, ონ თოთხმეტი ფული, პ, პარ ოთხი ბისტი, უ, ეან თერამეტი ფული, რ, რაე ორი შაური. ს, სან ერთი აბაზი, ტ, ტარ ექვსი შაური, უ, უნ ორი აბაზი, ფ, ფარ ათი შაური, ქ, ქან სამი აბაზი, ღ, ღან თოთხმეტი შაური. ყ, ყარ ოთხი აბაზი, შ, შინ თერამეტი შაური, ჩ, [ჩინ] ერთი რუბლი (ანუ მინალთუნი). ც, ცან ორი რუბლი, ძ, ძილ სამი რუბლი. წ, წილ ოთხი მინალთუნი. ჰ, ჰარ ხუთი რუბლი, ხ, ხან ექვსი რუბლი, ჯ, ჯარ შვიდი რუბლი, ჯ, ჯან რვა რუბლი, შ, შაე ცხრა რუბლი, ჳ, ჳოე ერთი თუმანი.

ფულისა — შემდგომად მეფეთა საქართველოჲსათა, მმართველობამან როსიისამან, საქართველოსა შინა უბრძანეს მოქრად ქართულისა ვეცხლის ზედა წერილითა ქართულითა რაოდენსამე წელსა და შემდგომად დაყენებულ იქმნა. და აწ მუშაობს მუნ რუსეთის ვეცხლი. მონეთა რუსული ირიცხვების მუნ ერთს რუბლად და ათი მონეთა ერთს თუმნად. და სხვა წერილი ფული ანუ ქალაღი მისს ანგარიშზედ იხმარების, მაგალითად:

ჩმე, ქ. ხუთი აბაზი ორი ბისტი და ერთი ფული პურში მიეცა.

ცკ, ქ. ორი რუბლი და ერთი ბისტი ჯორცში.

სნ, ქ. ხუთი შაური ღვინოში.

ეს მაგალითად დაგიწერე, თორემ წერილით კი აღარ დასწერენ, მარტო ასოებს დასხმენ ამ სახედა:

სია ანუ სარიცხვო, ისევ იმისივე მაგალითი:

ჩმე ქ. პურში მიეცა.

ცკ ქ. ჯორცში მიეცა.

სნ ქ. ღვინოში მიეცა.

ფ ქ. ქათამში მიეცა,

ქ ქ. ბრინჯში მიეცა.

უ ქ. ერბოში.

რ ქ. მწვანილში.

ო ქ. სანელბელში მიეცა.

ჯამი ამისი (ესე იგი ერთბაზად) წყრმე (შეკრებული ერთიანად არის. ოთხი რუბლი, ოთხი აბაზი, ერთი შაური და ცხრა ფული).

ქ. სარიცხვოს წერილებსა განწესება ასე არის: ყოველს თვთოეულის ტრიქონის დასაწყისშია ქანი დაუჯდება ამისთვის, რომ წერილი და ანგარიში ერთმანერთში არ აიკრიოს.

კვალად ანბანის ასოები ნიშნავს რიცხვთა ეს სახედ:

სათვალავი:

ა, ან ერთი. ბ, ბან ორი. გ, გან სამი. დ, დონ ოთხი. ე, ენ ხუთი. ვ, ვინ ექვსი. ზ, ზენ შვიდი. ც, ცე რვა. თ, თან ცხრა. ი, ინ ათი. კ, კან ოცი. ლ, ლას ოცდა ათი. მ, მან ორმოცი. ნ, ნარ ორმოცდა ათი. ძ, ძეც სამოცი. თ, ონ სამოცდა ათი. პ, პარ ოთხმოცი. ჟ, ჟან ოთხმოცდა ათი. რ, რაე ასი. ს, სან ორასი, ტ, ტარ საშასი. უ, უნ ოთხასი. ფ, ფარ ხუთასი. ქ, ქან ექვსასი. ლ, ლან შვიდასი, ყ, ყარ რვაასი. შ, შინ ცხრაასი. ჩ, ჩინ ათასი. ც, ცან ორი ათასი. ძ, ძილ სამი ათასი. წ, წილ ოთხი ათასი. ჳ, ჳარ ხუთი ათასი. ხ, ხან ექვსი ათასი. ჯ, ჯარ შვიდი ათასი. ჳ, ჳან რვა ათასი. შ, შაე ცხრა ათასი. შ, შოე ათი ათასი.

და ეს ზემორე აღწერილი სათვალავი ფულისა გინა სხვსა რა-
მსაცა აღსარიცხავად და საანგარიშოდ ფრიად სახმარი არის.

ეს სახედ: ა, ეს ხომ ერთი რიცხვი არის და როდისაც რომ
ანსა ზევიდამ გადმოხრილი ნიშანი დააჯდება ეს სახედ ა, მაშინ
ერთს თუმანს ნიშნავს, ბ ორს თუმანს ნიშნავს, გ სამს თუმანსა და
ასე აღირიცხვს ბოლომდის. წყრილი ფულის ანგარიში ხომ ზემოთ
დაიწერა და ბევრის ფულისაც ეს არის.

მაგალითი სარიცხვო, ესე იგი სია:

ჩჟქ, ქ. სავაჰროდ პური ვიყიდეთ (ათას ხუთასის თუმნისა და
სამის აბაზისა).

შუ, ქ. საქონელი (ესე იგი) ცხვარი და ზროხა (ცხრაასი
თუმნისა და ორის აბაზისა).

ჳჩნ, ქ. ღვინო კონდოლური და ხოდაშური და ოჯელეში
(ხუთასის თუმნისა, ხუთი აბაზისა და ერთი შაურისა).

ცქლ, ქ. ფარჩა (ესე იგი ლარი) ვიყიდეთ (ორი ათასის თუმ-
ნისა, ხუთის რუბლისა და თოთხმეტის შაურისა).

ქწ, ქ. სხვა საწყვილმალო ნივთები ვიყიდეთ (ექვსასის თუმ-
ნისა და შვიდის რუბლისა) ერთბამად (ესე იგი) ჯამი ამისი შიჭჭქარ
(ათიათასი თუმანი, თოთხმეტი რუბლი, სამი აბაზი და სამი შაური).

თუმცა საქართველოს მოანგარიშე კაცთა ადრევეცა და ახ-
ლაც არიჭმეტიკის ანგარიში იციან და იცოდნენ, მაგრამ ნამეტნა-
ვით ვაჰარნი საქართველოსანი ყოველთვის ამ თავი[ი]ანთს ძველს ან-
გარიშს ხმარობდნენ და ახლაც იმასვე ხმარობენ.

აწ სასწორისათვისაც მოვიხსენოთ

დანგის საწონი — ხომ ზემოთ დაიწერა დანგს რაც წონა აქვს და იქილამა სცნობთ. & ექვსი დანგი ერთი დრამია, ანუ დრამა არის (დრამა და მისხალი ერთი არის). დრამ ნახევარი (ესე იგი ერთი დრამი და ნახევარი), ერთი მიტყალი არის. 33, ოცდაცამეტი მიტყალი და ნახევარი, ერთი თუხტია არის, ანუ ერთი სტილი (სტილი სპარსული სახელი არის ის ტილ). სტილი ქართულად — ნაოცალი. ორი ნაოცალი და ნახევარი (ესე იგი) ორსტილ ნახევარი — ნახევარ ჩარეკი არის. ნახევარ ჩარეკი ქართულად — მერვედი. ნახევარ ჩარეკი რომ ორად განჰყო, ერთი ქსანი იქნება. ქსანი საკუთარი ქართული სახელი არის. ხუთი სტილი ერთი ჩარეკი არის. ჩარეკი (სპარსული სახელი არის, ქართველები ხმარობენ) ქართულად გვერდი და ნაოთხალი ეწოდება, სომხურად ნუკი, ოთხი ჩარეკი — ერთი ლიტრა არის (რომელიცა არს ოცი ნაოცალი, ანუ ოცი სტილი), ერთი ლიტრა თექვსმეტი ქსანი არის. ლიტრა ხომ საზოგადო სახელი არის აზიელნიცა ხმარობენ ამ სახელსა და ევროპიელნიცა, თვთ კარგათ უწყით, ბერძული და ლათინური სახელი არის.

ხუთი ლიტრა ნახევარი კოდი არის, ანუ ერთი კასრი (კასრი ქართულია). ათი ლიტრა ხვარბალი ერთი კოდი არის (კოდი ქართული სახელი არის). ათი კოდი, ერთი ხალვარი არის ანუ დიდ საწყო.

ქვემო საქართველოში (ესე იგი იმერეთში), პურს ასე სწყყენ: ოთხი კასრულკა ერთი ჭოხალი არის, ორი ჭოხალი ნახევარ კოდი არის. ნახევარ კოდი ერთი კასრი არის, ორი ნახევარ კოდი ერთი კოდია.

ლიტრა, რომელიც ჩვენნი საქართველოს მეზობელნი არიან, ზოგთ ნაკლები აქვსთ, უფროსი ერთთა.

1. ღვინის საწყყავო:

ოთხი ჭიკლა ნახევარი ჩარეკა არის. ნახევარ ჩარეკა ანუ ნახევარ ფარჩი სწორეთ თანასწორი არის იმ ჭიქისა, რომელსაც რუსნი ბუტილკას ეძახიან (ესე იგი), თქვენებურად სახელადების: une bouteille.

2. ორი ნახევარ ჩარეკა ერთი ჭარჩი არის, ანუ ერთი ჩარეკა.

3. ორი ჩარეკა ნახევარ თუნგი არის, ანუ ერთი ჯელადა.

4. ორი ჯელადა, ესე იგი ორი ნახევარ თუნგი, ერთი თუნგი არის, ანუ ერთი საღვინე (ორსავ უწოდებენ).

5. გოზაური ის ჭურჭელი არის ღვინისა, რომელშიაც თუნგ-ნახევარი, ანუ ორი თუნგი ღვინო ჩავა.

6. სამი თუნგი ღვინო ერთი ჩაფი არის.

7. თორმეტი თუნგი ღვინო ერთი კოკა არის. ქართლში და იმერეთში კოკობით ანგარიშობენ და იტყვიან ვენახის პატრონები: „მე წელს სამასი კოკა, ან ოთხასი, ანუ ათასი (მეტი თუ ნაკლები) ამდენი კოკა ღვინო მომივიდაო“.


კახეთში ასე ანგარიშობენ (და რომელთამე საქართველოს ადგილებში): ოცდაშვიდი ჩაფი ღვინო (რომელიც რომ ოთხმოცდაერთი თუნგი არის) ერთი საპალნე არის. სამი საპალნე, ერთი ურემი არის. კახელები იტყვიან: წელს ასი საპალნე, ანუ ორასი, ანუ სამასი, მეტი თუ ნაკლები, ამდენი საპალნე ღვინო მომივიდაო, ანუ ამდენი ურემი ღვინო გავცილე შარშანაო. ერთი ურემი ღვინო 243 თუნგი არის.

საქართველოში ღვინოს ქვევრებით ინახვენ. ქვევრი წერილის ენით — ჭური. სრულიად ზემოსა და ქვემოს საქართველოში ქვევრებით, ესე იგი ჭურებით, ინახვენ ღვინოსა. ამას აკეთებენ ჩვენის ქვეყნის საქართველოსა და იმერეთის კაცნი, დიახ წმიდის და მტკიცე კეცის თიხისაგანა (ავცი მიწა არის, დიახ საუცხოვო და თიხა შეზელილს ავცსა ეწოდება). ქვევრს ჯერ პირველად თიხილამ გააკეთებენ მექვევრეები (ესე იგი მეკეცენი). ჯერ კარგათ გააშრობენ და მერმე ცეცხლში გამოსწვენ, დიახ წმინდა ჭურჭელი არის. ღრმათ მიწას მოსთბრიან, იმაში ჩასდგმენ ქვევრსა. გარეშამოსა და ძირსაც ქვიტიკრით გამოუშენებენ ასე, რომ სულ ის ქვითკირი სრულად, ქვევრს შემოეკვრის გარეშამო და ღვინის ძალი ვეღარ გახეთქს ქვევრსა. თუ ასე არ შეინახეს ღვინო საქართველოში, უეჭველად წახდება. ზეზე ქვევრით არ შეინახება. ქვევრები დიდროვანიც იქნება და წვრილებიც. წვრილს ქვევრებსა ქოცო ჰქვიან და სხვადასხვა სახელები. ზოგს დიდს ქვევრებში ოცი საპალნე, ოცდაათი და მეტი და ნაკლები ღვინო ჩაისხმის.

ს ა ზ ო მ ი ს ა თ უ ს

საზომი საქართველოესა იზომების ესრეთ:

1. გოჯი ა ბ გ დ ე ვ ზ ც თ ეს საზომი ცხრას ნაწილად[ა]



განყოფილი, რომლისაც თვითოეული ნაწილი, თვითოს ხვარბლის მარცვლისა სიგანის ზომა არის (ხვარბალი ანუ ხორბალი პურის მარცვალი არის). ეს საზომი, რომელიც ცხრას პურის მარცვლის სიგანის, გინა მარცვალნი ხვარბლისა, ოდენი არის, ერთი გოჯი არის (გოჯი ჯელის ცერის ფჩხილის დასაწყისილამ პირველს სახსრამდის იმ ნაწივარს ეწოდება).

2. ოთხი გოჯი ნახევარ ჩარეკი არის. ნახევარ ჩარეკი — მერვედი.

3. რვა გოჯი (რომელიც არის ორი ნახევარ ჩარეკი) ერთი ჩარეკი (ჩარეკი მეოთხედი) არის.

4. ორი ჩარეკი ნახევარ ადლი არის (რომელ არს თექვსმეტი გოჯი. გოჯსა გრესაც უწოდენ, რომელნიმე, გრე სპარსული სახელია). ნახევარს ჩარეკს საზომისას ციდა ეწოდება. ერთს ჩარეკს მტკაველი ეწოდება. ესენი სწორე ქართული არის: გოჯი, ციდა, მტკაველი, წყრთა, მხარი.

5. ორი ნახევარ ადლი, ერთი ადლი არის.

6. თექვსმეტი გოჯი ანუ ნახევარ ადლი, ერთი წყრთა არის.

7. ოთხი წყრთა ერთი მჭარი არის.

შენიშვნა: საბა (სულხან ორბელიანი) თავის ლექსიკონშია სწერს: წყრთის საზომი არისო კაცის მკლავის იდაყვიდგან თითის წვერებამდისაო. ხონოლრაფში წყრთა მხრად დაუწერიათო მრუდედაო და სომეხნიც აგრევე იტყვიანო, მაგრამ ტყუილი არისო, შენცდარნი არიან იგინო.

8. ხუთასი მხარი ერთი სასვენი არის, ესე იგი ერთი une vezste ვერსტა შვდი სასვენი ანუ შვდი ვერსტა, ერთი ეჯი (ალაჯსაც უწოდებენ, ალაჯი სპარსული არის). ერთი ეჯი ერთი ალემანიური მილი არის, ანუ ღიახ მცირე რამ მეტნაკლებობა აქვსთ.

9. ერთი უტევეანი არს 143* ნაბიჯი (ესე იგი—ნაბიჯი ჭურხისა გაშლით გარდადგმა ანუ ვადაბიჯება, გარდალაჯება, რომელ არს ლაჯის გარდადგმა), უტევეანი იხილე სახარებასა შინა იოანეს თავი 11, მუხლი 18. უტევეანი არს სტადიონი, რომელიცა ელინურად და ლათინურად სტადის ისახელდების.

სრულ იქმნა საწონთა, საწყავთა და საზომთა შემოკლებით შემეცნება, რომელნიცა იხმარებიან სრულიად საქართველოსა შინა.

სრულიად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

ვეფხისტყაოსნის ლექსი, რომელიც ადრევე გეკითხათ, მესამე ლექსის მეოთხე ტაეპი „მისთა მკვერეტელთა ყანდისა, მირთმა ხამს ვით შიიერისა“.

ვახტანგ მეფის განმარტებაში შემდგომისა ამის სახით იხილებების: „ყანდი შაქრის ყინული არისო. ეს შაქრის ყინული მის

მკვრეტეს კაცსა რომ წინ ედვასო, იმისი ყურება ეყოფათ. (ესე იგო სატრფიალოსა და საყვარლისა). ის მართებს, მშვიერს მისცესო. მშვიერად იმას იტყვისო, ვინც თამარს ვერა ნახავს, იმას უბნობსო (ესე იგი თამარ მეფის შვენიერებისათვის იტყვის). ვინც ნახავს, იმის მნახავს ასე ეუბნება: იმისი ნახვა ხომ გასაძლომლათ გეყოფათ, შაქრის ყინულს რაღას აქნევო“.

რა ვყო, უფალო ჩემო, მეგობარო ბროსეტ! ეს განმარტება მე კარგათ ვერ მესმის. მე ასე გამიგონია, რომელთამე ქართულის ენისა ღრმად მეცნიერთ კაცთაგან ამის განმარტება და მახსოვს: საქართველოში მშვენიერი ქალი თუ ძალიან თეთრი არ არის ფერით, იმას შაქრის ფერს ეძახიან (ესე და ეს ქალი დიახ მშვენიერი არისო და შაქრის ფერი არისო). თამარ მეფისათვის ასე იტყვიან: დიახ მშვენიერი ბრძანდებოდა, მაგრამ ფერი შაქრის ფერო ჰქონდაო. ამისთვის რუსთაველი იტყვის, როგორათაე მშვიერის კაცისა ხამს, რომ პური მიართვან და ის განაძლებს, ეგრეთვე მისთა მკვრეტთა და ტრფიალთა მისის სახის ფერის კვრეტა (ესე იგი ყურება), რომლისაც ფერი ყანდისა (ესე იგი შაქრის) ფერი არის და თვთ იგი შაქარი, ანუ სიტკბოება, არის მისის კვრეტისა მშვიერთა, ეგრეთ შეერაცხების, როგორათაე მშვიერთ პურისა და ანუ შაქრის შირთმევა.

ვახტანგის სამართლის წიგნშია, რასაც ვერ მიხვდეთ, გამოწერე და გამომიგზავნე და სულ ყოველსავე განგიმარტებ და მოგართმევ ქეშმარიტად, არ დაგზარდები. ასე რიგათ დაიბეჭდოს, რომ ნაკლულევენება არა ჰქონდეს რა. სტამბა კარგი არის, რომლითაც ეგ წიგნი იბეჭდება. ქვაზედ დაბეჭდილი მაშინ კარგი არის, როდესაც კარგის ჴელით დაიწერება და ისე დაიბეჭდება. ჩართულები ძალიან კარგი არის, მომეწონა, რომელიც კურთხეულის (ესე იგი განსვენებულისა) ჩემის იმის ცხოვრებაზედ არის ყდაზე დაბეჭდული, მაგრამ სხვა სრულად იმ წიგნის ასოები წაბლალულად არის.

ესწუხვარ ამას ზედა, რომელ მწერთ თქვენ მე, ბორგოლიო დუქსი, რომელიც თქვენ გეწეოდათ ამას შინა, რათამცა გამოესტუმრებინეთ თქვენ კეთილსა ამას მოგზაურობასა და ეგრეთვე უფლისა ბუზოტის აჰ საქმეში დაბრკოლებისათჳს: „ოჰ, უფალო ჩემო, კეთილთა მათ კაცთათჳს ვიტყვი წინაშე შენსა ქებასა და მადრიელვარ შორის სულისა ჩემისა უმწვერვალესისა გრძნობითა“, წარსრულს საქმეს არღარა ეშველება რა.

მე განვიზრახე ერთი რამ მოგონება და მოგწერე შენ, არ შეიძლება რომელ მდიდართა და დიდთა კაცთა შკლნი რაოდენ-

ნიმე ქვეყანისაგან თქვენისა გამორჩეულ იყვნენ თავიანთის გულსმოდგინებით და ხარჯით არათუ მხოლოდ ძველთა რათამე წიგნთა ქართულთა მოსაძიებლად მხოლოდ, არამედ სრულიად გასაჩხრეკადცა და განსახილავად კავკასიისა მათთა თავიდგან ბოლომდის; ერთის მწვერვალიდგან — მეორეს მწვერვალამდის, და ზას შინა პოვნად მრავალთა ძველთა და განსაკვირვებელთა რათამე? უკეთუ იქმნების გულსმოდგინება ამისთვის, უნდა იყოს ექსპედიცია სახითა ამით გამორჩეულნი იგი კაცნი მდიდარნი, გვამით მრთელნი უნდა იყვნენ და მოუძღურებულნი არ უნდა იყვნენ. უნდა იცოდნენ მათგანთა მხაზველობა და მხატვრობა, ესე მმართველობისა თქვენისა მიერ მოწონებულ უნდა იქმნეს და მათ შემწეობა იხმარონ. რუსეთის მმართველობას უნდა აცნობონ, უამათოთ კი არ შეიძლება. მაშინ შესაძლებელი არის რუსებისაგანნიცა გამოჩნდნენ მდიდარნი და მათ შეერთნენ თქვენნი გამორჩეულნი, იწინაძღვრებენ უფალს ბროსეტს ყოვლის თავიანთ წარსაგებელითა (ვინადაც ბროსეტს არა აქვს შეძლება ფულით და ნიეთით). აქედამაც მმართველობის მოთხოვით გზათათჳს კაცს იწინაძღვრებენ, რადგანაც ის მხარეები ამათს უფლებას ქვეშე არის. უამისოთ არ შეიძლება (ამათი ნება-მყოფლობით უნდა იყოს). თუ ეს ასე მოხდება, მაშინ უმეტესი მოსაგებელი ექმნება ბროსეტს. მე ქეშმარტებით უწყი ესე. თუ ეს საქმე ასე მოხდება, როდისაც აქ მოვლენ, მე ვაჩვენებ ერთს კაცსა, რომელმაც იცის სრულიად კავკასია და ყოველი ქვეყანა ივერიისა. ასე გააჩხრეკს ახეთს საკვრველებაებს და ასეთს ანტიკებს უჩვენებს. რომ ევროპას თავის დღეში არც გაეგონოს და არც ენახოს. მაგრამ თუ ის კაცი არ აჩვენებს, სულ ერთი არის, რომ ბრძემა წავიდნენ და ისინი სჩხრეკდნენ. იმ კაცსაც თავისით შეძლება არა აქვს. ხარჯში იგინი უნდა შეეწიენენ და თავიანთის წარსაგებელით წაიყვანონ. შეგიძლიან საცა აღვიღებნი არის სთქვათ; ესე, იქმნება გამოჩნდნენ გულსმოდგინენი და წარიმართოს საქმე. სხვებრ თქვენ უმჯობესად უწყით თქვენის ქვეყნის ვითარება, მაგრამ ჩემის მოკლეს კეკითა ასე ვხედავ, რომელ ყოველს ქვეყანის პირზედ დიდი ცვლილება არის აწინდელს დროში და ის გულსმოდგინება თითქმის დაკარგული არის, რომელიც ადრე იყო.

ვახტანგის სჯულები რომ იბეჭდება, ის ასოებიც კარგი არის და შარშანდელს ჟურნალებშიაც ვნახე მხედრული უცხო წერილი. ისიც კარგი არის, გავს მერმე გაგიკეთებიათ. ვახტანგის სჯულებში რაც გასაძრთავი და გასასწორებელი იყოს, გამომიგზავნე და არ დაგიგვიანებ, მალე გაგიძრთავ⁸.

ფურცლის ნახევარ გვერდზედ დაწერე ხოლმე რაც გასამართავია და ისე გამომიგზავნიდე. ზედვე მოვაწერ მოკლეთ განმარტებაებს, უფრო აღვიღათ და მალე გავასწორობ, რომ არ დაგიგვიანდეს.

უსაკუთრესად და უბატყეცემულესად მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1834-სა, ნოემბრის 16-სა, ქკს ფკბ,
სანკტეეტერბურგით

ქ. თქვენის მოწერილობის პასუხში ეს დამშთა, რომ ოსურის ენისათვის ვერ მოგწერეთ და განზრახვა მაქვს ამ წიგნს შეუდგინო³⁹.

12

უსაკუთრესო მეგობარო ჩემო ბროსეტ!

დიბლომი მეზიელის ჩეენის საზოგადოობისა მივიღე თქვენსავე წიგნსა თანა. ჩემთჳს ბედნიერებადა ვრაცხ, რადგანაც ღირსი შევიქმენ ნაგ დიდებულს საზოგადოებაში მეც აღრიცხვსა; თუმცა პირველად გამოგზავნილს (ამ ჳელათ კი საქირო აღარ არის ამ დიბლომის გამოცვლა, ასე იყოს და კვლავ)* დიბლომში დაეგდოთ და არ ჩაეწერათ თქვენს მწერლებს (რადგან ჩემი ცნობა არა აქვსთ), რაც ჩემის სახელისა და ნამდვლის (ესე იგი ჳეშმარიტის) მეფის შკლობის შესაბამი ტიტული L'Abbréviation** იყო. მეორედ რომ გამოიცვალა და ახლა რომ მომივიდა შენს წიგნთან, იმაში სწერია ტიტული, როგორც შესაბამი არის, მაგრამ ერთი სიტყვა ამაშიაც აკლდა. ამაში ასე სწერია: A Son Altesse le prince Theimouraz. ეს ღიახ კარგი და შესაბამი ტიტული[ა], მაგრამ ამაში მხოლოდ ერთი სიტყვა აკლია, ასე უნდა ეწეროს ყე: A Son Altesse Royal le prince Theimouraz ანუ ესრეთ იგივე: A Son Altesse le prince Royal Theinouraz. ვინც დღეს რუსეთის დიდებულის იმპერატორის საფარველს ჳვეშე ვართ ნამდვლნი, ესე იგი სწორედ მეფის შკლები, აღრევეც, ახლაც, და

* ფრჩხილები () დნ. არ არის. ტექსტი ჩასამატებელი მიწერილია აშიახე ადგილის ჩვენებით.

** ტიტული L'Abbréviation* მიწერილია აშიახე ჩასამატებელი ადგილის მითითებით.

რედ.

შარადის, იმპერატორიუა თავის მონისკრიბტებში, აქაური მმართებელობაუა მინისტრნი და დიდი კაცნიცა და ყოველნივე დიდნი და მცირენი ჩვენის სამეფოს ტიტულითა გვწერენ. მამაჩემი, მეფე გიორგი მეათცამეტე, თავისუფალი მეფე იყო ქართლისა და კახეთის სამეფოთა და სხვათაცა მპყრობელი და მანამ ცოცხალი ბრძანდებოდა, მამაჩემი თავისუფლად ჰვლობდა თავის სამეფოთა. იმის შემდგომად იმისი შვილები და ძმები ვინც აქ მოვედით რუსიაში იმპერატორის საფარველს ქვეშე, კურთხეულმან განსვენებულმან იმპერატორმან ალექსანდრემაცა აღრევე დაამტკიცა და იმპერატორმა ნიკოლოზმაცა, რომელნიც საქართველოს მეფის შჯლები ბრძანდებიან ვაჟნი, სძალნი და ქალნი, რომელნიც სწორეთ შვილნი მეფეთანი არიან და არა შორიელნი ნათესავნიო, ყოველთვის და საუკუნოდ თავიანთი ტიტული ექნებათო. და შარშანდელს წელიწადში, რომელ არს 1833-ში აპრილის 25-საც გამოსრული უქაზი (ესე იგი ბრძანების წიგნი ანუ un ordre, l'ordre) სენათისა მიმართ, რომელ ზემოსაქართველოჲსა და იმერეთის მეფეთ შჯლნი, სძალნი და ქალნი როგორათაც აღრევე, ეგრეთვე აწ დაიცვენ შარადის მეფის შვილობის სახელს, პატივს და ტიტულსაო. და რომელნიც იმათის სახლისანი მეფის შვილები არ არიან, რომელ იმათი მამები არა ყოფილან მეფენი, არამედ მეფის ძენი ყოფილანო, იმათი მამები (ესე იგი შვილისშვილები) ანუ სხვანი შორიელნი მონათესავენი, იგინი მეფის შვილობით ნუ დაიწერებიანო. მაგრამ რომელიც სწორეთ ნაშდვილნი მეფის შვილები ბრძანდებოდნენ და ანუ დღეს იმყოფებიან ჩვენს საფარველს ქვეშაო, ისინი ყოველთვის მეფის შვილებად მოიხსენებოდნენო თავიანთის ტიტულითაო.

ეს ამისთვის შეგამეცნე, იქნება რომ ზოგთ არ იცოდნენ და თავის დროზედ ჩემთან დიბლომი ანუ წიგნის მოწერა იყოს ხოლმე, ანუ ჩემი სახელის ჩაწერა სადმე წიგნში ფრანციცულად, თქვენ მაშინ ეტყვიოთ და არ დააკლებინებთ ჩემს ტიტულსა და მეფის შვილობასა. გავს თქვენც არ იცოდით პირველად, თუმცა ახლა დიახ რიგიანათ იწერებით ჩემს ტიტულს. ქართულში, თქვენს მოწერილს წიგნში, აღრევე ერთხელ-ორჯელ მოგეწერათ ბრწყინვალეობითა, მაგრამ ბრწყინვალეობის ტიტული თავადების ტიტული არის და არა მეფის შვილებისა. მეფის ტიტული დიდებულიც არის ჩვენის წესითა და უმაღლესიცა. მეფის შვილებისა — უმაღლესი და უგანათლებულესი, ეს ორივე ტიტული აქვსთ მეფის შვილებსა. და თავადებს საკუთრად ბრწყინვალეობა აქვსთ, აზნაურებს — კეთილშობილება, ვაჭართ — პატივცემულება, სამღვდლოთი სხვა არის.

მინა წერებში:

თუ მეფის შვილებს მოგვეწერენ — მათს უმაღლესობას მეფის ძეს (ესე იგი მეფის შვილს), ანუ მათს უგანათლებულესობას მეფის ძეს. ეგრეთვე სძლებსა და ქალებსა — მათს უმაღლესობას მეფის სძალს ანუ ასულს, ანუ მათს უგანათლებულესობას. რუსნიც ყოველთვის ასე გვწერენ.

ქ. დიდად ვირცხენი და ბოდის ვითხოვ შენთან. ასე არ ჩამომართვო და ასე არა სთქვო, რომ ცუდ დიდების მოყვარე ყოფილაო, რომ ამასა მწერსო. არა, კეშარიტად. მაგრამ სხვები ჩემნი მახლობელი რომ ნახვენ ხოლმე, რომ ტიტული რიგიანათ არა სწერია, იწუნებენ. და ამისთვის თქვენ გაცნობე, რომ სხვას დროს რიგიანათ და სრულად იყოს ყოველს წერილში*.

[1834 წ.]

ცალკე ფურცელზე: ეს ტიტული პარიზის აკადემია-ნაუკაში მიეცით:

A Son Altesse

Monseigneur le Czarevitch Teimouraz

Prince de Géorgie fils du Roi George XIII.

13

ხაზი ასომთავრულის ასოების მოსაქრელად ამ მცირეს პაკეტში რომ ქალაქი ძვეს, იმაზედ არის გავლებული. რასაც ამ ორის ხაზის საშუალო ჩაატევეს, იმაზედ უნდა მოიჭრას, იმ ზომაზედ, იმისი მსგავსი ასოები, რომელიც რომ მეაზრელე შეკრებილებას მივართვი [ს]ულ დიდს ასოებზე. მხოლოდ ასომთავრული ასოები მინდა, სწორედ სულ დიდის ასოების მსგავსი იყოს, რომელიც მაგ ჩემგან გამოგზავნილს ანბანში არის აღწერილი. პირველი სხვას ანბანებზედ დიდი ასონი ყოველთავე ზედა იმას სახედ უნდა იყო [ს] ამ ხაზისა, რომელიც ამაში ძვეს⁶².

[1834 წ.]

ცალკე ქალაქზე, მისი ანოთი:

მათს კეთილშობილებას, ექსტრა-არდინარნი პრეჭესორს უფალს ბროსეტს, მოწყალე ჯელმწიფეს.

* წერილის მეორე ნახევარი სხვა ხელით არის დაწერილი.

ბატონო ჩემო, უსაკუთრესო მეგობარო ბროსეტ!

საუფლოს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს მოგილოცავ. შენს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ. ღვთით ჩვენ მშვიდობით გახლავართ. დიდად შეწუხებული ვარ ამის მიზეზითა, რომ რა მიზეზი მოგეცა ასე წიგნის დაგვიანებისა. ღმერთმან ნუ ინებოს, რომ თქვენ მიზეზი არა გქონდესთ რა, ან სწეულებისა და უძღურების გამო, ანუ სხვა რამ შემთხვეულება. მე ორი ჯგრი დიდროვანი კონვერტები გამოგვზავნე თქვენთან. პირველად რომელიც კონვერტი მოგართვი ოკდობრის თვეში, მუსიეი შარმუამ გამოგიგზავნა და იმ კონვერტთან ჩემგან მორთმეულთან კიდევ მეორე მცირე კონვერტი იყო ჩემგან წიგნი მოწერილი. იმ პატარა წიგნის პასუხი კი მივიღე, მაგრამ არ მოგვეწერათ დიდი კონვერტიც მიიღეთ თუ არა. დიდათა ვწუხარ, ამისი ვერა შევიტყვევ რა, დიდი ღვაწლი და შრომა დავდე იმაზედა. მეორე კონვერტი კიდევ დიდი, რომელშიაც იყო სამართლის წიგნი, ესე იგი ვახტანგ მეფის სჯულებში, რაც ფულების სახელი თუ სხვა ისინი იყო განმარტებული და სხვა ბევრი რამ. საჩქაროთ მიბრძანე პასუხი მცირეს წიგნითა, ფოშტით გამოგზავნე წიგნი მუსიეი შარმუას სახელზედ, ან ჩემს სახელზედ, არ დაიკარგება.

აქამდის რომ წიგნი ვერ მოგწერე და ასოების ფულიც ვერ გამოგიგზავნე, მიზეზი ეს იყო: მუსიეი შარმუამ მითხრა, უფალი ბროსეტ აქ მოვია და მუსიეი ფრეინმაც⁴⁰ მითხრა, ამის მიზეზით მუსიეი შარმუამ მითხრა, რომ ფული რომ გავგზავნოთ და ბროსეტ კი აქ მოვიდეს, ფული ვიღას მიუვა ის რომ იქილამ წამოსული იყოსო. და შენს წიგნს მოველოდით დღე და დღე. ახლა საჩქაროთ მოგვეწერე შენი ქირაზე, ჩემო ბროსეტ, მალე მოხვალ, თუ კიდევ მანდ პარიეში დარჩები.

ეს მხედრული გრგვალი ხელის ასოები რომ მოგიქრევინებია წმინდა, დიახ კარგია. მე თუმცა ასომთავრული ხუცური ვითხოვე, მაგრამ ეს რომ ვნახე, დიახ მომეწონა საკვირვლათა და რას წამს შენი ამბავი მომივა, ფულს მოგართმევ. ამას რომ შევასრულებთ, მერმე ასომთავრულსაც მოვაქრევინებთ. **შ ბ (და) 6** ეს ასოებიც დარჩეს და მერმე თითო კიდევ მოსქრას ამისი ისრე წმინდა და იმ ასოების ნა-

კეთისა, ოლონც ცხვირები თანასწორედ ჰქონდესთ, ასე |ნ| |ბ| |შ| ამგვარათ, რომ სხვას ასოებთან თანასწორედ დასხდეს და რაც ონტოლოგის ნიშნები არის, ისინიც უნდა გამიკეთოს. მაგრამ ის ნიშნები რადგან ადვილი არის, იათათ უნდა გამიკეთოს. უ ეს ასო ცალკე იყოს და უ ბრჯგუთი ცალკე. გთხოვთ პასუხი მალე გვიბრძანოთ.

პირველად ესე, აქ მალე მოხვალთ, თუ მანდვე დარჩები¹, მეორე ესე, რომა ორი დიდი კონვერტები — ერთი ოკლონბერში და ერთი ნოენბრის ცხრამეტს რომელიც მე გამოვაგზავინე მუსიეი შარმუას, მოგივიდათ თუ არა. და მესამე ესე, რომა ასოების ორი ქარტი კიდევ დამიბეჭდინე, თქვენ წიგნში ჩაღვე და გამომიგზავნე² ქ. ამათმან უგანათლებულესობამ მეფის სძალმან, ჩემმა მეუ-
ღლემ, თქვენს ბატონს მეუღლეს და თქვენ ქრისტეს აღდგომის დღესასწაული მოგილოცათ და მდაბლად მოკითხვა მოგახსენათ.

უპატივეცემულესად, ბატონო ბროსეტ,

მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწერი:

დიახ საჩქაროთ მოგწერე ეს წიგნი, მომიტევე.

15

უსაკუთრესო მეგობარო, უფალო უფალო ბროსეტ!

მივიღე მოწერილობა თქვენი მაისის 13-სა ძველის აღრიცხვით, რომელიცა იყო დაწერილი 12-სს მაისსა ახალის რიცხვთა. ამისთჳს ესეოდენი სიხარული მივიღე, რომელ მეტი შეუძლებელა არს, ვინაჲდგან ესეოდენმან ჟამმან განვლო, რომ აღარ მოგეწერათ. ამითი ორის გზით იქვსა და მწუხარებაში ვიყავ: პირველად ესე, რომ იმედიც აღარა მქონდა, რომ საუკუნოდ შენი წიგნილა მომივა და ეს იყო ჩემთჳს დიდად სამწუხაროდ საგრძნობელი. და მეორედ იქვში ვიყავ და ვფიქრობდი, იქნება უფალი ბროსეტ ჩენი შემომწყრალი იყოს და ამისთჳს აღარა მწერდეს. ეს უფრო მსუბუქი სამწუხარო იყო, ამისთჳს ამას წამალი ჰქონდა ადვილი. ჩვენში ტაეპიც არის ამაზე თქმული: „ცოტა რამე სამღურავი მოყვარეთა წესიაო“.

მოგეწერათ და მე დიდად ვისიამოვნე რომ, რომელიც კონვერტები ჩემგან გამოგზავნილი იყო თქვენთან, ის მიგიღიათ სრულად ორივე. ვმადლობ ღმერთსა და უმეტეს შენის მშვედობით და

სიმრთელით ყოფისათვის. მე მოწამედ მყავს ამაწი უფალი ჩემი მე-
გობარი ბრძენი მუსიეი შარმუა, რომელმაც მითხრა და თითონაც
უქველად ეგონა, რომ მალე თქვენ აქ ჰეტერბურგში მოსვალთ და
ეგრეთვე მუსიეი ფრეინმაც მითხრა თქვენი მოსლეა, მაგრამ წალო-
დინით სასოება განგვეწირა და არ მოხველ, მერმე მოგწერეთ.

ასოს მომპრელებს ფულს ადრევე გამოუგზავნიდი, მაგრამ
შენ მოგელოდით მეცა და მუსიეი შარმუაცა. რა ეყო, შენი ნახვა
კიდევ დამიგვიანდა. ახლა დავაჯერე გული, რომ თქვენ თბილი ჰა-
ერი გიყვარს და ციეს ჰაერს ერიდებით, მაგრამ საქართველოში
ძალიან თბილა. აქ კარგი მგზავრი მყვანდა თქვენთვის, ჩემი ღვიძლი
დისწულის შვილი, ჩენი ქვემო საქართველოს მეგრელიის სამთავროს
მემკვდრე, თავადი დადიანის შკლი⁴¹ და უცხოთ გასდილი, წვენიერი,
ჯერეთ ყმაწვილი, ოცდა ერთის წლია იქნება ხნითა, დიდად სი-
ბრძნის მოყვარე, სხვას ენებისაც კარგა მცოდნე, რუსულისა, მცი-
რე ფრანციცულიც იცის, ძალიან კარგის გულისა და ჰკვიანი. გუ-
ლით მინდოდა ამ ჟამში აქ ყოფილიყავით, იმისთვის განმეტანებინე.
ეს ერთი თვე იქნება წავიდა საქართველოში. იქნება შე გნახოთ
თქვენს ქვეყანაში. შარშანვე ენახედი ჩემს ბროსეტს პარიჟში, მაგ-
რამ მე აღარ მოვიხლომე მცირეს რასმე მიზეზით, თორემ საჭირო
კი არის დიდად ჩემთვის სავეძო წყლებზე (ესე იგი მინერალურს
წყლებზე) ჩემის სიმრთელის შესაწევნელად მოსლეა და ღუნდგან
პარიჟში. მაგრამ ეს კი არ ვიცი როგორნი სტუმრის შენწყნარებ-
ელნი ხართ მანდეთი მხრის ერნი, ამისი პასუხი მომიგე.

ასოს მომპრელისათვის 165 ფრანკი მოგერთმევა შარმუას
წიგნითა. პირველ მიცემაში ეს მიეც ოსტატებსა და სხვათაც მალე
კიდევ გამოგიგზავნი, ჯელად ფული არ შემხვდა მეტი. ან ჟამად
ჩემ წიგნში კი არ მოგეწერათ და უფალს მუსიეი შარმუას წიგნში
იყო მოწერილი, ორგინალი, რომელიც ამ წარსრულს წლის დე-
კემბრის თვეში გამოგეგზავნათ ჩემთან, უკანვე გეთხოვნათ, ამ ჩენის
წიგნით მოგართვი, ჩემს წიგნში ჩავდე. შე კი აღარ დამრჩა სხვა
ამისი ჯერხანათა და ეს ასოები გთხოვე აღარ გამოიცვალოს, სწო-
რეთ ასე იყოს და რაც ამ ასოებს მე მოუმატე, ისინი მოამატებინე
ასოს მომპრელსა და გადმობეჭდე ასეთსვე მცირეს ბარლამენტზე-
დევ და ორი სამი ექვმულარი გამოგიგზავნე ან სტიხებიდამ ანუ
სხვა რამ სიტყვები. ორი სამი ტრიქონი იყოს დაბეჭდილი ანბანის
ბოლოს რომ კარგა გავშინჯო.

მერწმუნე, ჯერ ქართულს ჯელზედ ამისთანა არა ყოფილა
ასოები. შენი სხვა ასოების, რომელიც მანდა გაქვს, ამაში არა

გაარევირო რა, არც ონტოლრაფისი ნიშნები. ონტოლრაფისი ნიშნებიც ახალი უნდა მოსჭრას. ყოველს ასოზედ, რასაც შერიგებული ვართ, ფულს იმდენს შეეფსრულეებ. ონტოლრაფისი ნიშნების მოჭრა უფრო ადვილი არის და ამაში კი ფასი დააკლებინე. ასოებზე თითოში — 13 — ფრანკს მიიღებენ, როგორც მოგეწერა ადრევე და ეცადე კარგათ გამიკეთოს, სწორეთ ამ ასოებზედა. სულ ბოლოს ასო, ესე იგი ჯ, მე მოვშალე და ახალი დაეწერე, ძალიან მცირე უნდა იყოს ათი ნიშანი ონტოლრაფისისა.

ანბანას მე ჩემის ჯელით მოვაწერე ბოლოს და ისე მოსჭრას ყოველივე შესაბამათ. ეს ნიშანი მგონია დიდი მომივიდა, ცოტათ და უფრო წმიდათ გააკეთოს და სხვებსაც კარგათ შეხედოს და ასოების შესაფერათ გააკეთოს. ზ ეს ასო, ნ ეს ასო და შ, ეს სამი ასო თითო კიდევ მოსჭრას, რომ ოროლი იყოს. ამ თითოს ასოსი პირველად ანბანში რომელიც არის მოჭრილი, ისე დარჩეს, ჩემთვისა ისიც იყოს და ეს სამი ასო მხოლოდ ამ ახლის დაწერილის გვარად სხვა მოსჭრას, რომელიც ანბანის გვერდზე დამიწერია და ამისასაც ფასსა საკუთრად მივსცემ. სულ — 43 — ასოს ფული უნდა მივსცე და ონტოლრაფისი ნიშნებისა კიდევ სხვა.

როგორც შერიგდები, მე ნება მომიცია, ისე მივსცემ. ეს სამი ასო, რომელიცა ახლად მოგიხაზე ანბანის გვერდზედა, ოსტატებს ასე უბრძანე, რომ ამ ჩემგან მოხაზულს ასოზედ დიდად ეციროები იყოს, ესე იგი, პატარაები მოსჭრან, რომ სხვას ასოებს შეეფერებოდეს და ყოველითურთ ეცადნენ, რომ ლამაზათ და სუფთათ მოსჭრან. მე ძალიან დიდრონი დაესხი და არ ევარგება, თუ ამ სიდიდეები მოსჭრეს.

გთხოვ, უმდაბლესად, ჩემო მეგობარო ბროსეტ, რომ ეს ჩემგან მოწერილი წიგნი გულისხმიერად წაიკითხო და ისე იმოქმედო და საჩქაროთ, როგორც შეიძლება, შენი მშვიდობის ამბავიც მომწერე და ამ ანბანის ორგინალიც ორი სამი ექვემპლარი გამომიგზავნე, როგორათაც ამ წიგნში ზემოთაც მოგწერე.

ქეშმარიტის სიყვარულით და შესაბამის პატივისცემით, უსა-

კუთრესო მეგობარო ჩემო, ვგიე მარადის

სრულიად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზი.

წელსა 1835-სა ქრისტესით,

ქ. ქ. ა. ფკგ (ბათოთხმეტისა მოქცევისასა),

თვეა მისსა 19 ჩვენისა ანგარიშით,

სჯნდეს[ი]ქრ[ი]სტ[ო]ს[ი]ლ[ი]ნ[ი].

მინაწერი:

უპატივეცემულესად თქვენს მეუღლეს ჩემი მეუღლე, მეფის
სძალი, მოკითხვას მოუძღვნის და მოკითხვისათვის ფრიად მაღლო-
ბას მოახსენებს. შვილი გყავსთ თუ ჯერ არა?

ქ-ნსტ იყნ?

ქ-ნს ფყ?

სე-შქტს ?

16

**მათს კეთილ-შობილებას, მოწყალეს ჯელმწიფეს, უფალს,
ჩემს საკუთარს მეგობარს ბროსეტს!**

მრავალს მოკითხვას მოგახსენებთ და თქვენს მშვიდობას ვი-
სურებთ. თქვენი წიგნი, ამ წლის რიცხვში 28-ს ივნისს აღწერი-
ლი, ფოჩით მივიღე. რაც მოგეწერათ ყოველივე ესტან. იფიქრე
ჩემო ბროსეტ, როგორათაჲ შენა გსურს ჩემი ნახვა, ჰენმარტებით
გარწმუნებ, უნამეტნავესად მე, მაგრამ თუ ღეთის ნება იქნება,
ენახავთ ერთმანერთს. თუმცა ჯერ უსასო ხართ, თქვენის წიგნით
ასე ესტნობ წამოსვლისა, მაგრამ იქნება შეგხედესთ ჟამი და ნუ
გაუშვებ დროს, თუ რომ კიდე შეგხედესთ. კარგი არის თუ ამ
ხელად შეიძლებოდეს ჩემი წამოსლვა, დიახ ვიცი, რომ მე თქვენის
ქვეყანის წარჩინებულთაგანაც და საზოგადოდაც ყოველთაგან, ვი-
თარცა თუთ ნამდვლს მეფის შვილს, თჳს მეყვის ისე პატივს მომა-
ბყრობენ, ამისთვის უფრო, რომ მცირე ხანი არ არის ჩემგან მაგ
ქვეყანის ცნობა. მე ისევე მაშინ სპარსეთში ესტხოვრებდი, როდისაც
ნიაპოლეონის¹² დროს დიახ ჩინებულნი გვამნი სპარსეთის ჯელმწი-
ფის კარს მოსრულნი, ვითარცა ღენარალ გარღან, ეგრეთვე სხვანი
და სხვანი, ყოველთაგანე ცნობა და მეგობრობა მქონია. ახლა
რომ მეაზიელეს საზოგადოობაში ვარ წევრთაგანი და მიწერ-მოწერ-
რაცა გვაქვს, და ამისთვის უფროს ჩემი პატივისკენა შესაბამი და
აღმატებული იქნება, მაგრამ ჯერეთ სულგრძელება გემართებს.

გთხოვ, ჩემო უსაკუთრესო მეგობარო, ასოთ მოჭრის საქმე
აღარ დაუტევოთ და როგორც რიგია, რვაღზედ. ამაში შ ეს
ასო კარგათ არის, ბანთან და ნართან რომ დაჯდეს არ დაუშლის.
ბ ეს ასოც დიახ კარგი არის, არც ბანი დაუშლის სხვას ასოსთან,
ნართან ან შანთან რომ დაჯდეს. ცოტა ბრუდე არის, გაასწოროს

მოკრაში. წარიც დიახ საუცხოვო და კარგი არის და მეორეები საკირო აღარ არის, რადგანაც, როგორც პირველში უშლიდა ერთმანერთს, ამ სახეში აღარ უშლის და დიახ კარგები არის, რაღათ უნდა რომ მეორე მოსკრას. კ ეს ცოტათ, დიახ ცოტათ, მოდილო დაიჭიროს. სხვები სულ კარგია. ზ ეს ასოც ძალიან დიდი არის.

ნიშნებისა მოგეწერათ, ხუთი ესე რანი არიანო: ო ეს შემკვრელია და გადამტანელი შემკვრელი ასე ღთისმეტყველი, წინასწარ ო მხედველი და სხვანი. ამ ნიშანს ბერძულად ეწოდება იპოდოსტოლ, ხოლო ქართულად გარემორთხმული. რთულსა და ზედრთულს ლექსებში იხმარება. 'ესე ბერძულად სახელიდების ოქსია და ჩვენებურად მახვილი (ეწოდება). საცა ხმის ამაღლება და ოხრვის გაგრძელება უნდა იქ ეხმარება. ეგრეთვე ბრანებითს სიტყვაში, უკუთქმითში, ზეგალითად: „ნუ'რა რაა გსურს თვნიერ მოთმინებისა“.

ხოლო ძველთა ჩვენთა მწერალთა მიერ არიან ხმარებულ გამოვანთა ზედა ასოთა. / ესე განკვირვებითს სიტყვას დაესმის. *¹⁰ ამას ტიტლი ეწოდება და ქართულად ქარაგმა ეწოდება. ეს საღმრთო სიტყვებზე, რომელიც შემოკლებულად დაიწერება, იმაზე დაისმის, მაგალ.: ღი — ღმერთი; ქე — ქრისტე; ღის-მნბლი — ღვთისმშობელი და სხვანი. ეს საზოგადო ყოველსა სიტყვებზე იხმარება: კცი — კაცი; ცხნი — ცხენი; ვა — ვითარცა; რ — რამეთუ; ხ — ხოლო და სხვათა ყოველთა ზედა იხმარებიან. რადგანაც ასეთის კარგის ჯელსა გაგვიკეთდა ეს ანბანი, მაშასადამე, თავისი ნიშნებიც შესაბამი არის რომ ჰქონდეს. გაუკეთებინეთ ცხრავე ესე ნიშანი პროსოდიისანი, მაგრამ წვრილები და ამ ასოების შესაფერი იყოს.

თქვენგან ნათქვი ღრამმატიკა¹³, რომელიცა გაგვიკეთებინათ ახალი ანუ (ესე იგი) თვთმასწავლებელი, მივიღევ. არ დავიწუნებ, კარგი არის პირველს შემთხვეულებაში, მაგრამ ჯერ სრულათ არ წარმიკითხავს. სახელის ბრუნვა თქვენ მოგიმატებიათ, მაგრამ თუ თანდებულებით გააკეთებთ სახელსა, ოცდაათამდისინ მოვა და ეს მე არ მომწონს, ამისთვის მაგალითი მოგახსენოთ: კაცის სხეული, რომელშიაც ასოებში არის განკარგული, თუ ის მოიშლება, ესე იგი თავი მუხლებთან მოგვებმის, ერთი ხელი კისერთან, ერთი ფეხი თავის ალაგს, თვალეები ზურგზე და ეგრეთვე თვთოეული ნაწევარი კაცისა ესრეთ აღრეული, მაშინ კაცის სხეული გარდაიქცევა იპოკენტავროდ. და თუ კანონებსა რომლისამე ჯელოვნებისასა ესრეთ ერთმანერთში ავრევთ და თვს-თვს ადგილს არ იქნება, იგიცა იმ

თეიმურაზს, სანკტპეტერბურგს, ვასილის ოსტროვში მესამე ლინი-
აზე სახლსა შინა ზანდაეუსსა № 15.“

ბრწყინვალეობით სხვა თავადებსა სწირენ საქართველოსასა
ტიტულს და არა მეფის შვილებსა. მეფის შვილებსა სწირენ—უგა-
ნათლებულესობით ანუ უმაღლესობით. ეს საქართველოს მეფის
შვილების ტიტულია ვაეებისაცა, სძლებისაცა და ქალებისაცა. ყო-
ველნივე ისე გვწერენ ყოველს ადგილიდამ. ამ ბოლოს ეამს თქვენს
წიგნში რადგანაც შეტოვებით იყო ტიტული ქართულში, მხოლოდ
ამისთვის მოგახსენე და მომიტევე.

ქ. ჩემმან მეუღლემ, მეფის სძალმან, მდაბლად მოკითხვა
თქვენცა და თქვენს მეუღლესაც და მოკითხვის მადლობა.

17

წელსა 1835-სა, ნოებრის 23-სა ძველის შტილით
სანკტპეტერბურგით.

**უსაკუთრესო გულითაღო მეგობარო, უფალო
უფალო ბროსეტ!**

მრავლის სურვილით აღვისილს მოკითხვას მოგახსენებთ და
თქვენს მშვიდობით სუფევეას ვისურვებთ.

ჩენს ამბავს იუწყებთ, ღვთის მოწყალებით მშვიდობით და
უკირველად გახლავართ. მხოლოდ ჩემი მწუხარება შენი პირისპირ
უნახაობა არის, რომ ესეოდენი წელიწადი არის წერილით ვიცნობთ
მხოლოდ ერთმანერთსა და პირისპირ კი არ გვეღირსა ნახვა. ოჰ!
წყეულიმც არის ამ სოფლის ზოგნი შემთხვეულებანი, დიახ საგრძ-
ნობელად გულისა ჩემისა. თქვენგან სურვილი ჩემის ნახვისა ვსცან
შენის წერილით ამ წლის ნოებრის 10 (22) დაწერილითა. რა ვყოთ
სრულად უძველესისა ბრძნისა სიმონილისა მიერ არს თქმული:
„ნურა რაჲ გსურს თვნიერ მოაშინებისა“ და ახალნი, ესე იგი სა-
ხარება, საღმრთონი წერილნი ბრძენნი და სულიერნი რაოდენს
მაგალითთა დაგვიდებენ ამისთვის, მაგრამ მე ასე მგონია, ესენი
სრულიად ნუგეჰინის საცემელად კაცთა და მშვიდობისათჳს სო-
ფელსა შინა მცხოვრებთა იყოს (კმაჲ მიზეზი ამისი ეს უნდა იყოს).
მაგრამ ჳელმწიფე სული კაცისა, გინა გული ყოვლითურთ ჳელმ-
წიფებს სხვებრ ყოველსა ნებასა ზედა კაცისასა და მაშინ ყოვლი-
თურთ სხვად სახედ შესცვლის მიდრეკილებასა წადილისასა. რა
ვყოთ, ჯერეთ დავუტევოთ ზრახვანი ამისთვის.

თქვენი წიგნი მივიღე დიახ გვიან ამისთვის, -- მე ვიდრე ნობრის 17 (29) არა ვიყავ პეტერბურგს. ვიყავით ჩვენს საზაფხულო სახლებში პეტერლოფს. ამისთვის ესეოდენი რამი დაგვიგვიანდა პეტერბურგს მოუსვლელობასა, რომელ იქ პეტერლოფს ჩვენს სახლებს ვაახლებინებთ, ვაკეთებთ, დავუმატებთ და ვამშვენიერებთ. ამ ქვეყანაში შენობა და გამშვენიერება ზე აღიწვევის სხვათა ადგილთა კვალისამებრ. მხოლოდ ძნელი ეს არის, შეუძლებელი არის, რომ ჰაერიც, ისეთი ხელოვნება იცოდეს, რომ შესცვალოს.

შენის ღრამმატიკისა მოგწერე გაშიხჯვა, ზოგი გავეშიხჯე და ზოგსაც ვშიხჯავ, მაგრამ რათ დამწამე ცილი, მე ისე არ აღმიჩვეიხარ შენა, რომ ვიცინო ამაზედ. რა ეჭვიანი კაცი ჰყოფილხარ. ამ შენს იქვებზე კი გავიცინებ. ნუ გასჯავრდები. თუ ოსტატად აღმიარებ და მოძღვრად, ხან უნდა გავიცინო, ხან მოგიწონო, ხან დაგიწუნო და ხან განგიმარტო. მაგრამ ყოველთვის მოგიწონებ, ნუ იშიშვი ამაზედ. ზოგნი შევირდნი ქების მოყვარენიც არიან ქეშმარიტად. თუმცა რომელსამე შენს ნაღვაწში შეცთომაც არის, მაგრამ წინაშე ღვთისა მე ქეშმარიტს ვიტყვი. დიახ საქები არის გულსმოდგინება და შრომა შენი. აი შენს ღრამმატიკას მე არ ვაძაგებ. პირველს შენთხვეულებაში კარგია და შემდგომი უკეთესი იქმნება. ეს არის მიზეზი, ჩვენებს, ქართველებს, ასეთი ხარაქტირი აქვსთ: არას გზით არ შესცვლიან კანონს მცირედიც რომ იყოს რამე წერილობასა, თორემ რა ბრალი არის თანდებულებისა (ღრამმატიკაში) სახელებთან თანა შერთვა. ჩვენში ჩვეულება იყო, ყმაწვილებს ღრამმატიკას ექვს თვეს დაასწავლიდენ. რომელნიმე იტყუოდენ, დიდხანს ამ ცოტას სწავლაში ატარებენ ყმაწვილებიო, მაგრამ არა, ოსტატები ასე ეტყოდენ: პირველი მეცნიერების კარი ის არისო, როდისაცა ენის თვსებას კარგად და სრულად ისწავლის ანუ საუბარში ანუ წერაშიო. ახლა ჩანს ესე, რომ იმათი სიტყვა ჰგავს, მართალი იყო. ჩვენი ძველების თხზვა და თხზვაში კანონიერება, საუბარ და საუბარში წესიერება, სრულიად სხვა არის. და ახლებიცა გვყვანან, ზოგნი სთარგმნიან სხვადასხვას ენებიდამ. იმათ თხზულებას არც თავი გაეგება და არც ბოლო. თუ ერთად შევიყრებოდით მე და შენ, მაშინ ყოველსავე საფუძვლიერად ცნობას მიიღებდი. ვუტევოთ ღმერთს, როგორცა ნებაეს.

მე დიდად მოუცლელათა ვარ ამისთვის, რაც შენ შემომიკვეთე, იმასა ვსწერ, თუმცა პირველს შემთხვეულებაში შემოკლებით გიკეთებთ, მაგრამ ნახავ შენ ღვთის მოწყალებით თუ როგორი იქმნება. ღმერთს ერწმუნე, ჩემთვის ასეთი შრომა არის ესე, რომ

ასამდის სხვასადასხვას წიგნში გამოვეძიებ. ამ დღით წიგნები გარემო მიყრია და ისე ვკრებ. ჩემთვის და ჩემის სახელის წოდებისათვის სირცხვილი არს, ეგრეთვე შენც ცუდს რაზედმე როგორ მიგაღებინო შრომაჲ, ასეთი რამ უნდა იყოს, რომ პირველს შემთხვეულებაში საკმაო უწყება მოკლედ გქონდესთ სრულიად გიორგისათვისა (ესე იგი ივერიის, რომელ არს საქართველო). მე პრაეალი მატერია მაქვს ამისთვის, რომელიც, დიდის გამოძიებით, რა მე შენ გაგიცან, მასუკან ვიწყებ შეკრება და ასეთი რამ უნდა წარმოვადგინო მაგ დიდებულს საზოგადოებაში, რომ შეურაცხად არ შეიქმნეს ჩემი ღვაწლი. ასეთი საქმე არის ცხოვრების აღწერა, რომ არც ერთს სხვას ჰელოვნებას არა ჰგავს და ამაზედ დიდი სიფთხილე უნდა ისტორიის დამწერსა. მე ღვთის შეწევნით ორსა ვწერ: ერთს მცირეს და სავსეს, საკმაოდ ვისაც ნებავეს საქართველოს ისტორიის უწყება და მეორეს დიდსა და ვრცელს. ის ჯერ ადვილათ არ შესრულდება, მაგრამ თუ ცოცხალი ვარ, ღვთის შეწევნით, წელიწადი და ნახევარი მოუნდება. შენ ნუ ასჩქარდები ისტორიისათვის, ნურასფერს ნურას დასწერ. ეს წიგნი, ღმერთს ერწმუნე, ღამე და დღე ჰელში მიჭირავს, ჩემის ჰელითა ვწერ. არ შეიძლება რომ სხვას დავაწერინო, წამიხდენენ. როგორც რომ გათავდება, ეს პირველი შემოკლებული, ქრისტესშობას თვის გასვლამდის და თუ მეორეს თვემდის, მაშინვე გამოგვზავნი.

მომიტყვე, ჩემო მეგობარო, ბროსეტ! მე მცონარებით არა მჭირს, მაგრამ საქმე ზოგჯერ ბევრი მაქვს, მიწერა და მოწერა. მაგრამ დარწმუნებული იყავ, რომ მე ამას მალე შეგისრულებ და თარგმანს შენგან მოველი.

ასოებისა რომ მოგეწერა, ყოველივე ესცან. ფულს გამოგიგზავნი ამ სამის კვირის შემდგომად უეჭველად, მაგრამ ეს მიყავით, რომ კარგათ იფიქროთ. მე რალას მკითხავ, წერაში კარგა გაწყობილათ გამოჩნდეს ასოები. მეორე ონტოლორაფიის ნიშნებისა, რომელიცა რომ არ გაეწყობა, დააყენეთ. თუ კი შეუძლებელი არის და დაბეჭდაში სწორეთ არ ნოვუვა ასოებსა, რა ჰელი ეყრება, არ ვარგა ისი. 1. , მიმე, 2. . წერტილი, 3. : ორი წერტილი.

* ვარსკვლავი. ∪ გადმოსატანი ანუ შემკვრელი. () ფჩხილი. ეს ფჩხილი თქვენს მოჭრილში ძალიან დიდი არის და პატარათ უნდა მოიკრას.

ეს ნიშნები, როგორც თქვენგან გამოგზავნილს ანბანზე იყო, ისე წმიდა და წვრილები უნდა იყოს. ორი წერტილი ცოტა უფრო ახლო-ახლო იყოს და ფჩხილი პატარა. ესენი ხომ დიან

საქირო არიან და უმათობა ხომ არ იქნება. .: სამი წერტილი სრულად არ უნდა.* ' მახვილი, * საღრმთო ქარაგმა, * საერო ქარაგმა, ამათი ცალკე მოკრა თუ შეიძლება მოაქრევიან ასე, რომ ასოებს გაეწყობოდეს, საცა საქირო იყოს. თუ არ შეიძლება და არ გაეწყობა, დაეუტევეთ. ასე ინებე ჩემო ბროსეტ, ამაზე რათა სწუხარ. ბევრი საქმე შემემთხვა, ფული ამიტომ დაგიგვიანეთ. მომიტევეთ და მომავალს თვეში მოგართმევთ უეჭველად.

სრულის პატივისცემით და სიყვარულით
მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწერები

ქ. ჩემი მეუღლე, მეფის სძალი, დიდის სიყვარულით მოიკითხავს თქვენს მეუღლესა და თქვენცა და მოკითხვის მადლობას მოგახსენებს.

ქ. ორმოცი ასო ხომ მოგიპრევიანებია ფოლადზედა და სამი კიდევ მეტი, ეს სამი ასოც მე მიმიღია, ოსტატებს აღარ გავეფუჭებ, ცოდვა არის. და თქვენი წიგნით — 12 ნიშნები კვამლით დაშვებული გვაქვსო. გავს, რომ ჯერ არ მოუქრიათ ფოლადზედა. თუ არ მოგიპრიათ, რომელიც არ გამოადგეს სიტყვებზე დასასმელათ, ნულარ მოსკრით.

18

წელსა 1836-სა იანვრის 2 (14)
სანკტპეტერბურგით.

მათს კეთილშობილებას, საკუთარს მეგობარს,

უფალს უფალს ზროსეტს!

მოგილოცავ ახალს წელიწადს! ღმერთმან მრავალს წელს მშვიდობით და ბედნიერად დაგასწრასთ.

თქვენი წიგნი დიან დამიგვიანდა. ქართულის ასოების ფული გამოგიგზავნე (ესე იგი) ოცდა ათი თუმანი ასიგნაცია, აქაური, რომელიცა იქს სამას რუბლსა. ეს ფული მიიღეს ბანკორი შტიგლეცის კანტორაში და ვექსილები მუსიეი შარმუას გამოვეუგზავნე, ის თქვენ მოგაბარებს.

ანგარიში ქართული ასოების ფულისა, რაოდენი მიგიღიათ და რაოდენი დარჩომილა, თქვენის წერილით ეს არის: ადრევე მიგიღიათ 165 ფრანკი, ახლა მუსიეი შარმუასაგან მიიღებთ + 330

დნ. : სამი წერტილი სრულიად არ უნდა რეპ.

რე დ.

ფრანკსა, 485 [?], ეს შეიქნა ოთხას ოთხმოცდა ხუთი ფრანკი. თქვენგან ნაანგარიშები არის სრულად ასოების ფასი 785 ფრანკი, მიღებული ადრევე და ახლა 485 ფრანკი. დარჩა, რომ კიდევ უნდა გამოგიგზავნო ჩემზე სამასი 300 ფრანკი. ამ გამოგზავნილს სამას ოცდაათს ფრანკს რომ მიიღებთ და თქვენი წიგნი მომიყა, მაშინ დანაშთსაც ერთობლივ მოგართმევთ. ჩქარად მომწერეთ პასუხი.

გთხოვ, რომ ეცადნეთ ოსტატს კარგათ გააწყობინოთ ასოები. თქვენ უყუროთ და ისე გააწყობინოთ, რომ დაბეჭდვაში ბრუდეთ და შორის შორს არ მოვიდეს ასოები და ნიშნები ონტოლორაფიისა კარგათ და გააწყობილად დაესხას.

როდესაც რომ ფასი სრულად შეუსრულდებათ ოსტატებსა, მაშინ მაგ ასოების გამოგზავნისათვის გაცნობებ. თქვენ მაგის გამოგზავნისა და გამოუგზავნელობისათვის ნუ შესწუხდებით. როგორც განზრახვა მექვს. ახლა არ მოგახსენებთ, მაშინა სცნობთ.

ღვთით საქართველოს ისტორიის წერაში⁴⁴ ვარ. ცოტას ხანს, ავით ვიყავ და დაბრკოლება ამისთვის მომეცა, ახლა კი მოვრჩი. ღვთის მოწყალებით სრულად კარგათ შევიქმენ. მომიტევე ჩემო ბროსეტ და შენს მეგობრულს ტკბილს წიგნს მალ-მალ მონწერდე, ამ წიგნის პასუხს ნუ დამიგვიანებ.

სრულის სიყვარულით და პატივისცემით,

სრულიად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწერები:

თქვენს მეუღლეს ჩემმა მეუღლემ ახალი წელიწადი მიულოცა და სიყვარულით მოკითხვა ეგრეთვე თქვენ.

თქვენი ადრესი მომწერე სადა სდგებარ. როგორ მივაწეროთ წიგნზედ, რომ როდისაც წიგნი იყოს ან სხვა რამ გამოსაგზავნელი, პირდაპირ თქვენ მოგივიდესთ, გარჩევით მომწერე. და მეაზი-ელე შეკრებილების ადგილი და ადრესი მომწერე, წიგნი რამ რომ შემხვდეს პირდაპირ ან იქ გამოგზავნო.

19

მათს კეთილშობილებას, ჩემს უსაკუთრესს მეგობარს

უფალს უფალს, ბროსეტს!

მრავლის პატივისცემით და სიყვარულით მოგიკითხავთ და თქვენს მშვიდობას ვისურვებ. თქვენი წიგნი მივიღე ჭებერვლის 23 (6 მარტს). დიდად ასიამოვნა ჩემს გულსა და ღმერთს მადლობა შევსწირე შენის მშვიდობისათვის. რადგანაც დიდი ხანი იყო

წიგნი აღარ მოგეწერა, ამისთვის არა მცირედ ვსწუხდი და ვფიქრობდი. მე იანვრის 7 (19) ავით გაეხდი, საშინელის გვერდის ტკივილით და ასე ავით ვიყავ, რომ კნინლა განვსწირე ჩემი ცხოვრება. მაგრამ ღმერთი მექმნა შემწე და განვმრთელდი. ერთი თვე და ნახევარი სარეცელზედ ვიწვე და აწ ეს ერთი კვირიავე იქმნება განვთავისუფლდი და მხოლოდ სუსტათა ვარ (ესე იგი უსუსურად) და ჯერ კიდევ სიარული არა მაქვს გარეთ. როგორც რომ შეიძლება გულსმოდგინება მექმნება და მაქვს და ნელნელად მოვყვე წერას, თუმცა დოკტორი ჩემი (ესე იგი მკურნალთ-წინამძღვარი) ნებას არ მძღლევს, რომ დალაღვა მივსცე ჩემს სხეულს, მაგრამ ვსასოებ ღეთისაგან, მალე სრულს სიმრთელეზედ მოვიდე და ამაზედ იქვე ნუ გექმნება, რომ შევასრულებ და კიდევ მოგართმევ.

მოგეწერათ, სომხური ისტორია გიშოვნიათ საქართველოსი. იქნება კარგი იყოს და არ ვიცი ვისგან არის, თუ შეიძლება სახელი მომწერეთ ვისგან არის აღწერილი. მე ბევრი მიშინჯავს იმათი ისტორია, ზოგთ ისტორიათა და მოთხრობათ კარგათ სწერენ, მაგრამ ერთი მეისტორიე მათი, რომელიც რომ ერთის ვისისთვისმე მოთხრობისათვს სწერს, მეორე მათი მომთხრობელი სხვა რიგათ სწერს და უმეტესს ზღაპარსიტყვაობენ, ვიდრე ნამდვილ ქეშმარიტებით აღწერილსა.

მიქაილ ჩამჩიანის წიგნი¹⁵, რომელიც კონსტანტინუპოლეთში დასწერა და დაბეჭდა სომხურად, ვგონებ ამ ორმეოც წელიწადში იყო ესე. რასაც საქარველოსათვის შემოუტანია იმაში, ზოგი მართალი არის, ზოგი მართალსა ჰგავს და უმრავლესი ზღაპრებსა ჰგავს. ახლა თავიანთ ისტორიისა და სომხეთის მოთხრობისათვის რასაცა სწერს, მცირედი მართალი არის, უმეტესი მართლის ნიშგავსებული და უმრავლესი ზღაპარსიტყვაობა. ეგრეთვე სხვათა ისტორიათა შინა სომეხთასა ასეთი ტყუილები სწერია, რომელ თვთ დიდს სომეხთზედ ის უფრო დიდი არის.

ერთი ისტორია პატრიარხთა თქვენცა ჰგაქვსთ ბერძული დოსითეოს პატრიარხისა და ხურისანთოსი, იმაშიაც ზოგს მოიხსენებს სომეხთათვის და მათთა ისტორიათა. კარგად განიხილე, რადგანაც ღმერთთან ასე ინება და თქვენს მეთაიელის საზოგადოებაში იწყო ჩვენის ისტორიის შეტყობის გულსმოდგინება, ვსასოებ ყოველივე უწყება მიიღოთ, ოღონც ეს, რომ სრულიად შეუძლებელია ერთად, თუ წვრილ-წვრილად არ მომზადდა. და როდისაც ჩემგან მოგივთ მოთხრობა საქართველოსი, მაშინ სცნობთ სრულად ყოველს ქეშმარიტებას. ორი მიზეზი არის, რომ დამიგვიანდება ხოლმე გამოგზავნა: პირველი ესე, მარტო ვშრომობ, ჩვენნი ქართველები

ახლა შედიან მცირედ-მცირედ ხალისში, პირველად დატევებისა და უგულვებელსყოფისა ბევრი მიზეზები ჰქონდათ. მეორე მიზეზი ეს არის, რომ მე ამ ისტორიას რომ მოვყევ, თუ სწორეთი დამტკიცის, დამტკიცებით სიმართლე არ ექმნება, როგორც ეშვებაბამება ისტორიას ანუ მოთხრობას, ჩემთვის სირცხვილიც იქმნება, რომ მაგისთანას განათლებულს ადგილს წარმოვადგინო.

ამას წინათაც მოგწერე, ჩვენი არც ერთი ანბანი და არც ერთი წერილი სომხისა ვისგანმე მესრობისა თუ სხვისაგან არ არის ქმნულ. დამამტკიცებელ ამისი ძველი მონეტებიც არის ხუცუ-რად ასომთავრულად დაწერილი, რომელიც ქრისტეს მოსვლის უწინ არიან აღბეჭდილნი და ამისთვის სხვა მოგივათ განმარტება, დროზედ ყოველსავე სცნობთ. მე ღვითთ არ დავუტევებ და ყოველსავე წვრილად აღვიწერთ.

მუსიეი შარმუასი წიგნი აღარ მომივიდა, ორჯელ მოვსწერე და ჯერ პასუხი არა მაქვს. დიახ ვწუხარ ამისთვის, სულით და გულით შეკრულება მაქვს მასთან და დიდად ვსწუხარ, შეუძლოთ; ხომ არ არის. აქ შეუძლებლობდა და არ ვიცი როგორ არის, ანუ თავისი სახლეულობანი როგორა ჰყავს. პირველად რომ მანდ წამოვიდა ბარნან, მაშინვე კი მოეწერა წიგნი და მშვიდობით მისვლა. მასუ-კან აღარა მოუწერია.

უფალი ბურნოქ მომიკითხე დიდის სიყვარულით და პატი-ვისცემით, გთხოვ. დიდად ვმადლობ, წიგნი მოეწერა ჩემთვის ასე-თი, რომ ჩემი გული წმიდის სიხარულით განამხიარულა. წიგნი მისი დავსცევი ჩემთვის საუნჯეთ ოქროსა კიდობან-სა შინა და სიტყვანი წიგნსა მას შინა წერილნი დავსცევი საუნჯესა შინა გულისა ჩემისასა.

გთხოვ, უფალო ჩემო, საკუთარო ბროსეტ, შენს წიგნს ნუ დამაკლებ და ნიადაგ მხიარულ მყავ შენის მშვიდობის ამბითა.

ქართულს ანბანისა გაკეთება და შესრულება მოგეწერა. ვიცი კარგათ გააკეთებინებ. დაკლებულს ფულსაც შემდგომს ჟამში მი-იღებთ.

უსაკუთრესად და უპატივცემულესად

სრულიად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1836-ს,

ქებერვლის 28-ს (11 მარტ.).

სანკტპეტერბურგს.

მინაწერი:

ქ. თქვენს მეუღლეს ჩემი მეუღლე სიყვარულით მოიკითხავს, ვგრეთვე თქვენ და პატივისცემით.

ამ წიგნს ფორმით არ გიგზავნი, უფალს რობერტ ლენცს მივეც და იმან აღმითქვა გამოგზავნა. ვგონებ, რომ არ დაგიგვიანდესთ და მალე მოგივიდესთ⁴⁶.

1836-სა ივნისს 17 (29)

20

სამეფო ქალაქით ბერლინით.

საკუთარო მეგობარო ჩემო, უფალო ბროსეტა!

ვიცი თუ მანდვე პარიეში იმყოფები, დიდად გაგიკვირდება, რომ მე ბერლინიდამ წიგნსა გწერ. ჩემის ავადმყოფობის გაგრძელების მიზეზითა, თბილს წყალზე, მინერალურთა მარიამბადისა და კარსბადნისათა, მოვდივარ და ამ ორ დღეს ბერლინში დავყოფ⁴⁷. თუ წასასვლელი ხარ პეტერბურგს, მე გამომიარე, მარიამბადში ვიქნები კარგა ხანსა და თუ არა, ის შემატყობინე. დიდი ხანი არის შენი წიგნი აღარ მომივიდა, არცა რა შენი ამბავი ვიცი.

ისტორია რაც დაწერე ისე დამრჩა, ავადმყოფობამ არ მომაცალა. ცოტათ რომ წამოველ, გზაზე ჰაერმა და გზამ მარგო. ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ჯელმწიფე იმპერატორი, რომ გზის ხარჯიც მიბოძა და დამითხოვა. შემოდგომამდის ამ არე-მარეებში დამიგვიანდება და მერე ღვთით წავალ პეტერბურგსა. ნეტავი გნახევდე, ჩემო ბროსეტ, ეგების მნახო და საჩქაროთ შენი ამბავი მარიამბადში მომწერე.

მდაბლად, საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწერები:

ეს წიგნი, რომელიცა ამ შენს წიგნში ძეს, მუსიეი შარმუას მივეც ან გაუგზავნე.

აქაურობა კარგს მოგავს და ჯერ კი არა მინახავს რამე. ახლა მიმეშურვება, უკან გამოვლახედ უნდა გავშინჯო, იქნება ერთად გავსინჯოთ.

ბერლინამდის ოცი დღე დამიგვიანდა, ავადმყოფობის მიზეზითა ექიმიც თანა მყავს, ხმელზე წამოვედით კარეტითა.

უფალი ბურნოფ მომიკითხე, ვითარცა უსარწმუნოესი მეგობარი, დიდის პატივისცემითა.

საკუთარო მეგობარო, უფალო ბროსეტა

ვგონებ თქვენ გეგონათ, რომ თქვენი წიგნი*, რომელიც ბერლინიდანვე ჩემს მოწერილს წიგნის პასუხად მომწერეთ, დაკარგულიყო, მაგრამ მე იგი მოწერილი წიგნი ბოლემიაში მარიაშადან მივიღე. ჩემის ავადმყოფობისა გამო, იქიდან ველარ მოგწერე, რადგანაც ყოველს დღეს სამკურნალოს წყალს კრეისბრუნისას მივიღებდი და კიდევ დღეგამოშვებით ვბანობდი. ღეთის მოწყალეობით, დიდად მარგო, როგორათაც სამკურნალო წყალმა, ევრეთვე ჰაერმა, რადგანაც მუნებური მარტო მარიაშადანისა ჰაერი ზაფხულში დიახ კარგი ყოფილა და სანიადაგო წყაროს წყლები ჩინებულნი. რადგანაც რომ შევატყევე იქაურს სამკურნალოს წყალის და ჰაერის რგებას და ჩემს იქ ყოფაში ჰაერიცა კარგი იყო, დიდხანს დავრჩი. ჩემს იქ მისვლაში პირველად კარლისბადნი რამდენიმე დღე დავრჩი და მეორეთაც ვიყაი მარიაშადანიდამ და ისევ მარიაშადანსავე მივბრუნდი ანისთვის, რომ მე კარლისბადის წყალმა არ მარგო. და თუნცა ჩინებული ადგილია, მაგრამ ღრმა ხეცია შეწყვედული და ჰაერი კარგი არ არის. შეწყვედულს ადგილის მიხეზით სუნი არის უსიამოვნო. მარიაშადანის ჰაერი სჯობს და სანიადაგო წყალიცა. ჩემს იქ მისვლაში ბევარიის კოროლევაც თავისის შვილით [ოტტ]ონ ბერძნების კოროლით იქ ბრძანდებოდნენ და პრუსიის პრინცი ვილგელმ კოროლის შვილი, თავისის მეუღლით პრინცესათი. და ყოველს დღეს თითქმის ერთად მხიარულებით გაეატარეთ მათ დიდებულს გვაგებთან დრო. დიახ შემიტკბეს, დიდი მადლობელ ვარ, კეთილი გული და პირი მიჩვენეს. მერმე ისინი უფრო აღრე წაბრძანდენ ჩემზედ და მე სეკდებრის შვიდაშდის იქ დავრჩი.

სეკდებრის შვილსა რეინის მდინარის და იშის გარეშამოების განსახილველად წაველ, ფრანკონიაზედ გავიარე. მრავალი უცხო ქალაქები, მონასტრები და ძველებური შენობაები ვნახე ჩინებულეზი. ჭრანკტოროტა-მეინში მიველ. რაოდენიმე დღე იქ დავყავ. დიახ მომეწონა, მხიარულ ქალაქი არის. იქიდან მეინზს მიველ. ორს სამს დღეს იქ დავყავ. მერმე ისევ გამოველ რეინს, ვიცბადენს მოველ. იქიდან შეალბახზე მთის გზით გავიარე ნასაუზე და.

* დნ. უმაღებს: რომელიც ამ ზაფხულს მე ივნისის 27-სა.

ემზხედ. ყველა ადგილს სამკურნალო წყლები ენახე და გამოვცადე. კობლენც მიველ, დიახ მომეწონა, გავშინჯე ციხე ქალაქი და იქი-
დამ რეინის პირს შევეყვო ისევე შეინამდის. იქიდან გამოვბრუნდი
ჭრანკტჰოსტზედვე, გამოვიარე ვეიმარზე. ვეიმარში ჩვენი ველიკა
კნეინა არა ბრძანდებოდა, შევიცარიამი გორმში წაბრძანებულყო,
იქიდან ლეიბციხზედ გამოვიარე, ორი დღე იქ ვიყავ. ჯერ იქაური
დროებითი ვაქრობა არ გათავებულყო. ლეიბციხიც კარგათ გავ-
შინჯე.

წამოველ იქიდანა. ლეიბციხიდან მეორეს დღეს ბერლინში
მოველ. აქ კოროლმა და სამეფოთ ფოძილიათ დიახ სიყვარულით
მიმიღეს. ოქტობრის 3 (15) მოველ ბერლინში. ოქტობრის 10-სა
(22) აქ სამეფოს სახლში ქორწილი ჰქონდათ, კოროლის ძმისწული
პრინც ვილგელმის ქალი, პრინცესა ელისაბედ, დარმშტატის პრინცს
შიათხოვეს და ამ ზემორე რიცხვში, შათათს. მეექვსეს საათის
ნახევარზედ, დიდს კოროლს სასახლეში ჯვარი დასწერეს. წინა
დღითვე ებრძანებინა კოროლსა მიწვევა ჩემი ქორწილში. მიწვიეს
და თუმცა მე წასულა მეშურეებოდა შინასკენ, მაგრამ აღარ
გამიშვეს, მანამ ქორწილობა ჰქონდათ.

ცხრა დღე, ყოველს დღეს პრინცებს სადილი, ბალი და მი-
წვევა ჰქონდათ. დიდად შემიყვარეს სამეფოს სახლის სქესთ ყო-
ველთავე, ნამეტნავედ კრონპრინცმა, რომელიც სიბრძნით სავსეა.
მე შენი ღრამატიკა თვითმასწავლებელი თანა მქონდა, კრონპრინცს
მივართვი. დიდი მადლობა პირათაც მიბრძანა და კარგი წიგნი მო-
მწერა. დიახ, იმის პირს პეტერბურგიდან გამოვიგზავნი, ახლა ჩალა-
გებული მაქვს ბარგი. დიდად მოიწონეს შენი შრომა და ამათ
ქართულ წერილ არც კი ენახათ. ყოველს დღეს მკითხველენ ჩვენი
ლიტერატურისათვის და მეც ცნობას ვაძლევდი. მეორეს წიგნსაც
დავპირდი პრინცსა. ვგონებ, აქამდის შეასრულებდი, რომ ისიც
უნდა გამოვიგზავნო იქიდანა, პეტერბურგიდან. როგორათაც დი-
დებულ[ი]ს მეფის შვილი ბრძანდება მემკვიდრე, ეგრეთვე შესაბა-
შიერი ბრძენი და მეცნიერი და კეთილის გულისა.

ცხრა დღე ქორწილი იყო. მეათეს დღეს კიდევ კოროლს ებ-
რძანა და სადილათ იმას ვახლდი საკუთრად. მერმე გათავდა ქორ-
წილი. გუშინასწინათ კიდევ კრონპრინცს კონცერტი იტალიანური,
დიახ საუცხოვო და ვახშამი ჰქონდა. იქ ვახლდი და ახლა
გამოვეთხოვე. კოროლმა დიდი მოწყალებიანი სიტყვები მიბრძანა.
დიახ კმაყოფილი ვარ ამათის სახლისა, რომ შესაბამის პატივის-
ცემით და დიახ კეთილის გულით მიმიღეს.

დღეს რომ ოქტომბრის 26 (ნოემბრის 8) არის, ბერლინიდამ, ლეთის მოწყალეებით, გავალ და გზასა და სიცივეს ვეშურებები. და რას წამს მივალ პეტერბურგს, წიგნს მოგწერ ლეთითა და განვიხილავ, თუ გაგიგზავნიათ ასოთ წერილსა, და დაკლებულს თუ ვნახავ რასმე, მოგწერ და ფულსაც გამოვეუგზავნი ოსტატებსა. შენ გამოგიგზავნი ფულსა და მისცემ, ოლონც ეს იყოს, რომ მანამ პეტრებუხს მივალ, ამ წიგნის პასუხი იქ დამხვდეს.

დიახ საუცხოვოთ გავატარე აქ დროები, ნეტო აღარ შეიძლება და ჩემს ავადმყოფობასაც მზიარულებამ არგო. ბევრით განსხვავებული არის ჩემი სიმრთელე ახლა. ოლონც ჯერ სრულად განთავისუფლებული კი არა ვარ, მაგრამ ვსასოებ, თუ ეს ზამთარი ასე გავატარე, აღარა მექმნება რა საიქვო. ჩემი ექიმიც იქილამვე თანამყავს. ქარგი ექიმი არის, დიახ, და სიხარულით მივდივართ პეტერბურგისკენ.

ახლო ვიყავ პარიჟზედა, კიდევ მინდოდა მოსვლა, მაგრამ თუ მოვიდოდი, მთელი ზამთარი მანდ უნდა დავრჩომილვიყავ, რომ კარგა გავცნობოდი პარიჟსა. და რადგან მეუღლევ თან არა მყვანდა, თუ დამიგვიანდებოდა, შეწუხდებოდა. თავათ ჩემს ავადმყოფობაზედ ამდენი მწუხარება გასწივა. და მე ახლა რადგანაც ეს ადგილები გავიცან, უქველად ჩემს მეუღლესაც წამოვიყვან და რაოდენსამე დროს პარიჟში გაეატარებთ. მარტო არ მინდა მოსვლა მანდ. ისე სჯობს, რომ ჩემმა მეუღლემაც ნახოს მანდაურობა, თორემ ძალიან გულით მინდოდა პარიჟის ნახვა და ერთს იმოღენს ზომად შენი ნახვა.

გთხოვ, უფალო ბროსეტ, მუსიეი შარმუას ამბავი მომწერო. მე რომ ბერლინიდამ მოგწერე წიგნი, იმისი წიგნიც შენს წიგნშივე შთავდევე, მაგრამ პასუხი ვეღარ მივიღე. ავადმყოფი იყო ისიცა და ღმერთმან დაიფაროს, ძალიან ვსწუხარ იმისთვის.

უფალი ბურნოქ ძმურის და მეგობრულ[ი]ს სიყვარულით მომიკითხე. მარადის მაგ ბრძნისა დიდი პატივისმცემელი ვარ და ქეშმარიტის სიყვარულით მახსოვს მარადის.

ვგიე ფრიალთა პატივისცემითა

უფალო ბროსეტ,

საქართველოს მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ .

მ ი ნ ა წ ი რ ი :

როდისაც პეტერბურგს წიგნი მომწეროთ, სახლი ხომ არ გამოგიცვლიათ, ადრესი მომწერე სახლის.

წელსა 1837-სა იანვრის 9 (21) სანკტპეტერბურგით

მათს კეთილშობილებას, უფალს ბროსეტს,
ახალს წელიწადს მოულოცავთ და ახალს ზედსა.

უხაკუთრესო მეგობარო ბროსეტ!

თქვენგან მოწერილი საამო წიგნი ორჯულ მივიღე ჩემის გერმანიიდან ზობრუნების შემდგომად. მე, ღვთის მოწყალებით ყოვლითურთ განთავისუფლებული სწულეებათაგან, გიორგობისთჳს (ნოებრის) გასულს პეტერბურგს ჰოველ. ღვთით, მეუღლე ჩემი და ყოველნი ჩემნი მშვიდობით დამხვდნენ და იფიქრეთ, როგორ საგრძნობელ იქმნებოდა ჩემის მეუღლისათვის ანუ ჩემთვის, რადგანაც აღარ მოველოდით, რომ კიდევ ვნახევდითლა ერთმანერთს.

ერთი წერილი ბერლინიდან მოგწერე და ჩემი მუნებური ვითარება ოქტობრის 26-სს, რომელიც ნოებრის 8-ა.

ქართული ასოები, რომელიც რომ იტალიანელის ქალისათვის გამოგეტანებინათ, და ორი წიგნი თქვენი ნაშრომი, მივიღევ, დიდად გმადლობ.

ეს ფოლადზე მოჭრილი ასოები (les poin, cour) მომივიდა ორმოცდა სამი (43) სრული ანბანი არის, ორი ზ, ორი ნ და ორი შ. ეს დიახ კარგი, მაგრამ უ ეს ასო, უნი, აკლია. თუმცა უნი ამ ასოებში არის, ბრჯგუთი არის, აი ასე უ. ეს წერილში ვინის ალაგას იხზარება, უნი ცალკე უნდა იყოს. უბრძანე ოსტატს (უ) უნიც მოსჭრას უბრჯგუთთ, ცალკე, ფოლადზე მოჭრილი გამომიგზავნე და ონტოლრაფიის ნიშნებიცა. აგრეთვე რამდენიც არის, ისინიც სულ ფოლადზე მოჭრილი უნდა გამომიგზავნოთ. რალათ დაიჭირა უკან თუ მზათა ჰქონდა, ან (უნი) და ან ონტოლრაფიის ნიშნები და ისინიც არ გამოგზავნა? ეს ფოლადის ნაკლები ასო უნი და ონტოლრაფიის ნიშნები ფოლადისა რომ მომივა, რაც ფული დააკლდება, ეხლა იმასაც მაშინ გამოგზავნი და მერმე დედნები გამომიგზავნოს, ან შენ რომ წამოხვალ. თან წამომიღებ.

ორას ოცდა ცამეტის ჭრანკის (ჭრანკი 223) ორი თამასუქი გამოგიგზავნე (ესე იგი ვექსილი). უფალი ბურნოფისაგან მიიღებ ამ თამასუქებს. შენს სახელზედ არის დაწერილი და ფულს შენ აიღებ. ორასი ფრანკი ოსტატს უნდა მისცე, დარჩება იქა ოცდაცამეტი ფრანკი. ეს ოცდაცამეტი ჭრანკი (33) ჩემი წლის ფული არის, რომელიც უნდა შეიტანო

საცა ადგილი არის ნეაზიელეს შეკრებილებისა. თამასუქები შენთან მინდა პირდაპირ გამოგეზავნა, მაგრამ რადგანაც მითხრეს ახლად, რომ მითომ ამ ზამთარსვე მოხვალ, ამის მიზეზით ბურნოფთან გამოგეზავნე, არ დაეკარგოს ფული-მეთქი. მაგრამ, თუმცა მითხრეს, არა მგონია კი, რომ მოხვიდე გაზაფხულამდისინა. და სწორეთ შემატყობინე, რომელს თვეში წამოხვალ, რომ მანამ კიდევ კარგს რასმე წიგნს მოგასწრეთ, რომ ჩააგდებინო ჟურნალში ან ალბეჟლო.

შენს პირველს წიგნში გეთხოვა რეისტრი ჩემის წიგნებისა. წიგნათ შეკრული მოგივა. მივეც საცა ადგილია. ან კურიელით გამოგზავნიან ან კარგის მგზავრით. ამას გარდა, სხვაცა მაქვს გამოსავზავნი და შევიტყო შენი რა ერთს ხანსა რჩები და როდის წამოხვალ. როცა წამოხვალ, რამდენიმე წიგნი თვითმასწავლებელი შენგან გაკეთებული ქართული და ფრანციკული, რომელშიაც ჩემი ანბანები არის ჩატანებული, იმ წიგნებისა წამომიღე. მე აქ იმაში სასყიდელს მოგცემ. დიახ საჭირო არის ჩემთვის, სხვათ დაეპირდი. ჩემს ბერლინში ყოფაში ერთი იმ წიგნისა კრონპრინცს მივართვი. პირველად თითონ მთხოვა ქართული ანბანა მიჩვენეო და ის წიგნი მქონდა თანა და მივართვი. დიდათ მოიწონა, ამისთვის დიდი მადლობელი იყო ჩემი. აი იმისი წიგნის პირიცი, ჩემთან მოწერილისა, გამოგიგზავნე დასარწმუნებელად, ჩემო ბროსეტ (ამ წიგნშივე ძეს)¹⁷ და იმ ქვეყანაშიაც შენი სახელი გამოვაჩინე. და დაეპირდი კრონპრინცს, რომ ბროსეტ მეორეს წიგნსაც ბეჟდავს ამ ღრამმატიკის შესასრულებელსა.

ადრევე შენ მოგეწერა ჩემთვისა, რომ მეორე წიგნიც მალე შესრულდებო და იმას ხუ დააგდებ არ შეასრულო. და თან წამოიღე რანდენივე, რომ ჩემი დაპირება ტყუილი არ გამოვიდეს კრონპრინცთანა, რადგანაც დაეპირდი იმას, უთუოდ მალე გავა მეორე წიგნიც ამ ღრამმატიკისა და მოგართმევ-მეთქი. ძალიან იამა წიგნი რომ გაუგზავნე.¹⁸ მერმე რომ ვიახელ, დიდი მადლობა მიბრძანა პირათაცა და მითხრა, აი ჯერ დღეს ეს ორი სიტყა დავისწავლევო. ქართულად მიბრძანა: „ხუცური ამბანა“, „მხედრული ანბანა“. ძალიან შემიყვარა და სთნდა ჩემთან ლაპარაკი. დიახ, ხშირათ შევიყრებოდით და გრძლად ლაპარაკი ჰქონდა ჩემთან, ძალიან მეცნიერი და სწავლული კაცი ბრძანებულა, უკეთესი ძვირათ მინახავს, და გულითაც კეთილი.

მუსიეი ფრეინი ამ დღესასწაულებში იყო ჩემთან. ბევრი ვილაპარაკეთ შენის აქ მოსელის გამოისათა. ღვთით, სასოება არის კარგათ წარიმართოს ყოველივე.

სხვა რაღა მოგწერო. ამისთვის დაგიგვიანე წიგნი — არ მეცალა: ჟელმწიფესთან, იმპერატრიცასთან, სამეფოს სახლის შვილებთან, ყველასთან შენდგომად მოსვლისა წარვდეგ. კეთილის თვალით და გულით და პირით მიმიღეს, ღმერთმან აღღვეგრძელოსთ — და აქაურს პირველსა და ჩინებულს გვამებთან, მანამ ყველას მოუვლიდი. ამას გარდა ჩემი სახლის მრავალი საქმე მქონდა დაშთომილი და მოშ-ლილ-მოშლილ. ახლაც ღამე და დღე მოუსვენებლობაში ვარ ბევ-რის საქვისაგან. ამ წიგნის პასუხი საჩქაროთ უნდა მომწერო.

უსაკუთრესად საქართველოს მეფის

გიორგის ძე თეიმურაზი.

მინაწერები.

ფასის ანგარიში რაც მიუღია ასოების მომპრელს ოსტატსა: სულ იყო შერიგებული 785 ჭრანკად. წინას წელიწადს და შარშან მივიღიათ 485 ჭრანკი. დარჩომილი იყო აქამდის 300 ფრანკი.

ახლა მომირთმევია ოსტატის ნისაცენათ 200, მაშასადამე დარჩება მხოლოდ ასი (100) ფრანკილა.

დაშთომილი უ ასო უნდა ფოლადზედ მოჭრილი მომივიდეს, ეგრეთვე ონტოლრაფიის ნიშნები. მაშინ გაზოვეუგზაენი დაშთომილს ასს ჭრანკსაცა და დედნებს ან თქვენ წამომიღებთ, ან აღრე-ვე გამომიგზაენით.

ჩემმა მეუღლემ, მეფის სძალმა, თქვენცა, თქვენი მეუღლესც მოიკითხა და ახალწელიწადი მოგილოცათ. მანამ მოხვიდოდეთ, შენს მეუღლეს ქართული ასწავლე რამდენიმე, რომ ჩემს ცოლს ელა-ბარაკება. ქართულს ახლა შეიმეცნებ კარგა და ქართველებსაცა.

23

წელსა 1837-სა მარტის 12 (24) სანკტპეტერბურგით.

საკუთარო მეგობარო ბროსეტ!

მრავლის სიყვარულით მოგიკითხავ და თქვენს მშვიდობას ვისურვებ. თქვენი წიგნი მომივიდა, რიცხვი კი არ დაგესოთ რო-დის იყო დაწერილი. ამ მარტის 4-სს (16) მივიღე. ჩემგან გამო-გზაენილი ფული მივიღიათ და ოსტატებისათვის მივიციათ, დიას პატროსანი, თქვენ მოგეწერათ (ჟ) ეს ასო ერთი კმარაო. კარგი, თანახმა გახლავარ ამაში, მაგრამ რომელიც ონტოლრაფიის ნიშანნი

არიან, ესე იგი (le cine autografic) ისინი ფოლადებზედ მოჭრილნი არ მომივიდა. წერტილი, ორი წერტილი, მძიმე, მახვილი, ვარსკვლავი და სხვანი, რომელნიც რიცხვით 10, ჩემთან გამოგზავნილს ქალაქდზე დასახულს ანბანასთანა დასახულ არიან. რადგან ამ ასოებსა ასე კარგათ მშვენიერად მიკეთებინებთ, ესასოებ, რომ ონტოგრაფიის ნიშნებიც გაკეთებული იქნება და იმაებსაც რკინაზედ ანუ ფოლადზე მოჭრილსაცა (როგორც ეს 43 ასო იყო ჭოლადზე მოჭრილი და გამოგვგზავნა ჩემთვის), ისე იმ სახეთ მოაჭრევენებ ჭოლადზედ. ან მანამ გამომიგზავნე, მანამ წამოხვალ, და ან როცა წამოხვალ, თან წამომიღევ. და დედნებიც თქვენვე უნდა წამომიღოთ კარგათ, რომ გზაზე არ წახდეს ან არ დაიკარგოს, სრულად ონტოლოგრაფიის ნიშნებითა, და იმის მადლობას აქ შემოგზავლენი.

ანგარიში ასოებისა და იმისის ფასისა

ორმოცდასამი ასო მოუჭრიათ, რომლისაც ჭოლადები მე მივიღე თქვენგან გამოგზავნილი და დედნები ჯერ მანდავ არის.* პირველადვე შევრიგებულვართ: თითოს ასოში მისაცემად ჯელფასისა 13-სს ჭრ[ანკს], რომელიც თქვენგან ჩემდამო წარმოვლენილს სიაში ცხადი არის. თითო ასოში 13 ჭრანკი. ორმოცდა სამს ასოში იქნება 559 ჭრანკი. ათს ონტოგრაფიის ნიშნებში, თითოში 13 ჭრანკი, იქნება 130 ჭრანკი [სულ] 689 ჭრანკი, რაოდენი ფული მე გამომიგზავნია ოსტატების მისაცემი.

მუსიეი შარმუა როდესაც აქ იყო, იმას გამოვავგზავნიე ფული პირველად 165 ჭრანკი, შარშან, 1836-სა იანვარში, მუსიეი შარმუასთან გამოვავგზავნე და იმან თქვენ მოგაბარათ 300 ჭრანკი. ამ განვლილს დეკემბერში მუსიეი ბურნოფთან გამოვავგზავნე და იმისგან თქვენ მოგერთოთ 200 ჭრანკი [სულ] 665. მაშასადამე, აკლია ამას 24 ჭრანკი, რომელიც უნდა გამოვიგზავნოთ (თუ რომ თქვენ იფიქროთ ჩემი, რომ აქამდის ასე გამოწვლილვით ანგარიში არ მოუწერიო და ახლა რა ამბავი არის ესეო, გამოსცანით, რომ გერმანიისაში ჩემის მოგზაურობის მიზეზი იქნება. იქ ვისწავლე ანგარიშები, თქვენში კი ჯერ არ ვიცი როგორ იცით). ჩემი ანგარიშით ესეოდენი მოდის, მაგრამ თქვენ გეანგარიშათ და ჩემთვის ზოგეწერათ წელსა 1835-ში, რომ ჯელფასი სრულად შეადგენდა ასოებისა 785 ჭრანკისა. თუ რომ ამდენის მოვალე ვიქნებით, მაშინ გვემართება კიდევ მისაცემი აქდენი: $[785] - 665 = 120$ ჭრანკი, ესე იგი ას ოცი. თქვენ-

* ამის შემდეგ დნ. ხაზია გავლებული.

ზე მე დარწმუნებული ვარ, თუმცა მაგდენი არა არის რა, მაგრამ მაინც ჩემს მცირედ ფულსაც თქვენ უბრალოთ არ გადაჰყრით. გთხოვ საჩქაროთ მაკოდინო, რა ერთი კიდევ უნდა გამოგიგზავნოთ ფული, რომ სრულებით დედნებიცა, ასოებისაცა, ონტოლორაფიისაც და ჭოლადზე მოჭრილსა დარჩომილი ონტოლორაფიისაც, თქვენ მიიბაროთ.

მცირე რამ მაგ ასოებით რამდენიმე ტრიქონი დამიბეჭდე. ჩემი გულისათვის ჯაფა გასწივე, რომ ვნახო, როგორ იბეჭდება ვეფხის-ტყაოსნის ლექსებისა ან სხვა რამ ერთს ფურცელზედა.

ჩემი წიგნების ზანდუკი დიდი ხანი არის მზათა მაქვს. რა ექნა, მუსიეი შარშუა ასე დამაკლდა, ვერავენ მიშოვნია, რომ გამოვატანო, ყოველ დღე ვეძებ მგზავრსა. ადელონგიც⁴⁹ მთელი ზამთარი ავით იყო და იმანაც ავადმყოფობის გამო ვერავენ მიშოვნა, ვცდილობ, ეგების კურიელი ვინმე წამოვიდეს და იმას გამოვატანო. ეს ჩემი წიგნების ზანდუკი⁵⁰ ამისთვის არის სამშურველო და სახმარი, მრავალთა ქართველთ ბრძენთ და მთხველთ გვამთ შეისწავებს აქედამ კაცი. ყოველის წიგნისა ვისგან არის გაკეთებული, რა დროს და რა საგანზედ ისტორიული ცნობა არის. მე დავსწერე დიდის შრომით კარგს ჯელზე, სხოლიოებით დიახ კარგა გამართული. დიდად ვცდილობ, ეგების გამოგზავნო, რომ მოგისწრას და თარგმანი დაასწრა და ისე დაავდო მეაზიელის საზოგადოობაში, დიახ სახმარი არის.

ღვთის გულისათვის, რომ წამოხვიდე, უფალო ბროსეტ, ჩემო მეგობარო, რამდენიმე შენგან აღბეჭდილი ქართული და ფრანკიცული თვითმასწავლებელი რომ არის, რომელიცაჲ კაი ხელის ანბანები არის (რომელიც მე პრუსიის კრონპრინცს ვაჩუქე და მე სხვა აღარ დამრჩა), ამ წიგნებსა თან წამოიღე[ბ], საჭირო არის. და რადგან ეს ღრამატიკა შენგან გაკეთებული სრული არ იყო და მეორე წიგნსაც აკეთებდი, ამის შესასრულებლად დაბეჭდი იმეებსაც. შეასრულე და წამოიღე (რომ მე ბერლინში კრონპრინცს დავბირდი: მეორე ტომიც იბეჭდება ამ ღრამატიკისა-მეთქი და იმასაც მოგართმევ-მეთქი). ამას გარდა, რაც ახალი რამ გქონდეს დაბეჭდილი თუ დაწერილი ქართული ლიტერატურებისა, რაც გამოსულიყოს ნაშენობებისა, ციხეებისა, საყდრებისა თუ მონასტრებისა და საისტორიო წერილები, ყოველივე რაც არის, იმათი პირები წამოიღეც თანა, აქ ძალიან გამოვადგება.

თუკაცა მწერთ რომელ: რომელთამე უხმარად უჩნსთო და უსარგებლოდაო ჩვენი ქართული ლიტერატურაო, მაგრამ კაცმა პირველად ქეშმარიტი განსჯა უნდა მოილოს და ეგრეთ წარმოთქვას ყოველი სიტყვა.

მე ქეშმარიტად ვიტყვი, ამას ვერაფერს მარწმუნებს, რომ ევროპიაში დიდი სიბრძნე არ იყოს დამკვიდრებული (ექვსასი წელიწადი იქნება და თანდათან უფრო ემატება). მაგრამ მრავალი კერძონი ქვეყანანი და თემნი არიან პირსა ზედა ქვეყანისა სჭერო, რომელ ყოველთავე მათ ერთა და თემთა ყოველივე ევროპიის სიბრძნე, მეცნიერება, კელოვნება და სწავლულება სულ ამაოდ ზიანით და უხმარად და არც ჰგონიათ, არც ირწმუნებენ, რომ ევროპიაში ეს ზემოთქმული სიბრძნე იყოს დამკვიდრებული და არც სურისთ მათ ამისი შემეცნება და არცა ყუადღება, მაგრამ ამისთვის ევროპია თავის სიბრძნეს და დიდებას არა ჰკარგავს და არსცა უბრძნესი და უუსწავლელები ერი. და თუ ოდესმე სხვანი კერძონი, რომელთაც ევროპიის სწავლა და ჩვეულება არა სათნო უჩნსთ, თუ იგინი შეიტყობენ და სცნობენ, მაშინ გაუკვირდებათ და ქებასაც დაუწყებენ.

ეგრეთვე ევროპიელებმა, რომ არაფერს უწყის ჯერ სრულის მიწეწილებით არამც თუ თქვენს ქვეყანაში, ანუ ანგლიაში, ანუ გერმანიაში ანუ სხვაგან, აქაც არ იციან და რას მოიწონებენ და რას აქებენ. და ამაზე შენ გული ნუ დაგაკლდება და სასოებაცა გქონდეს ამისი, რომ ბოლოს შეინანებენ და ასე იტყვიან: ჩვენ შევსტით და არ ვიცოდითო და ახლა ვხედავთ, რომ უგულებელს საყოფელი არა ყოფილა ქართული ენა და ლიტერატურაო.

სიკადული მრავალი უშვერ ჰყოფს კაცსა და მეტი თქმა, მაგრამ მე ქეშმარიტს განსჯით ამას ვიტყვი: იმ ძველს ქამებში, როდისაცა არც ჯერ თქვენში და არც გერმანიაში ხუთი კაცი არ იპოებოდა, რომ სწორეთ ანბანა თავიდამ ბოლომდის ჩაეკითხათ, მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ ქამებში, თუ სთქვა, სრულს განათლებაში და წერილებით აღსაესედი, სიბრძნით აღყვავილებულნი და რომლის ქამითგანაც სირიასა, ეგვიპტესა, სპარსეთსა და საბერძნეთში (ესე იგი გრეციაში) იყო განათლება, ეგრეთვე საქართველოშია. ჯერ ვისაც რა ნებაეს ისი თქვას, ეამხედ იცნობება. გრიგოლი ღვთისმეტყველი დასწერს ნანძიანელი თავის სტიხებში: „სჯობს საქმე უხმო სიტყვასა უსაქმოსა“... ეგრეთვე ჯერ უსაქმოს

სიტყვას* ჩვენ დადუმება გვმართებს და დროზედ საქმით აღმოჩნ-
დეს ღვითთ. ამასაც ვიტყვი მე, არამც თუ ჩემობით, ქვეშაობის
განსჯით.

მე ამ განელილს წელს გერმანიაში მრავალი სხვადასხვანი
ადგილნი ვნახე. რა საკვირველი არის, რომ თუმცა თავისუფალს
ხალხსა დამონებული ერი როგორ უნდა შეეადარო, მაგრამ ხალ-
ხის პირველად ხარაქტირი, მშვენიერება, ახოვნება, ჰაერო[ვ]ანება,
მთა, ბარი, ძველი მონასტრე[ზი], ციხეები, ქვეყნის გარემოზღუდ-
ილობა, ჰაერი, წყალი, ნაყოფიერება, სიუხვე, მდებარეობა თუნდ-
ვგულოვნებაც: ზახლის სიმდიდრეც, სტუმართმოყვარება, სულ გან
სხვავებული არის ჩვენის საქართველოსი. და თუ მე მართალს არ
ვიტყვი და ქვეშაობიან განმსჯელმან და ქვეიანმან კაცმან თვალთ
კასინჯოს და ისე გამამტყუნოს. და თუ ქვეშაობი და ქვეიანი
გუამი არის, სცნას და განსაჯოს, როგორი სამეფო ყოფილა სა-
ქართველო და ვითარი მცხოვრებნი, ანუ აწ ახლა.

და თუ მწიგნობრობას ბრძანებთ, შესაძლებელი არის, რომ
ძველთა ჩვენთა საიშვიათოთა წიგნთა ოდესცა მიხედნენ მალლად
ბრძენნი და უსწავლულესნი ევროპიისანი დიდის სურვილით ივას-
ხებენ ეგრეთთა საუნჯედ და ძვირფასად სააღსარებელთა და მი-
საღებელთა.

უტყვე იგინი, ჯერეთ მდინარეთა პირთა მისულნი, უკეთუ ვერა
სცნობდენ რაოდენნი გვარნი თევზნი იყოფებიან წყალსა მას შორის.
მოხვალ ღვითთა და ვგონებ არა უკმ არს, როდისაც გიჩვენებ
სხვათა და სხვათა საიშვიათოთა წიგნთა და აქედამ წვრილ-წვრილ-
ლად შევამეცნებთ მათ, ვინცა გვცრახვენ. და როდესაც განიხილ-
ვენ, მაშინ სინიდიისი ანხილებსთ და სცნობენ, რომელ პირველი
განსჯა მათი არა ქვეშაობი იყო. მე მაგისტანას სიტყვებს არათ
მივითვლი. ქართველები რაც ყოფილან, არიან და იქმნებიან, რო-
გორც ღმერთსა ნებავეს. რაც უნდა კარგი არა სკირდესთ, არავის
შეეხვეწებიან კი: ქართველები გვაქვეითო. საქმემ უნდა აჩვენოს
კაცს მწემქებარეობა ამისთვის, რომელ ქების მოყვარეობა ცუდ
მედიდებობას წარმოადგენს. ქართველთა, შემდგომად სომეხთა მე-
ფობისა აღხოცისა, ექვსასი წელიწადი და შემდგომად საბერძნეთის
მეფობის აღხოცისა ოთხასი წელიწადი, თავიანთი მეფობა, ქვეყა-
ნა და სარწმუნოება შეუხებლად დაიცვეს. და წარიკითხე ისტორია

* დნ.: სიტყვიას.

სხვათა სამეფოთა, თუ ვითარ მოუთხრობს. იპოებისა ესრედ სულ-გრძელად ეგეოდენტა მტერთა და ძლიერთა ესეოდენ წელ წინა-აღმდეგად და სიმტკიცით დგომა (აწინდელსა ნურარას მოვიხსენებთ, სულ სხვა არის). მე მეტს არას მოგწერ და, ღვთით, რომ შვეიყრებით, მაშინ ვილაპარაკებთ.

ჩემი მოსწრაფება დღითი დღე ეს არის. ისტორია საქართველოსი ეგების შევასრულო და, ღვთის მოწყალების იმედი მაქვს, ყოვლითურთ ვცდილობ, რომ მრავლის დამოწმებით ქეშმარიტება ჰქონდეს. ზოგი მზათა მაქვს, კიდევ მსურდა გამოგზავნა, მაგრამ ახლა ვის გამოუგზავნო, შენ აქ მოსდიხარ, მანდ ვინა სთარგმნის, ტყუილათ ეგდება. ღვთით, მოხვალ აქ, გადავთარგმნით და ერთად წარვგზავნით ჩვენს მეაზიელეს პარიეის საზოგადოებაშია.

თქვენს მეუღლეს მეცა და ჩემი მეუღლეცა მდაბლად მოვიკითხავთ. იქნება სწუხდეს წამოსვლისათვის შორს ქვეყანაში, მაგრამ ნუ შეწუხდება. თუმცა მაგათ ქართული ენა არ იციან, ჩვენ სახლში გვეყვანან პატიოსანნი გვამნი, რომელთაც ფრანციცული კარგათ იციან და გერმანიული. და პეტერბურგში მცხოვრებნი უფროსი ერთი ლაპარაკობს ფრანციცულს ენას. არ შეწუხდება და დროებსაც მხიარულად გავატარებთ. მაგრამ თითო-ორი ქართული ასწავლე, იქნება საქართველოშიაც წახვიდეთ, ვინ იცის, შემთხვევა.

მ ი ნ ა წ ე რ ი :

აპრილი რომ გავიდეს, მალე ნუ წამოხვალთ, მანამ მაისი არ განახევრდეს ნუ წამოხვალთ. ზღვა აქეთ არ არის კარგი. მაისის ნახევარს რომ წამოხვალთ, ზღვა უფრო მყუდროთ იქნება და მოსვენებით მოხვალთ. თქვენი მწუხარება მექმნება, მანამ მშვიდობით განახავთ.

უსაკუთრესად შესაბამის პატივისცემით

საქართველოს მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ .

24

წელსა 1837-სა აპრილს 3 (15) სანკტპეტერბურგით.

უფალო, საკუთარო მეგობარო ბროსეტ!

წარსრულს მარტის 13 (25) წიგნი მოგართვი და ასოების დაშთომილის ფულისა გკითხეთ, რა ერთი უნდა მოგართო კიდევ

ოსტატების მისაცემად, პასუხი აღარ მომივიდა. თქვენგან გაკეთებული ქართული და ჭრანციკული თუთმასწავლებელი ერთი ექვზემპლარი მივიღე და თქვენი წიგნი კი არ იყო ამ წიგნთანა. ვწუხარ, ხომ არა გემიზებება რა, რომ პასუხმა დამიგვიანა. შენ რომ ჩქარა მოგიხდეს წამოსვლა, ფულს ვინ მიიღებს? არ ვიცი, როგორა ექმნა. თუ კიდევ დაგიგვიანდებათ და მოვასწრობს, საჩქაროთ შემატყობინე და თუ ჩქარა მოგიხდება წამოსვლა, ის შემატყობინე ფული ვის მიუვიდეს და ვინ მისცემს ოსტატებსა. როგორა ექმნა, მაცოდინე. და დედნები ასოებისა ეგების არ დაგრჩეს და თან წამომიღო, და თუ თან ვერ წამოიღებ და დარჩება, ის მომწერე, რომ აქედამ დავაბარო ვისმე, რომ მომიტანონ. როგორ მოვიქცე ამაში მომწერე.

უსაკუთრესად მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწერი:

ეს წიგნი, დიახ, საჩქაროთ დაესწერე. ამ წარსრულს კვირაში პრუსის კოროლისაგან კავალერია მებოძა წითელი არწივ-ვასკვლავით.

მისამართი:

A monsieur Brosset
à la Société Asiatique
Membre de l'Académie Russe
à Paris
rue Taranne N° 8, où 6-me, rue de vaugizard.

25

საკუთარო მეგობარო, უფალო ბროსეტ!

ამ წიგნის მომტანი თქვენთან რომელიც მოვა სანახავად, კალესკი სოვეტნიკი უფალი ბეზაკნიკოლაი პავლოვიჩი, არის ესე ტფილისის მთავარ მმართველისა ბარონ როზინთანა²¹ პრავეიტელ კანცელერათ. ამისი ცოლი ჩემის მეუღლის დისწული არის და ეს აპირობს მალე წასვლას თბილისს, საქართველოში, და მსურდა, რომ ამას იცნობდეთ. თუ ოდესმე საქართველოში წასვლა მოგიხდებათ, ამისთანა კაცი საჭირო იქნება თქვენთვისა. და ეს ეძებს ერთს ვისმე კარგს კაცს გუბერნორად ტფილისში წასაყვანათ, ჩემის მეუღლის დისშვილებისათვის, რომელიც რომ არის იმათი მამა სპარსეთის კარზე დესპანათ რუსე-

წინს კარიდამ გრაფ სიმონიჩი, ჩემი ცოლისდა ჰყავს იმასა და იმისი შვილებისთვის უნდა. იქნება, რომ პეტერბურგში იყოს ვინმე იმისთანა კარგი მცოდნე კაცი, კარგათ ენების მცოდნე ფრანციცი ვინმე, ანუ თქვენმა მცნობებმა იცოდენ ვინმე. თუ შეიძლება, გთხოვ მოიკითხოთ და ამას უფალს ბეზაკს გააცნობოთ, რომ ელაპარაკოს და ეგების წავიდეს ოსტაუთ და მომვლელათ ტფილისში გრაფის შვილებისა, კარგის ჯამაგირით. ეს ყველას შეგატყობინებსთ კარგათა.

გთხოვ დღესასწაულზედ მობრძანდეთ ჩვენთან სტუმრათ და ნახოთ აქ დღესასწაულობა და დიდი ლიმონაცია და ერთად გავტაროთ დრო.

ჩემმა მეუღლემ მოიკითხა თქვენი მეუღლე და თქვენცა.

პატივისცემით და მდაბლად

საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1837-სა

ივნისს 24.

პეტერლოფით.

26

საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ უცხადებთ პატივისცემით ფრიად, უფალს როსიის აკადემიის წევრს, ბროსეტს! რომელ აქ ვასილის ოსტროვში, მესამეს ლინიაზე, ჩვენს სადგომს მოხვიდეთ, დღესა ამას ორშაფათს, ივნისის 7 (19), შუადღიდან მეორის საათის ნახევარზედა, პირველს შემთხვეულებაში გაცნობადცა პირისპირ.

[1837 წ., ივნისი]

მისამართი:

უფალს რუსეთის აკადემიის წევრს ბროსეტს
ს. პეტერბურგს.

27

წელსა 1837-სა, ივლისის 16, პეტერლოფით

ჩემო საკუთარო მეგობარო, უფალო ბროსეტ!

მომივიდა წიგნი უფალი პაველე ნიკოლაოზის ძისა ჭუსისა⁵². მთხოვა მან აკადემია ნაუკის წიგნთ საბეჭდველისათვის ჩემი პარი-

ქილამ თქვენგან მოტანილი წვრილი ასოების მატრიცები (ესე იგი დედნები), სრული თავისის ონტოლოგიის ნიშნებით მომართმევია, რათა თქვენ წაიღოთ საცა ადგილი არის იქა და უფალს ფუსსა ჩემგან მოწერილი წიგნიც გაისარჯნეთ და თქვენის ხელით მიუტანეთ პასუხი მათის წიგნისა. მე სრულის კმაყოფილებით ვათხოვებ მანამ საჭირო არის მათთვის და მერმე ისევ თქვენის ჯელით ჩემი მატრიცები მევე მომიტანოთ⁸⁷. ამაებს ჩემის ბეკლით დაბეკდილებს მიიღებთ, 77-ს ნაჭერი არის. უფალს ფუსსა შეატყობინეთ და ვინც ასოებს ჩამოასხამს, რომ როცა ჩამოასხან, ზოგს უ ამ ასოს მოუკვეთონ ბრჯგუ (A) და ზოგი ბრჯგუთივე შეინახონ, და ზ ორი არის, ეგრეთვე შ და ნ. ამისთვის საცა გრძელი წარი, ანუ შინი, ანუ ბანი ზოგს ასოსთან ვერ გაიმართება, მეორე უნდა იხმარონ. ამისი გულისხმისყოფა მიეც.

ახლა ეს წიგნი საჩქაროთ მოგწერე. ბევრი საქმე მქონდა, თითონ ეს ჩემი დავით გაიმბობსთ ჩენს ამბავსა. და სხვა ასოებისათვისაც რა ზრუნვა აქვს აკადემიას, შემატყობინე, ჰკითხე ფორმები. ვარლამ ექზარხოსი საქართველოსა რომ იყო აქა, იმან გააკეთებინა მატრიცები, ასონიც დამოადინეს და ის უცხო ხელი იყო მსხვილი. იმისი ფორმა მონახონ, ესე იგი მატრიცი, და საცა გაზეთსა ბეკედენ, ვასილის ოსტროვში, მეცხრეს ლინიაზე, იმ სახლში სარაიაში ჰქონდათ ცირს შენახული ჩამოსხმული ქართული ასოები, ხუტური. საკვირველ უცხოა, იმისი ფორმებიც მონახეინე.

პირველი საქმე ეს არის, რომ კარგი ასოები ვიშოვნოთ, რომ მშვენიერი იყოს, რადგანაც ქართველებს დიახ უყვარსთ მშვენიერი ხელი.

შენი ამბავი ყველა შემატყობინე რას მოქმედებაში ხარ და როდისა გაქვს განზრახვა ჩვენთან მოსვლისა და თქვენის ზეულისა ერთად.

მდაბლად და უსაკუთრესად მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწერი:

77: სამოცდა ათი ნაჭერი არის ასოების დედნები, ესე იგი მატრიცები, და გთხოვ, საცა მიაბაროთ, კვიტანცია გამოართოთ რამდენიც ნაჭერი არის, ამისთვის რომ ვინც მუშები არიან, იმათ არ დაკარგონ და მერმე არა თქვან, რომ ამაზე მეტი არ იყოფო, რადგანაც ასოები ორმოცათ იძვლება, მაგრამ ეს დედნები სამოცდა ჩვიდმეტი არის.

მეფის ძე თეიმურაზ.

უფალო ბროსეტ!

ახლა, ღვთით, კარგათ შევიქენ და კიდევ წავეკითხე ეს სტიხი სხვა ხელი, მობრძანდი, რომ გაჩვენოთ, მაგრამ თქვენც თუ წაიკითხე, ისიც თან მოიტანეთ. მე შინ გელით და გარდმოდით. მდაბლად მეფის ძე თეიმურაზ.

29

მეგობარო ჩემო, უფალო ბროსეტ!

მივიღეც დიპლომი თავისუფალის კელოვნებათ აკადემიასაგან ჩემისა შორის მათსა პაჩოტნი ჩლენად შერაცხვისა, მადლობითა დიდითა და კმაყოფილებითა.

და თქვენდაცა ფრიად მადრიელ ვარ და ვალდებულ, ვინადგან ნაწილ კერძოებთ ყოველსა შინა, სამწემებროსა შემთხვევასა ჩემდამი.

ვგიე მარად მიდრეკილ თქვენდამი გულითა, სიყვარულითა და პატივისცემითა.

უსაკუთრესად საქართველოჲსა მეფის ძე თეიმურაზ.

ჩულწ წელსა,

ივ იანვარს

ს. პეტერბურგს

ცალკე ფურცელზე:

ქ. ბეზაკისა. იმას უნდა მიუტანო. საქალაქო წიგნებიც ამაში აწყვიტა, იმასთანვე — კონვერტი.

30

აპრილის 8-სა 1838-სა

ქ-ი უნისჯუც

მეგობარო ჩემო, უფალო ბროსეტ!

დღეს მეორეს საათზე, ანუ ორს სრულზედ, მოვალ მე თქვენთან და წარგიყვანთ უფალს დადიანს ჩემ დისწულს გრიგოლთან, სადაც სადილსაც იქვე მივიღებთ და დროს კარგათ გავატარებთ შექცევით. მზას იყავით შინ, რომ წავიდეთ ერთად.

მდაბლად მეფის ძე თეიმურაზ.

დიპლომი აკადემია ნაუკისა, რომელიც მოეცა პოჩეტნიჩენს, მათს უგანათლებულესობას მეფის ძეს თეიმურაზს წელსა 1838-სა ტიტული იმაში* ლათინურის წერილით:

Principem Sereuissimum

Georgiae Principem Regium Equitem virrim.

თარგმანი ამისი ქართულად:

პრინცს უგანათლებულესს საქართველოს მეფის ძეს და კავალერს.

ხოლო ფრანციცულად ასე ითარგმნება:

A son Altesse le czarevitsch Theimuraz prince de Georgie.

(აქ როგორც სწერია ფრანციცულს ლიტერატურებში, ისე ჩასწვრდეთ, ანუ ამ ჩემს ბილეთზედ როგორც სწერია. წიგნების სიაში ახლა რომ ბეჭდენ ასე ჩააწერინე)*.

რუსულათ ასე ითარგმნება:

Его светлости Грузинскому царевичу Теимураз Георгиевичу и Кавалеру. როსიის იმპერატორების ბოძებულს გრამატებში ამ ტიტულით არის მოხსენებული მეფის ძე თეიმურაზ. ამისთვის აკადემია ნაუკის დიპლომიც ამ ტიტულითა სწერს, რადგანაც ჩვენის ოჯახისა და მეფის შვილების ტიტული ასე არის მარადის. ფრანციიდან რომ წიგნი მოუვა ანუ გერმანიიდან მეფის ძეს თეიმურაზს, მცნობნი ყველანი ამ ტიტულით სწერენ, როგორათაც ფრანციცულში არის. პრუსიის კრონპრინცისაგან მოწერილს წიგნში ტიტული აგრევე არის მეფის ძის თეიმურაზთან მოწერილი და სხვათაგანცა ევროპიიდან სამეფოს სახლის სქესთაგან მოწერილი ანუ დიდკაცთაგან.

რუსეთის დიდნი კაცნი მინისტრნი და სხვანი, როგორც ამ ზემოთ რუსულში სწერია მეფის ძეს თეიმურაზსაცა და სხვას მეფის ძეებსა, რძლებსა და მეფის ქალებს ამ ტიტულით სწერენ.

გთხოვთ, მუსიეი ბროსეტ, ჩემო მეგობარო, წერილებში, ლიტერატურაში, ჩემს ტიტულს ნუ აგდებთ და ცარევიჩობა ჩასწვრეთ ხოლმე. Царь, ეს სახელი ნიშნავს Roi (მეფე) царевичу fils de Roi. დიდად მადლობელი ვარ, უფალო ჩემო, საკუთარო ბროსეტ,

* აქ როგორც ასე ჩააწერინე, მიწერილია აშინაზე, () არ აქვს.
რ ე დ.

რომ ყოველს წიგნში თქვენ მიერ ვიქები. საუკუნოდ მოვალეობა არის ჩემთვის. კეშმარიტად ირწმუნე, რომ მე არა თუ დიდების მოყვარებით ვარ, მაგრამ ამისთვის არ მინდა, რომ დააკლოთ ჩემს ტიტულს ლიტერატურაში კანონიერად ჩაწერა, ამისთვის, რომ რუსეთში და ჩვენ ქვეყანაში სირცხვილათ მიაჩნიათ. არ მინდოდა, რომ თქვენთვის ეს გამომცხადებინა აქამდის, მაგრამ რადგან ჩემი მეგობარი ხარ, არ მინდა, რომ სხვამ ვინმე თქვენზე თქვას რამე, რადგანაც მე ორის გვამისაგან გავიგონე იმისთანა სიტყვა წინა-აღმდეგი, მაგრამ არ შეიძლება არაოდეს, რომ მე თქვენი სიყვარული და ერთგულება შევეურაცხეყო. და ამისთვის საჭირო იყო ჩემთვის, რომ მე ეს შეგატყობინოთ ამ სახით.

მეფის ძე თეიმურაზი.

1838. 5. 5.

მინაწერი:

რუსეთის იმპერიაშია და ჩვენს ქვეყანაში დიდი სირცხვილი არის კაცისათვის, თუ თავისი ტიტული დაკარგა. ჩვეულება ასე არის და უკაცრაოთ ნუ ვიქნები⁶⁵.

კვ

წელსა 1838-სა, აგვისტოს 8-სა

მათს მალაღკეთილშობილებას, მოწყალე ჯულმწიფეს,
უფალს უფალს ბროსეტსი

თქვენი წიგნი მივიღე მოსკოვიდამ, 29-ს ივლისს დაწერილი, შაფათს 6-სს აგვისტოს. ვისიამოვნე დიდად, რადგანაც შრომა თქვენი უქმი არ იყო. და რადგანაც მეტი არა მცალს, რომ გრძლად მოგწეროთ, რადგან, ღვთით, მალე გნახავთ, თქვენ არ მომწერეთ მე და ამისთვის საჭიროდ შევრაცხე, რომ მანდ მოსკოვსა უსპენიის სობოროში* მიხვიდეთ და იმისი საუნჯე გასინჯოთ. იქ არის ერთი ძვირფასის ქვებით შემკული გვირგვინი სადღედოფლო, ესე იგი საქალო, მეფის რუსუდანისა. იმაზედ ქართული ხუცური ასომთავრული წერილი არის, გარშამო სიმგრგვლეზედ აწერია. ის სრულიად, როგორც არის, თავისის სახით გარდმოწერეთ. თუ თქვენ

* უსპენიის სობორო ის ეკლესია არის, რომელშიაც რუსეთის იმპერატორები ეკურთხებიან და გვირგვინსან იქმნებიან.

[თეიმურაზი].

ვერ წაიკითხავთ, აქ მე წავიკითხავ, ოლონც სრულად და უკლებ-
რათ გარდმოწეროთ. მაგ უსპენიის საყდრის პროთოიერეის უნდა
სთხოვოთ, ის გიჩვენებს იმ საყდრის საუნჯესა, ანუ ვისაც აბარია
საუნჯე, მანდ მოსკოვში შეიტყობთ; გამოუცხადეთ, რომ აკადემია
ნაუკისაგან ხართ წარვლენილი. ეს გვირგვინი ნახე, გადმოწერე
და იქნება იმ საუნჯეში სხვა ქართული ხატი იყოს და ზედ ნა-
წერი, კარგათ გასჩხრიკეთ.

გვიე მარადის უღრმესისა პატივისცემითა

მეთის ძე თეიმურაზ.

მინაწერები:

ქ. მე კაცი გავგზავნე და ვიკითხე, რომ თქვენი სახლეულება
სრულად მშვიდობით არიან ღვით.

ჩემი მეუღლე პეტერლოფს არის და მე ამ ეამათ პეტერბურგს.

მომიტყვე, რომ ეს წიგნი დიახ საჩქაროთ დაწერე. შათათსა
და კვირას ფოჩტა არ არის და დღეს მოგწერე. ესასოებ მოგისწ-
როს ამ წიგნმან.

33

აპრილის 25—1839-ს

უფალო ბროსეტ!

ეს ბეჭედი სწორეთ ქართული არის და კიდევ წავიკითხავ:
თ იმიტრი ეს ამოვიკითხე, მაგრამ ამ ლაქზე რომ დაგიბეჭდიათ,
სრულად არა სჩანს კარგათ. ორი კიდევ დამიბეჭდეთ ამისი კარგს
ლაქზედა, რომ სულ პირველი სორტის ლაქი* იყოს და ორიც ქა-
ლალდზე მეღნით და მიბოძეთ დღესვე და ღვით წავიკითხავ და
გარდაგიწერ.

მდაბლად მეთის ძე თეიმურაზ.

მისამართი:

მათს მალაქეთილშობილებას, უფალს ქართულ ჩვენის ენის
პრეფესორს ბროსეტს.

34

მოწყალეო კელმწიფე, უფალო ბროსეტ!

დღეს ექვსს საათს საღამოს აქ ჩვენს სადგომს მობრძანდი,
ქორწილი იქნება ჩვენი დავით ივანიჩის ქალისა დარიასი.

* დნ. ქალი.

რედ.

ჩვენს საყდარში დასწერენ ჯვარსა. გიამება ნახვა და დროსაც გაატარებ.

უსაკუთრესად მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ.

იანვრის 31 1841-სა.

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

მათს მაღალკეთილშობილებას უფალს ბროსეტს.

35

მათს მაღალკეთილშობილებას, უფალო უფალო ბროსეტს!

მეგობარო ჩემო უსაკუთრესო!

რადგანაც თქვენ აპირობთ დაჩაში წასვლასა, საჭირო არის ჩემთვის ორი წიგნი ქართული, რომ ნათხოვრად მომცეთ აკადემიიდან, ესე იგი წიგნი მარგალიტი⁵⁶, რომელშიაც სწერია ღვთისმშობლის მიცვალებისათვის და მათე მახარებლისათვის მოთხოვნა, რომელიც რომ აღრევე მე თქვენს სახლში ვნახე ის წიგნი და გავსინჯე. და მეორე ის წიგნი უნდა მათხოვოთ, რომელშიაც სწერია მარია მებეგ [ვ]იპტელის ცხოვრება⁵⁵. ეს ორი წიგნი დღეს გამოართვით აკადემიაში და თქვენს სახლში მიიტანეთ. ხვალ, როდისაც მოვრჩებით ჩვენი ძმის, მეფის ძის ბაგრატის დამარხვას⁵⁸, სალამოს ჟამსა ან მე გადმოვალ თქვენთან, და ან აკ დაგიბარებ წიგნებს გამოგართმევ და ხელით წერილს მოგართმევ, რომ ეგ წიგნები ჩემთან არის.

ამას გარდა გთხოვ, რომ ვეფხის-ტყაოსანის განმარტება⁵⁷, რომელიც მე განემარტე, თქვენა გქონდესთ, თქვენთან შეინახეთ და როცა მოიცილიდეთ, ფრანციცულად სთარგმნეთ. სხვას ნურავის ნუ მისცემთ, ჩემი ნება არ არის, რომ სხვას ვისმე მისცეთ. და ნახევარსაც განმარტებისას რასწამს შევასრულებ, იმასაც თქვენ მოგართმევ სათარგმნელად.

მეფის სძალმა მოკითხვა მოგახსენათ თქვენც და ჩემს ნათლისდელასაც, თქვენს მეუღლეს. ეგრეთვე მე ჩემს ნათლისდელას მდაბლად მოვიკითხავ და თქვენ შვილს, ჩემ ნათლულს, პირს ვაკოცებ, და ერთობლივ თქვენ შვილებსა პირს ვაკოცებთ.

უსაკუთრესად მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ.

[1841 წ.].

მის მალალკეთილშობილებას, უფალს უფალს ბროსეტს!

უპატივცემულესად მოგიკითხავთ, და სვიმონიკა ტაბიძე⁵⁵ გვედრებათ და მე შუამდგომელად შემოყვევარ თქვენთანა, რომ შეეწინეთ და ეს ატესტატი, რომელიც ამას მიუღია საჭელმწიფოს ტიპოლრაჭიით აკადემიისა — გამოუცვლევინეთ ესრეთ, რომ კარონის სამსახურის ოტესტატი (ესე იგი სვიდეტელსტვა) მიეცეს, რომ შეეძლოს იმითი სამსახურში სადმე შესვლა. თქვენს აკადემიის კომიტეტში ითხოვეთ და ესეც გამოაცხადეთ, რომ შუამავალი მე ვარ ამ სვიმონ ტაბიძისა. მე ვიქმნები თქვენი სანიადაგო მადლობელი ბატონო ჩემო ნათლისმამავ!

უსაკუთრესად მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ.

წელსა 1843-სა
იანვრის 27-სა
ს. ზ.

უსაკუთრესო მეგობარო, უფალო უფალო ბროსეტ!

მრავალს მოკითხვას მოგიძღვნით. თქვენნი ცოლ-შვილნი კარგათ, მშვიდობით იმყოფებიან, თუმცა წამოსვლის დროს ვერა ენახე ისინი, მაგრამ მშვიდობით არიან, მე შევიტყუე. თქვენი მშვიდობის ამბავი მომწერეთ და რას მუშაკობთ ისიც. წასვლის დროს ერთს საგანზედ თქვენ მე მილაპარაკეთ, კარგათაც აღარ მახსომს და თუ გნებავსთ უმეტეს მაგ საგანზედ შეტყობა, კარგათ, ჯელმეორეთ, თქვენის წიგნით გამიმეორეთ. მე ერთი წიგნი ვპოვე ახლად და ის წავიკითხე. როდესაც მომწერთ თქვენ, მე მაშინ იმ წიგნიდამ რაც იმის საგანზე აღწერილი არის, ყველას წვრილად მოგწერთ და გაცნობებთ.

თქვენს წიგნს და მშვიდობის ამბავს ნუ დაგვაკლებთ.

უსაკუთრესად, მეფის ძე თ ე ი მ უ რ ა ზ.

წელსა 1844-სა
მაისის 25-სა
პეტერლოფით.

მისამართი:

მათს მალალკეთილშობილებას ქართულის ენისს პრეფესორს, უფალს უფალს ბროსეტსს. მოსკოვისს.

უფალო უფალო, ბროსეტ! ჩემო უხაკუთრესო მეგობარო!

სიყვარულით და ფრიადის პატივისცემით მრავალს მოკითხვას მოგიძღვნი

თქვენი აქედამ წარსვლის ეამს რომ გთხოვეთ, ჩემს დაბარებულს ნუ დაივიწყებთ. მე ესე მსურს, რადგანაც, რომ აქა, როსიის იმპერიისა ს. პეტერბურლის აკადემია ნაუქისაგან პოჩეტნი ჩლენათა ვარ მიღებული, პარიჟის აკადემია ნაუკამაც მიმიღოს ამ სახითვე პოჩეტნი ჩლენად. და რადგანაც რომ ნორდისა, ესე იგი (დანის სამეფოსა), კოპენლაღენისა სამეფოსა შეკრებულეებასა შინაცა ანტიკვართასა პირველთა ჩლენთა შორის ვარ აღრიცხულ და რუსეთის აკადემია ნაუქისაც და კოპენლაღენის სამეფოს ანტიკვართ შეკრებულეებისაც დიპლომი მქონან, და მსურის, რომ პარიჟის აკადემიამაც ინებოს ჩემი პოჩეტნი ჩლენობა, რადგანაც ჩვენს ოჯახსა და შთამამავლობას იცნოზს ევროპა, როგორ ძველი არის, პირველად ამ პატივისცემისათჳს; და მეორედ, რადგანაც პირველი მიზეზი მე ვარ ამ საქმისა, რომ ქართულის ლიტერატურის დაწყება, უფალო უფალო ბროსეტ, თქვენის თანაშეწვევითა ჩემგან დაიწყო პირველად პარიჟის მეაზიელეს შეკრებულეებაში და თქვენ თჳთ უწყით, რაოდენი შრომა მქონდა თქვენთან სხვასადასხვას საგანზედ მოწერიითა, და ბოლოს თქვენიდამ ქართული ლიტერატურა აქ როსსიაშიც დაიწყო, თუ პირველად მე არა ვყოფილვიყავ მიზეზი, ეს არც ერთი არ მოხდებოდა. ასეთის საქმის დაწყება ჭრანციის სამეფოსათჳსაც და პარიჟის მეაზიელე შეკრებილებისაც დიდი სახელი არის საუკუნოდ. რუსეთის აკადემია ნაუკამ, ავისთჳს პატივის საცემლად პოჩეტნი ჩლენად მიმიღო და იმედი მაქვს, არც პარიჟის აკადემია ნაუკა მეტყვის უარსა.

ჩემ მაგივრად და ჩემის მეუღლის ცარენას მაგივრად მაგათი მალალაღმტებულეება ბარონ ბარონტ და იმათი მეუღლე ბარონესა, თჳსის მშვენიერის ქალებით, მოგვიკითხეთ. ჩვენ ყოველთვის გვახსომს მაგათი კეთილი გული. სთხოვე ჩემ მაგიერ ბარონ ბარონს. საუკუნოდ დამავალოს, შემეწიოს ამაზე, რომ პარიჟის აკადემია ნაუკამ პოჩეტნი ჩლენად გამაკეთონ და მგონია უარი არ თქონ. და თქვენთან ბევრი თხოვა აღარ მინდა, ვიცი, რომ ამ საქმეზედ გაირჯებით გულსმოდგინედ. ჩემი ტიტული და სახელი, როგორადაც ჩემს დიპლომებში სწერია, ამა ჩემის დიპლომებიდამ ჭრანციკულად გარდმოვაწერინე რუსეთის აკადემიისა. დიპლომი ლათინურად არის დაწერილი და კოპენლაღენისა — გერმანიულად



თეიმურაზ ბაგრატიონის დიპლომი
კომენშაგენის ანტიკვართა საზოგადოებისაგან

დანის ენითა და ჩემი ტიტული, ეს ორი ეკზენლარი მოგართვით ერთს ქალაღზე აღწერილი, რომ ერთი ამ ტიტულისა, პარიეის აკადემია ნაუკაში მისცეთ, რომ როდისაც ჩვენად ინებონ ჩემი მიღება, დიპლომში ტიტული ამ სახით დაიწეროს. და მეორე--მე-აზიელეს შეკრებილებაში რომ მაგათაც სწორეთ იცოდნენ ჩემი ტიტული. რადგანაც რომ ჟურნალები მეაზიელე შეკრებულებისა მომდის მათგან, იმ ჟურნალების გარეშემო ქალაღდი აკრავს ხოლმე და იმაზედ ტიტული არ აწერია ხოლმე ჩემი; მარტო ესრეთ არის მოწერილი დაბეჭდულის წერილით მუსიე თეიმურაზსაო და ეს შეცთომა არის ამისთვის, ჩვენ საქართველოს ხალხში მრავალი მუსიე თეიმურაზები არიან ქართველებში თუ სომხებში და ამისთვის ტიტულით უნდა გაერჩიოს ჩემი სახელი. ამისთვის მათთვის საჭირო არის და მიეცეთ ეს ჩემ მიერ გამოგზავნილი ტიტული ორსავე ზემოთ მოხსენებულს ადგილსა, რადგანაც მე თვით მეფის გიორგის შვილი ვარ, რომელიც თავისუფალი მეფე იყო საქართველოსა და არათუ შორიელი ნათესავი ვარ მისი. და ამა მიზეზითა შეურაცხება იქმნება ჩემი, თუ ჩემის ტიტულით არ იქმნება ჩემდამი მისაღებელი რააცა და ვისგანაცა მომივა წერილი.

როსიისა დიდთა ადგილთაგან ჩემდამო მოწერილნი წერილნი, ყოველნივე ზემომოხსენებულისა, ჩემის ტიტულით არიან ყოვლისავე ადგილიდამ მოწერილნი აქა გინა ევროპიიდან ანუ თუ აზიიდან ჩემდამო. და ამასაც გთხოვთ, რომ რადგანაც აზიის მეაზიელე შეკრებილებისაგან ყოველწლივ მომდის ჟურნალი, ზოგჯერ სრულად არ მომივა ხოლმე და ამისთვის ამ წიგნზედ დაგიწერეთ როშელს წელს და რომლის თვსაც ჟურნალები მაკლია და არ მომსვლია. მეაზიელე შეკრებილებამ გამომიგზავნოს და შემისრულოს. და მგონია, რაოდენიმე ჟურნალებისათვის წლითიწლად მისაცემს ფულში აკლდეს. თქვენ გამოაწერინეთ რაოდენი აკლია მისაცემი და თან წამომიღეთ, რომ თქვენ, რომ მოხვალთ აქა, თქვენის უწყებით გავუგზავნი მათ ნაკლებს ფულსა.

რაოდენი ჟურნალიც მაკლია, ამას ქვევით დაიწერება: 1837-სა მარტის ჟურნალი აკლია, ოკდომბრისა, ნოემბრისა და დეკემბრისა აკლია.

1838-ისა იანვრისა აკლია, მარტისა, აპრილისა, მაისისა, იუნისა, იულისა, აგვისტოსი, ესენი სულ აკლია.

1839-ისა იუნის თვსა არ არის, აკლია.

ამ წლისა 1845-ისა იანვრისა, ჭებერვლისა და მარტისა მომივიდა. და სხვა შემდგომებო არ მომსვლია და ესენი თქვენ წამომიღეთ

სრულად, რომელიც ამ სიაში სწერია. და ამ ჩემის წიგნით ზემო-
რე თხოვილისათვის მოიმედე ვარ თქვენი, რომ გულსმოდგინებით
გაირჯებით რომელსაც რომ მე დიდად ვალად მივიღებ აქვენ მი-
ერ ამ შრომასა.

უსაკუთრესის პატივისცემით და მეგობრულის სიყვარულით
და ქეშმარიტის გულით, ვგიე მარადის თქვენდამი ყოვლისა ზემო-
ისა საქართველომასა მეფის გიორგის ძე თეიმურაზ.

წელსა ქრისტესით 1845-სა, აგვისტოს 10-სა,
ქართულსა ქკს მეთაუტმეტისა მოქცევისასა ა.
პეტერლოფით.

მინაწერები:

უფალი უფალი ბურნოძე, ღეთისაგან ვსასოებ, რომ მშუდო-
ბით სუფედეს და ჩემ მაგიერად ფრიადის სიყვარულით და პატი-
ვისცემით მოკითხვა გამოუცხადეთ.

ჩემი მეუღლე, მეფის სძალი, დიდის პატივისცემით და სიყვა-
რულით მოგკითხავსთ.

ცალქე ფურცელზე:

ეს ტიტული პარიეტის აკადემია ნაუკაში მიეცით:

A Son Altesse

Monseigneur le Czarevitch Teimouraz
Prince de Géorgie fils du Roi George XIII.

39

უსაკუთრესო მეგობარო ჩემო, უფალო უფალო ბროხეტ!

მოგილოცავ მშვიდობით უკუნ ქცევას და სიმრთელით მოსე-
ლას. დიდად მოხარული ვარ. სიმონიკამ⁶⁰ მომიტანა თქვენ მიერ
წარმოგზავნილი უფალის მოპლის⁶⁰ მიერ მოწერილი წიგნი და
თქვენ მიერ ქართულად ნათარგმნი. ფრიად გმადლობ, რომ შრო-
მა მიიღეთ და ეგრეთვე ჟღრნალები მეაზიელე შეკრებილებისა
სრულად მივიღე. სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ, რას წამს ჩამოვალთ
პეტერსურგს, ფულიც მზათ მექმნება. რვას წლისა, რომელიცა იქს,
როგორც თქვენს ნათარგმნში ეწერა, ორას ორმოცს ფრანკსა
თქვენებურსა იქს. ეს შეადგენს ორას ორმოცს რუბლს ასიგნაციის
ფულსა. მგონი ეს უფრო ადვილი არის, რომ ბანკორს მივსცეთ
და ვექსილი გავუგზავნო. მე სამოცდაათს აქაურს მონეთს მივცემ
ბანკორს, ხუთი რუბლი ასიგნაცია მეტი მოვა. ვექსილს გამოვარ-

თმევ, წიგნსაც მივსწერ უფალს მოჰლს და კიდევ გავიცნობ. უთუ-
ოდ, ჩემს პეტრებურგს ჩამოსვლის დღეებში, დაუყოვნებელად გა-
ვუგზავნი.

ცარევენამ, ჩემმა მეუღლემ, მოგილოცათ მშვიდობით მოსვლა
და პატივისცემით მოგიკითხათ. ჩემს ნათლისდენას მოვეულოცავ
თქვენს მშვიდობით მოსვლას, ეგრეთვე ცარეენა მოულოცავს და
მრავლის პატივისცემით და სიყვარულით მოიკითხავს თქვენს მე-
უღლეს. ჩემს ნათლულს პირს ვაკოცებ და თქვენს შვილებს ყოველ-
თავე ალერსით მოვიკითხავთ.

უსაკუთრესის პატივისცემით, ჩემო უსაკუთრესო მეგობარო,
მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1845-სა
სკდებრის 23-სა
პეტერლოფით.

40

უსაკუთრესო მეგობარო, უფალო უფალო ბროსეტ!

გთხოვთ ადრესი უფლისა მოჰლისა, მეაზიელე შეკ-
რებილების აღუნკტ-სეკრატარისა, დამიწერეთ და მე-
აზიელე შეკრებილება პარიჟში რომელს ქუჩაში და რომელს ალაგს
არის, რომ თამასუქი (ესე იგი ვექსილი) დღეს უნდა გავგზავნო.
მომზადებული მაქვს, რომ მეაზიელე შეკრებილებაში პირდაპირ მი-
ვიდეს ჩემი წიგნი.

დიდის სიყვარულით და პატივისცემით
მეფის ძე თეიმურაზ.

წელსა 1845-სა
ნოებრის 14-ს.
მისამართი:

მათს მალალკეთილშობილებას, უფალს უფალს ბროსეტს.

41

უფალო მეგობარო ჩემო ბროსეტ!

უკაცრაოთ კინუ ვიქმნები, რომ ეხლა ვერ მოგართვი წიგნი⁵².
საჩქაროთ სხვაგან მივდივარ, მცირე საქმე მაქვს და გთხოვ, ხვალ

სადილათ ჩემთან გარდმოხვიდეთ შუადღიდან ორს საათზედ ან ცოტა უფრო ადრე. წიგნსაც ამოვიღებ და მაშინ მოგართმევ და ხვალ ჩემთან გაატარეთ დრო.

მდაბლად მეფის ძე თეიმურაზ.

მინაწყოი:

საჩქაროთ დაეწერე, უკაცრაოთ არ ვიყო, რომ ცალკე ქალღმერთზე ველარ მოვასწარ.

მისამართი:

მათს კეთილშობილებას უფალს ბროსეტს.

42

მოწყალეო ჯელმწიფევ, უფალო ბროსეტ!

ერთი ექვემპლარი ღრამატიკა ფრანციცული და ქართული მიზოდეთ ამ ჩემის მსახურის სერგიას ჯელით. ერთი თუმანი (ესე იგი წითელი ქალღმერთი) მოგართვი.

მდაბლად მეფის ძე თეიმურაზ.

43

მეგობარო ჩემო, უფალო ბროსეტ!

ორი ექვემპლარი ღრამატიკა თვითმასწავლებელი, რომელიც ფრანციცული და ქართული არს სტამბით აღბეჭდილი თქვენ მიერ, მიზოდეთ და ფასს ორს თუმანს, ესე იგი 20-სს რუბლს, პირველს თვეზედ მოგართმევ. საქართველოდამ უთხოვნიათ ჩემთვის, იქ ვუგზავნი.

შენი მეგობარი მეფის ძე თეიმურაზ.

მისამართი:

მათს კეთილშობილებას უფალს ექს. ორ. პრეფესორს ბროსეტს.

44

უფალო უფალო, საკუთარო ბატონო ბროსეტ!

წერილისა ანუ ამა ზაპისკისა მომტანი, განთავისუფლებული სამსახურისაგან ღვარდიში ლეიბ ჭილღანდიის პოლკისაგან ნი-

დავით ზე უფრო ძლიერ.

აქა ჩვენი. ცხადია თუ ვაძლავთ.
ღმერთ. გზისკენი რაღონი.
მე უფრო უმეტესი. თქვენა.
მეტი. ეს უნდა. აქა თან.
ჩვენი. 20^ე ხელ. სხვა აქა.
გადავ. უკეთესი უნდა.
აქა უფრო უმეტესი.
მეტი. უმეტესი.

კოლაი ალექსეიევი სუხარუჩკნი, მერწმუნეთ კაი კა-
ცია. უნდერ-აფიცარი ყოფილა იმ ჯარში და ამ სახელით გადამ-
დგარა. ნიშნებიცა აქვს ნამსახუროებისა და მოწმობა და ყოფა-
ქცევაც კარგი აქვს და სამსახურში თანამდებობა დიახ კარგათ
შეუძლიან რომ აღასრულოს.

უმდაბლესად მეფის ძე თეიმურაზ.

დამატება

მოგზაურობა

ტფილისიდან პეტერბურღამდის⁶⁷

წელსა 1810 ოკტობრის 16. კვირას გამოველ[ით] ტფილისით.
მოვედით ამ დღეს არაგვის პირზედ, საზაბუროს ზევიდამ — ჯიქუ-
რაულთკარს.

17. ანანურს მოვედით.

18. ფასანაურში:

19. კაიშაურთკარსა, სადაცა ვნახეთ შთიულეთის მოურავი
სოლომონ. აქ, ამ ღამეს, ავად შევიქვენ და მეორე დღეს აქ დაე-
რჩით.

21. გადმოვლენით მთანი და გამოვლეთ დადე მაღალი გუ-
დისა. და გარდამოვედით კოვკასსა და ვიხილეთ მუნ ჯვარი აღ-
მართული წვერსა ზედა მთისასა.

და გარდამოვედით და ყოველნი იგი ადგილნი საზვაონი.

და ვიხილეთ ადგილნი, სადა უკვე იბადებიან წყალნი მცი-
რისა თერგისანი და მახლობელთა ადგილთა აღმომდინარენი
წყარონი მჟავენი და მარგებელნი და შევსვი მისგან.

და მოვედით დღესა ამას კოპსა და დავსდევით სახლთა შინა
რუსებისა მიერ აღშენებულთა.

22. მოვედით სტეფანწმიდასა, სადაცა დაგვხვდა გაბრიელ
ყაზიბეგიშვილი და ამისი წმისწულნი იოსებ და სვიმონ.

ამავე დღეს გზასა ზედა ვიხილეთ მონასტერი მცირე, რომე-
ლიცა ზემორე სტეფანწმიდისა კლდესა შინა ქმნა ძმამამ ბესარიონ
მღვდელმონაზონმა ფავლენიშვილმა და ბესარიონიცა ვიხილეთ მუნ.

¹ მოვედით სტეფანწმიდას, სადაცა არს*სადგომნი და სახლნი
მუნებურთანი მცხოვრებთა.

* დნ.: ყარს.

23. გამოვლენ ვიწრო გზანი ბახტირად წოდებულნი და კარი დარიელასი და მოვედით ლარსსა, სადაც დაგვხვდა პოდპოლკოვნიკი ლაპტევი, სადაცა ყავს ორი როტა სუზისკი მუშაკატერიისა პოლკისა.

24. მოვედით ვლადიკავკასს, სადაცა დაგვხვდა იარანალი დეპოლცი ივან პეტროვიჩი. აქ ჩამოგვახდინეს ახალს გაკეთებულს სახლებში, რომელიც გაეკეთებინათ.

ტფილისიდან წამოგვეყვა მაიორი მიხაილ ოსეფიჩი დუბიციკოვი, რომელიც ვლადიკავკასს გაგვეყარა. ამას რეკამანდიცია მოუწერეთ მადრიელობისა ალექსანდრე პეტროვიჩთან, ეგრეთვე ყაზახებს და პეტანოვს.

26. ვლადიკავკასით წამოვედით და მოვედით ხუმბალის, სადა არს სადგური ჯარისა მცირე. გამოგვეყვა გზაზედ ერთი როტა ორი ზარბაზნით და პოდპოლკოვნიკი ფირსოვი.

ამ დღეს მოვედით ვლადიკავკასიდან ხუმბალის. მეორე დღეს აქედამ — კოსტანტინერედუთს — 27.

28. მოსდოგის კარახტინში მოვედით. აქ დავეშით ოთხი დამე.

ნომბრის 1. მოვედით მოსდოგს და ჩამოვხედით სომხის სასახლესა შინა, ჯარანა წესსა მუნებურსა ზედა ფრიად შემკობილსა სასახლეთა. ამას სახლსა შინა მცხოვრებნი* არიან: ირიც ფუხაანნი და სახლის უფალი არუთინა.

ნომბრის 2. ვიყავით მოსდოგის სობოროში, სადაცა იყო მწირველი იოვანე ჭილაოვი, დეკანოზი.

არის სობორო ესე ძველი, ფიცრისაგან ნაშენი, კეთილის კანკლით და კრებულთ შემკობილი.

არს აქა ეკლესიანი ფრანგთა და სომეხთა. აქ ვნახეთ ორნი პატრნი იეზუიტნი იოვანე* აქილიოდი კაი და მეორე ეგიტტიუს ანდრი. დავეყავით აქა დღედ კვირიაკედ.

ნომბრის 6. წამოვედით და მოვედით ეკატერინეგოროდში, სადაცა არს ქალაქი მცირე და ციხე მიწისა გარგან ქალაქისა. მუნ არს წყალი მალკად წოდებული. მუნ მოვედით სახლსა მუნ მდგომის კეთილშობილის შვილის ალადაის ვლადიმერ ბორისაიჩის სახლში დავედეთ. კარგათ გვისტუმრა.

* დნ.: აშიაზე ავტორის ხელით მიწერილია: მოკრსნი არიან.

და მეორე დღეს გამოვლეთ ვერსი და ვერლარა მოვაწიეთ იეგორევეცკასა, არამედ ყაზახის სოფელში დავდევით მარინცკი.

ნოემბრის 8. მოვედით იეგორიევეცკას, სადაცა ვიხილე მუნ ჩემს პირველს მოსვლაში გუბერნატორი მარკ ლეონიჩი მალინცკი.

ნოემბრის 9. სრულდაკოვი სერგია ალექსიჩის ქალები მოვიდნენ ჩვენ სანახავად. ამის ქალებს ქვიანთ: ერთს მარია სერგეევნა, მეორეს — ვარვარა სერგეევნა.

10. სალამოს ჩვენ ვიყავით იქ სანახავათ სერგია ალექსიჩთან*.

შემდგომად გვიწვია სერგია ალექსიჩმა, რომელიცა მოვიდა თითონ ნოემბრის 13. და წარვედით მისთანა, და სალამომდე ფრიად კეთილად გვიმასპინძლა.

14. წამოვედით და მოვედით ამას დღესა გამოველეთა ვერსისა 52,** საბლს, სადაცა ვსდევით მცირესა ყოველთა სადგურსა, კეთილშობილის ალექსანდრიის ქალაქის მცხოვრებისასა, რომელსაცა შემდგომად ვახსენებთ.

15. აქედამ გამოვედით*** ალექსანდრიას. წამოგვყვა საბლით მასპინძელი ჩვენი და გვიწვია ამანვე აქა, პეტრე აფანასიჩმა სტარაჩევეცკიმ, მეოთხე კლასის რეისტრატმან კოლეცკისმან****. ამას ყავს ცოლი მარია ვასილევნა.

საბლიდამ ალექსანდრია არის ვერსი 25; და აქედამ სივირნა — ვერსი 15.

ამას ღამეს მოვედით სივირნას, სადაც ვიხილე ბერიკაცი იაკობ, რომელიცა ამბობდა ესე წლობასსა თვისსა ას ერთისასა და ფრიად ჭარბაკ იყო ესე და თვით არა რუსი, არამედ სპარსი, ხორასნისა არაბ-აჯამი; და მუნ ცხოვრებდა სახლს მისასა.

განვისვენეთ ღამე იგი და დღესა მეორესა, ორის ფოჩტის გამოცვლით, მოვედით სტავრაპოლს ღამე.

ალექსანდრე კნიაზ ბაგრატოვანმა გვიწვია ღამესა მას და ვახშამი იქა ვსქამეთ და ვახშამს უკან მოვედით ჩვენს სახლში, სადაც განემზადა სახლნი მუნებურს წესზედ კეთილნი ჩვენთვის.

* ამის შემდეგ დედანში წერია: „13. ემბერა. ბიდაუროვის ქალი იხსიელი, აპათბანი შვილის მუროთუხალის ცოლი აიხანუმა“.

** დნ. უმატებს: და მოვედი.

*** დნ. უმატებს: „სივირნას და უკუთით ღამე მუნ, გადაზახულია ავტორის მიერ.“

**** დნ. უმატებს: „რომელიცა არს სპარსულს ენითა დაბანგუბიქუი“. ეს სიტყვები გადაზახულია ავტორის მიერ.

ხოლო არს ადგილით სივერნით სტაერაპოლი ვერსს 76.

მეორესა დღესა გვიწვია ალექსანდრე ბაგრატიონი და მუნ მოსკოვით მოსრულნი ბულაკოვის ქალები და სიძე ვნახეთ.

დღესა მეორესა მოვიდა პუშკინი გრაფი ჩვენს სანახავათ. და შაფათს გვიწვია გრაფიან მუსინ-პუშკინიან იარანალ-ლეიტენანტმან.

და ჩვენი ყოველნივე გავისტუმრეთ და დავემთით ჩვენ, მე და იოვანე ექიმი, და ვისადილეთ.

და იქითგან გამოგვეყვა პუშკინი გზასა ზედა, ჩავსხედით ჩანასა შინა და მოვედით მოსკოვსკას, სადაცა ვნახეთ იარანალ-მაიორი ბორკოვი და გვიმასპინძლა მან ფრიად კეთილად. და ღამესა მასვე შეგვიბა კარეტა და წარმოვედით მუნიტგან დონცკის, სადაცა მისრულიყვნენ ჩვენი იგა მუნ.

დონცკიდან რომ წამოვა ჩერქეს ქირმანის მხარეს, ამა მინდორსა შინა არიან კერპნი მდგომარენი სახედ კაცთა მაჩოქარენი მუხლთა ზედა თვისთა და ჩაფხუტნი თავთზედა მათთა და ხელთა მათთა, ვითარცა სასმისი რამე ტვირთული ორითავე ხელითა და თაყუანისცემენ ამას ყალმუხნი*.

ხოლო სტაერაპოლით არს მოსკოვსკა ვერსი — 31 1/2 და აქედგან დონცკი — 18, აქედგან ბელპასანი — 29, აქედგან პრეგრადა — 25, ვესტოსლავსკი — 23, მედევენკა — 22, სადაცა ვსდევით.

ლეტნიცი — 17; პეშანაკო — 30; ზაუტრი — 37, აქ ვსდევით; დივანაჩევი — 27, ეს არს კარანტინი, სადაცა მოვედით წელსა 1810, ნოემბრის 22, დღე. და აწ აქა ვართ განსაწმენდელსა შორის ხორციელსა უბრალონი.

და დავყავით აქა ნოემბრის 26 დღედმდე და წამოვედით დღესა მას კარანტინით.

და განვლეთ სტანიცანი ფოშტათანი: ნიჟნი-ივგრილცკი ვერსი — 26, მეჩეტა — 25, კაპალნიკი — 28, ბათაისკი — 25 1/2, აქსაი — 25 1/2.

არის ვერსი კარანტინით აქსაია[დმდე]** 240.

და მოვედით 29 ნოემბრისა სტანიცასა დონის ყაზახთასა იაკსეიდ სახელდებულსა, სადაცა დავყავით ღამე მუნ. შთამოუხედით.

* დნ. ეს აბზაცი მიწერილია აშიახე.

** დნ. აქსაია[დმდე] 240 ~.

სახლსა შინა ფრიად პატიოსანისა ყაზახისა ვისიმე მუნებურისასა.

აქენდა ამას ფრიად პატიოსანნი სახლნი კეთილნაშენნი და გაწყობილი ყოვლითავე.

არის გამოღმით სოფელი ესე ორთა წყალთა, სადაცა იწყებოდა* აქ დიდნი წყალნი: დონცი, რომელი ჩამოუდის ცველსა ჩერქეს ქირმანსა აღმოსავლეთით და დასავლეთით წყალი აქსაი

და ორთა ამათ წყალთა შორის არს ცველი ჩერქეზ ქირმანი, რომელიცა შორავს სოფელსა ამას ვერსითა 15. და აქა შეართვიან ესე ხსენებულნი წყალნი, რომელსა შინაცა არს თევზისა სიმრავლე ურიცხვი. მოვედით ჩვენ წყალთა ამათ ზედა ჟამსა საათისა მერვესა. და იყო წყალი ერთობლ გაბმული ყინულითა, რომელსაცა გამოვლეთ.

არიან ამა ქალაქსა შინა მცხოვრებნი ყაზახნი ყოველნივე და არს ერთ კერძ გორასა ზედა შესახლებული ქალაქი ესე, რომელიცა დაყურებს წყალსა, და ზედან გორასა ზედა — საყდარი ფრიად კეთილნაშენი და მშვენიერი და შემკობილი სახელსა ზედა წმინდისა, სამებისასა და აქავე საყდარი მცირე**, წმინდისა ნიკოლაოზისა*** და მიხეილ მთავარანგელოზისა.

შენებულებანი აქაურნი უფროსი ერთი ქვბრკირითა და ფიცრითა მცირედნი, დუქანნი და ბაზარნი საკმაონი. და ნაენი წვრილნი წყალსა და მო[აქეთ] აქა ხენი წყლითა, ტივნი. იახსაის წყალი ამისივე ტოტი არის, საკუთარი წყალი არ არის, დონის ტოტი არის ესე****.

29. მოვედით ახალ ჩერქეზში. ჩამოვხედით კირივეის სახლში. დიდად კარგად დაგვიხვდა კირივეი და გვისტუმრა.

წამოვედით ამა ლამეს მანზილზედ, და მეორე დღეს კვალად წავიდა კირივეი და გვისტუმრა ვედრებით, და წარმოვედით სა ლამოს იზისის სახლიდამ გამომგზავრებულნი*****.

დეკემბრის 2. ღამე მოვედით კახანკის სტანიცაში, სადაც დასრულდება მამულნი დონისა, და გამოვედით მუნ დონს დეკემბრის 3. და დაყავით მუნ ღამე ორი და წამოსრულნი მუნით 5—

* დნ.: იყვებიან.

** დნ.: მცირეს — თავზე ავტორს მიუწერია: საწირველონი.

*** ამ სიტყვის ქვემოთ ავტორს მიწერილი აქვს: „და მიხეილ მთავარანგელოზისა“.

**** დნ. უმატებს: „და“.

***** შემდეგ დედანში დატოვებულია ცარიელი ადგილი.

დეკემბრისას მოვედით ვარონიშის ერთს მცირე ქალაქში, პავლეც-კად სახელდებულს, ლამე.

მუნითგან წარმოვედით და აგვიდგა გზასა ზედა ბუქი და კვლავვე უკუნვიქეცით ლამესა მას. და დღესა მეორესა, წმიდა ნიკოლოზობას, მუნ წირვა მოვისმინეთ. და დაგვპატიეა მუნებურმან გოროდნიჩმან, სადაცა ვიხილე მუნ ილიქტროული ჩარხი.

ღიახ კარგად დაგვიხვდა. გოროდნიჩს ჰქეიან სახელად პეტრე ბარისაიჩი ლლატკოვი. და სადილობის შემდგომად შთავსხედით და წამოვედით. გამოგვეყვა გოროდნიჩი თანა, გამოგვაცილა. და წარმოვედით და მოვედით ვარონიშს ქალაქსა, 7—დეკემბრისას, ოთხშაბათს ლამეს. და დღესა მეორესა—სასახლესა ფრიად მშვენიერსა მუნებურისა დიდ ვაჭრისასა, რომელმანცა განგვისვენა ფრიად კეთილად*.

და მოვიდნენ მუნებურნი და დაგვპატიეეს ლამესა მას ხუთშაბათისასა, რომელიცა პარასკევად განთენდებოდა, სობრანიაში, სადაც შეკრებებიან ყოველნი კეთილშობილნი ქალნი და კაცნი და სხვისა და სხვის შექცევით შეექცევიან. გაეციან მუნებურთაგან კეთილშობილთაგანნი ვინმენი, ერთი სონცოვი, მუნებურის გუბერნატორის შვილი*.

და არა მთნდა მე მათთანა, ვინაითგან ვერა ვეიხილე ესე გვარი სდილობანი ხალხთა მათ შორის. გარნა აქ გაეციანი ტიტულარნის სოვეტნიკი პეტრე ივანიჩი გარდინინი. და ეს დიდად კარგი კაცი არის.

ამასვე დღეს მივეც წიგნნი და ამანათნი დედოფალთან საფანოვს ლოფ ნიკოლაიჩს, არტილერიის პარუჩიქს კურცკელს.

ამასვე დღესა პეტრე ივანიჩი მოვიდა აქ და მოიტანა სხვადასხვა საგნი ძველნი ფულნი აზიისა და საბერინეთისა და სხვისა და სხვისა მხარეთა. ამას ვაჩუქე ერთი სლავენთ ფული ძველი.

ამასვე დღესა წაველ ერთი დიდ ვაჭრისას. აქ] რიფსიმე, ჩემი და იდგა და ვნახე. და მოველ საღამოს შინა. აბანოში ვიყავ.

და მეორესა დღესა მოვიდა მუნებური არქიერი ჩვენს სანახავად ანტონი, რომელიც ახალს ეამში მუნ არქიერქმნილ-იყო და ვიხილეთ. მერე ჩემი და ჩემთან მოვიდა. მერე წავედით არქიერთან და კვირას 11 წამოვედით მუნით.

ხოლო ქალაქი ვარონიში არის ახლორე წყლისა ვორონისა. ქალაქ ვრცელი და კეთილნაშენნი, განშვენიებული შენებულებითა. ხალხნი მუნებურნი ფრიად სტუმრის მოყვარენი არიან. ვაჭარნი,

* დნ.: უმატებს „და“: შემდეგ დატოვებულია ცარიელი ადგილი.

გარნა კეთილშობილნი ფრიად უსდელნი. ენახეთ მუნ სობრანია ფრიად მკირითა შეკრებულებითა და არა ესევარ წესოვანი.

იტყვიან მუნებურნი, რომელ ზაფხულს ეგეოდენი არიან ტალახნი. ქუჩათა შორის, რომელ დადიან ლოტკითა ტლაპოთა მათ შორის. ვსდექით მუნ ვაჭრისა ვისიმე სედელნიკოვის სახლსა, სადაცა ფრიად განგვისვენეს კეთილთა მათ კაცთა, და წამოვედით მუნით 11 -- დეკემბერს მგზავრობითა ამით*.

მოვედით 16 — დეკემბრისას ტულას ქალაქსა, სადაცა სასაქურველო არს როსიის იმპერიის და შთამოვხედით სახლსა შინა ყოველთა სადგურისა. მუნებური წესი არ არის, რომ სტუმარი ისტუმროს ვინმე და ან იქაურთ პატიოსანთ გვამთ ნახონ ვინმე, ჩინებულნი მუნ მისრულნი ვინმე, გარნა ჩვენ.

17. დეკემბრისას** წარვედით სანახავად დეკემბრის 18 და ვიხილეთ პრობა, სადაცა ესროდნენ თოფთა 530 და ორგზით იყო გამოცდა ამათი 6 მისხლის წამლით, მერე წამალის გამოცდა, და მერე წამოვედით. გამოგვიძღვა იარანალი ინჯინერიისა ვორ[ო]ნოვი ფეოდორ ნიკიტინი, რომელსაცა აბარია სრულიად ზაოდები ტულისა. აქავე არის ახალი მეხანნიკი ვინმე ლოფ დიმიტრიჩი კულეჩმინი, მალაროსიელი, და ვიხილეთ ყოველნივე ესე სახახენი და წარმოვედით მუნით სადგომსავე ჩვენსა.

ტულის ქალაქი დიახ მშენიერი ქალაქი არის, მდინარესა ამისსა ეწოდების **ОАЛС** [უბა].

აქავე ვიხილეთ არსინალი. ესე არს საქურველთსახლი და ბქესა ამისსა შესავალსა შორის მდებარე თოფი, რომელიცა პირველად ბინისა მისისა დადებისა შინა ეკატირინა იმპერატრიცამ დიდმან გააკეთებინა და ძეს სახსოვრად მისსა. აქავე არს ჩაქუჩი, რომელიცა დაჰკრა ხელითა თვისითა პირველ და დასდუა მან ბინა ამისი.

არსინალსა ამას შორის იპოებიან მრავალნი საქურველნი ახლისა განწყობილობისანი.

და ოდეს ვიხილეთ ჩვენ მუნ ზაოდნი მუნებურნი, რომელნიცა პირველად ვახსენეთ, არიან ესენი მუნ წყლის ჩარხებით მომართულნი, რომელნიცა სცემენ კვერთა, უბერვენ საბერველთა, სხვრეტენ თოფთა და სწმენდენ თოფთა და შუბთა სხვათა და სხვათა სახლთა შინა მყოფი.

* დნ. უმატებს: „და“, შემდეგ დატოვებულია ცარიელი ადგილი.

** ამის შემდეგ დედანში წაშლილია სამი სიტყვა:

და ამა ქარხანათაგან გამოღის თვეში თოფი — 5000, ხოლო მუშაკნი ამისნი არიან — 6000 კაცი.

აქვე არს, სადაცა ჩახმახთა თოფთასა აკეთებენ და სხვა ადგილი; აქვე არს, სადაცა ფისიკურთა და მათემატიკურთა ხელოვნებათა აკეთებენ და ამათთა ინსტრუმენტთა*.

დავყავით ტულასა შინა დეკებრის 18, და თვრამეტს, კვირას დღეს, წამოვედით ტულით.

და მოვედით ოთხშაბათს, 21 დეკემბრისას, სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. დღესა მეორესა დავყავით მუნ. მოვიდა აქა სცალი ჩემი ეკატერინა და დღესა მეორესა პარასკევისასა წარვედ სანახავად ბატონის მვილის იულონისას.

ბატონის სცალი იქ დაუტევე და მე ბაგრატის ცოლთან წამოველ და სადილი იქა ვჭამე და კნეინა მახია ვნახე. მერე, შემდგომად წაველ იქავ იულონის სადგომს.

შაბათს გუდოვიჩი ვნახე, დიახ პატიოსანი კაცი, და კარგად დანხვდა გუდოვიჩი.

მერე, შემდგომად, იულონის სადგომსავე მოველ და ღამეცა იგი დავყავ მუნ. საღამოს წამოველ და მოველ ჩემი მეუღლითურთ ჩემს სადგომს.

შაბათს წავედით ბატონის შვილს ფარნავაზთან სტუმრათ. იქიღამ ფარნავაზ, ჩემი სცალი ეკატერინა, თამარი, ჩემი ბიძაშვილი და ჩემი და რიფსიმე თან წავიყვანე და წავედით თიატრში, და ვიხილეთ პირველ თიატრა იგი.

თიატრიღამ წამოვედით და მოვედით ჩვენ სახლში. ფარნავაზთან მოგვეყვა და მერე, შენდგომად ჩაისა, წაბრძანდენ თვისსავე სამყოფთა ფარნავაზცა და თამარი ერთად**.

ვიხილე სახლი შერამენტისა დეკ[ე]ბრის 29. აქედან იონასთან ვიყავით დაპატიებულნი, აქ მოვედით.

წამოვედით მოსკოვით** წელსა 1810 შეარულებაზედ დეკ[ე]ბრის 31.

წელსა 1811. მოვედით მოსკოვით ტვერში.
იანვრის 2 მოვედით ტვერში.

* ამის შემდეგ დნ. ცარიელი ადგილია დატოვებული.

** ეს აბზაცი ძირითად ტექსტიდან გამოყოფილია და დაწერილია ცალკე ფურცელზე.

3. ვიხილეთ იმათი უმაღლესობა ეკატერინა პავლოვნა, ასული პავლე იმპერატორისა და იმპერატორისა ალექსანდრე პირველისა, თავის სასახლეში, რომელმანცა მიგვიღო კეთილად ფრიად და გვიმასპინძლაცა და დაგვიგო სერი, და წარმოვედით სახიდ.

9. იანვარს მოვედით ცარსკისელოს სასახლეში. დავდეგით ხელმწიფის სასახლეში.

10. ვიხილეთ სასახლე საკვირველის ხელოვნებაებით ნაქმარნი ეკატერინა ხელმწიფისანი. აქავე ხელოვნებანი. მაზაირის ხელოვნება არის, კირმანიულნი სხვადასხვა გვარნი, დიახ საუცხოვონი. ქარვის სახლი, ლაევარდისა, ბროლისა, ვეცხლისა ტყავმოკრული ხელოვნებანი კიტაიურნი საკვირველად. და მრავალნი უცხო სახილველნი სტატუანი ძველთა. რომაელთა კეისართა, ხელმწიფეთა და ფილოსოფოსთანი და ქვანი ეშმათანი სხვისა და სხვის ხელოვნებით ნაკვეთნი და ჩაწყობილნი, სახენი გამოყვანილნი.

და მუნით წამოვედით. და მოვიდნენ სასურველნი ძმანი ჩემნი იოანე და ჯიბრაილ და მოჰყენენ თანა ზაზა და გოდერძა და შევიქტეით მხიარულებითა დიდითა ამათანა.

წარმოვედით ცარსკისელოთ და მოვედით პეტრებურგს წელსა 1811 იანვრის 12, ცამეტისა განსთენდებოდა*.

[1811 წ.]

* დნ. დატოვებულია ცარიელი ადგილი, რის შემდეგ წერია:

წელსა 1810, სექტემბრის 14. წამოვედით ერევნის მამულით არეხისა და ყარასუს შესაყართ და მოვედით პეტრებურგსა, წარედგით იმათის იმპერატორებითის დიდებულებას წინაშე პატივისცემით წელსა 1811, იანვრის 22 კვირიაკეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. შ ა რ მ უ ა — ფრანც ფრანცის ძე შარმუა—ცნობილი ორიენ-ტალისტი, ავტორი მრავალი სამეცნიერო შრომისა, დაიბადა 1793 წ. ელზასში. უმაღლესი განათლება მიიღო პარიზში, იურიდიულ ფაკულტეტზე. ამავე დროს სწავლობდა აღმოსავლურ ენებს ცნობილ ორიენტალისტ სილვესტრ დე-სასისთან. 1817 წ. 1 სექტემბრიდან პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტშია არაბული და სპარსული ენების პროფესორად, ამავე დროს იგი საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრიცაა. 1822 წ. აღნიშნული ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად. ამ ხნიდან შარმუა მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში, სადაც 1823 წლიდან აღმო-სავლეთის ენების სასწავლო განყოფილებაში იყო თურქული და სპარსული ენების პროფესორად. 1831 წ. შარმუა პეტერბურგის უნივერსიტეტშია სპარსული ენის პროფესორად. 1829 წ. არჩეულ იქნა სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ხოლო შემდეგ—აკადემიის საპატიო წევრად. 1835 წ. თავი დაანება სამსახურს და გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა 1865 წელს. როგორც ჩანს, თეიმურაზ ბაგრატიონი ახლო კავშირში ყოფილა შარმუასთან.

2. „მ ე ა ზ ი ე ლ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა“ — Socièté Asirique“, პარიზში დაარსდა 1821 წელს. მის მიზანს შეადგენდა აღმოსავლეთის შესწავლა, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა და მუზეუმი. 1822 წ. ამ საზოგადოებამ დააარსა საკუთარი ორგანო „Journal Asiatique“¹, სადაც იბეჭდებოდა სამეცნიერო ნაშრომები აღმოსავლეთმცოდნეობის საკითხებზე.

თეიმურაზ ბაგრატიონი ამ საზოგადოების წევრად მიუღიათ 1831 წ.

¹ შემდეგში ეს სახელწოდება აღნიშნული იქნება J. A.-თა.

3. ანტონ I კათოლიკოსი იყო შვილი მეფე იესესი და თეიმურაზ მეორის დის ელენესი. დაიბადა 1720 წ. 11 ნოემბერს (ზოგი დოკუმენტი 17 ოქტომბერს უჩვენებს, ზოგიც—12 ოქტომბერს). ანტონი იყო როგორც პრაქტიკული მოღვაწე, ისე თეორეტიკოსი და სწორუბოვარი მეცნიერი, მან მთელი რიგი ღირსშესანიშნავი თხზულებები შექმნა ეგზეგეტიკის, ღობატიკა-პოლემიკის, ლიტურგიკის, ჰომილეტიკის, ასკეტიკის, კანონიკის, პაგიოგრაფიის, ლინგვისტიკისა და ფილოსოფიის დარგებში. ლინგვისტიკის დარგში მნიშვნელოვანია მისი „ღრამატიკა“ რომელიც დაიბეჭდა 1885 წ. თეიმურაზ ბაგრატიონს გაუგზავნია ბროსესათვის ამ ნაშრომის ხელნაწერი, რის შესახებაც აკად. მ. ბროსემ სპეციალური სტატია დაბეჭდა 1833 წ. J. A-ის მაისის ნომერში (გვ. 395--414).

4. დავითი—დავით ბაგრატიონი, თეიმურაზის უფროსი ძმა. დაიბადა 1767 წ. 1 ივნისს. გარდაიცვალა პეტერბურგში 1819 წ. 13 მაისს. 1790 წ. შეადგინა ქართული გრამატიკა კითხვა-პასუხის სახით. ეს ნაშრომი საკმაო რაოდენობით მოიპოვება ხელნაწერების სახით საქართველოს სიძველეთსაცავებში.

5. საუბარია თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომზე „ცხოვრება და მოღვაწეობა უკანასკნელი მეფის ძის დავითისა“. ეს ნაშრომი მ. ბროსემ დაბეჭდა კომენტარებით 1833 წ. „Mémoires inédits“-ში. აქედან ერთი თავი „აღმამამდხანის მიერ თბილისის აღება“ ცალკე წიგნად გამოიცა რუსულ ენაზე 1895 წ. კ. ნ. ბეგიჩევის მიერ.

6. საუბარია თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომზე „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველომჟსა“. ოცი წლის განმავლობაში წერდა ავტორი ამ ნაშრომს. მას განზრახული ჰქონდა ეს ისტორია გიორგი XIII-ის მეფობით დაემთავრებინა. მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა და მოასწრო მხოლოდ მიზან მეფის დრომდე მიყვანა. როგორც 1835 წ. 23 ნოემბრის წერილიდან ჩანს. თეიმურაზს განზრახული ჰქონია ეს ისტორია ორი სახით დაეწერა—ერთი შემოკლებული და მეორე ვრცელი.

თეიმურაზის ეს შრომა მისი გარდაცვალების შემდეგ, მარი ბროსესა და თეიმურაზის პეუღლის შუამდგომლობით, გამოსცა სამეცნიერო აკადემიამ პროფ. დ. ჩუბინაშვილის რედაქტორობით 1848 წელს (თეიმურაზის „ისტორიის“ განხილვისათვის იხ. შ. მ. მესხიას გამოკვლევა „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი I, 1939 წ. გვ. 51—78).

7. აღნიშნული თხზულება არის აკად. მ. ბროსეს „ცხოვრება

საქართველოშია ქორონიკონითგან და ვიდრე ტუა ქართულად. წიგ-
ნი ესე ხელით წერილთა სამეფოს საუნჯისაგანი სტანბად და თარგ-
მანებად ჰბრძანა ფრანციუელი სამეფო საზოგადოობაჲ მუაზიელო.
პარიჲი. ჩუკთ. აღჰსწერა ბროსეტ, ქეთ სტანბა ფონრუჲე“.

8. შ ა ჰ ა ბ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი (1587 —1628)—ირანის მეფე. სე-
ფევიდთა დინასტიიდან. შვიდოესია ქართლ-კახეთს და სასტიკად
ააოხრა. ქეთევან დედოფალს (დავით მეფის მეუღლეს) მოსთხოვა
ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება. ქეთევიანი არ და-
თანხმდა, რისთვისაც იგი შაჰაბაზის განკარგულებით აწამეს 1624 წ.
12 სექტემბერს.

ქეთევანის წამება აღწერა პოემად მისმა შვილმა თეიმურაზ
პირველმა (1625 წელს) და დიმიტრი ბაგრატიონმა, უკანასკნელმა
1819 წ. კიდევაც დაბეჭდა ცალკე წიგნად.

როგორც ირკვევა, ქეთევანის წამება შემდეგში დაუწერია თე-
იმურაზ ბაგრატიონს და გაუგზავნია მ. ბროსესათვის. უკანასკნელს
ის დაუბეჭდავს ლითოგრაფიულად პარიზში 1834 წ. აქედან გადმო-
უბეჭდავთ უფრნალ „კისკარში“ 1862 წ. (აპრილი, გვ. 325—339; მა-
ისი, გვ. 9—11).

9. საუბარია J. A.-ს 1831 წ. ტ. 7, სადაც დაბეჭდილია ადგილე-
ბი ვეფხისტყაოსნიდან ქართულად და ფრანგულად. დასაწყისი ამ
პოემისა „კვლევა-ძიებანი ქართული პოეზიის შესახებ, ცნობა ტარი-
ელის რომანის (ე. ი. ვეფხისტყაოსნის) ორი ხელნაწერის შესახებ“
დაიბეჭდა J. A.-ში 1830 წ., ტ. 5, გვ. 257—284; ტ. 6, გვ. 373—394;
1831 წ., ტ. 7, გვ. 321—372. არის ცალკე ამონაბეჭდიც „ქართულ
შაირთათვის“. ამაზე ადრე, 1828 წ. მარი ბროსემ J. A.-ის ოქტომ-
ბრის №-ში, გვ. 277—294 დაბეჭდა „ამბავი პირველი როსტევიან
არაბთა მეფისა“. თარგმნილი ვეფხისტყაოსნიდან.

10. ი თ ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი—ბიოგრაფიული ცნობები მის შე-
სახებ არ მოგვეპოვება. გადმოცემით ის ცხოვრობდა თამარ მეფის
დროს. მათიანეს ცნობით იყო „ფილოსოფოსი, რიტორი... ლექსთა
გამომთქმელი“. იოანეს თხზულებათა შორის საყურადღებოა ოდა
„აბდულმესია“. საქ. ცენტრარქივში დაცულია ამ თხზულების ხელ-
ნაწერი. რომელსაც დართული აქვს შემდეგი ცნობა: „დიდისა თამარ
მეფას, გიორგი მეფის ასულისა, დავითიან ბაგრატიონისა და მეუღ-
ლისა მისისა ბაგრატიონისავე დავით მეფისა. სრულიად მპყრობე-
ლისა სამთა სამეფოთა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ხუთთა-
სამთავროთა—საათაბაგოსა, ოდიშისა, გურიისა, აფხაზეთისა, სვანე-
თისა და სხვათა და სხვათა მპყრობელისა შესხმა, აბდულ-მესია შავ-
თელისაგან (ესე მონა ქრისტესი) თქმული, რომელი იყო ადვილიდან

საათბაგოსათა. ამან მოართვა გელათიდან მეფასა თამარს, რომელი იყო მდივანი მეფა თამარისა და შემდგომად იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელად იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა ეკლესიასა (რომლისათვის იტყვის რუსთაველი შოთა, ვეფხვისტყაოსნის აღმწერელი, კაცი ბოძენი, ღვთისმეტყუელი და ფილოსოფოსი და მრავალთა ენათა ზედმიწევნლი: „აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“). (იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, II, 186. 1949 წ.).

ჩვენი ხელნაწერის ცნობას ეთანხმება თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაც: „აბდულ-მესიად“ ცნობილი თხზულება თეიმურაზს არ მიანიხნია იოანე შავთელის თხზულებად. ის მას დაკარგულად თვლის. რომელსაც გულმოდგინედ დაეძებდა თურმე მისი პაპა ერეკლეც.

აკად. კორნ. კეკელიძეც თავისი კვლევა-ძიებით იმ დასკვნამდის მივიდა, რომ „აბდულ-მესია“ არაა ის თხზულება, რომელიც ღღეს ამ სახელწოდებით არის ცნობილი. „ის რაღაც სხვა თხზულება ყოფილა. რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევიაო“ და იოანე შავთელიც ამ დაკარგული თხზულების ავტორად მიანიხნა (დაწვრილებით იხ. „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, 1958, გვ. 233).

11. ჩახრუხაძის თხზულებად თეიმურაზი, ალბათ, „თამარიანს“ გულისხმობს, რომელიც შეიცავს თამარ მეფის ქებასა და ხოტბას. ჩახრუხაძე, გადმოცემით, ცხოვრობდა თამარ მეფის დროს. ბიოგრაფიულ ცნობებს მის შესახებ ჩვენამდის არ მოუღწევია

„თამარიანი“ გამოცემულა ათჯერ: 1838 წ. (პ. იოსელიანი). 1863 წ. (დ. ჩუბინაშვილი), 1882 წ. (ზ. ჭიჭინაძე), 1900 წ. (ზ. ჭიჭინაძე). 1902 წ. (ნ. მარი), 1913 წ. (ს. კაკაბაძე), 1937 წ. (ს. კაკაბაძე). 1949 წ. (ს. ყუბანეიშვილი). 1957 წ. (ი. ლოლაშვილი) და 1960 წ. (ი. ლოლაშვილი).

12. ს ა ნ ტ მ ა რ ტ ი ნ ი—ანტუან-ჟანი სენ-მარტენი (1791 — 1832)—ფრანგი ორიენტალისტი, ავტორი რამოდენიმე კაპიტალური შრომისა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში. „სააზრო საზოგადოების“ სწავლული მდივანი. მ. ბროსე თავის თავს შეგვრდად აღიარებს.

13. ს უ ლ ზ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—გამოჩენილი ქართველი მეიგავე, დაიბადა 1638 წ. 24 ოქტომბერს. საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ქართული საერო და სასულიერო მწერლობა და უცხო ენებიც, 1698 წ. 18 მარტს ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის

ულაბნოში საბას სახელით. 1712 წ. ვახტანგ მეფეს ახლდა ისპანში. 1713 წ. 18 აგვისტოს დიპლომატიური მისიით გაემგზავრა საფრანგეთში, საიდანაც დაბრუნდა 1716 წ. 1724 წელს ვახტანგ მეფეს გაჰყვა რუსეთში. გარდაიცვალა მოსკოვში 1725 წ. 26 იანვარს. დასაფლავებულია ვსესვიატსკოეში.

14. თეიმურაზ მეორე—პოეტი და მეფე. დაიბადა 1700 წ. მამამისი იყო კახეთის მეფე ერეკლე პირველი. ხოლო დედა — ანა ჩოლოყაშვილის ასული. თეიმურაზი ქართლში გამეფდა 1744 წ. იგი რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო და უნდოდა თავი დაეღწია სპარსელების გავლენისაგან. ამ მიზნით გაემგზავრა რუსეთში 1760 წ. და თხოვნით მიმართა დედოფალ ელისაბედს, მაგრამ თეიმურაზს იმედი არ გაუმართლდა. გარდაიცვალა 1762 წ. პეტერბურგში, დასაფლავებულია ასტრახანში.

15. ბექდების წარწერა განმარტებებით მ. ბროსემ დაბეჭდა J. A.-ის მეცხრე ტომში 1532 წ. ლითოგრაფიული სახით. ვახტანგისა და სხვ. ბექდების წარწერანი და ზოგი ფაქსიმილე გამოაქვეყნა მ. ბროსემ იმავე ეურნალის 1833 წ. მეთორმეტე ტომში.

16. ამოღებულია „თამარინიდან“, სტროფი 9, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1937 წ.

17. ეს ლექსი ამოღებულია თეიმურაზ პირველის (1589—1663) „ვარდბულბულიანიდან“ (იხ. თეიმურაზ პირველი თხზულებანი. გამოცემული ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედ., 1934 წ., გვ. 4).

18. იხ. შენიშვნა 5.

19. იხ. შენიშვნა 15.

20. საუბარია თეიმურაზ ბაგრატიონის შრომაზე, რომელიც დაბეჭდა აკად. მარი ბროსემ J. A.-ში, 1832 წ. X ტომში (გვ. 168—190) სათაურით: „ქართული დროის აღრიცხვა, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოგზავნილი ხელნაწერის ნაწყვეტი“. ქართული წელთაღრიცხვის შესახებ იხ. მარი ბროსეს წერილი J. A.-ის იმავე ტომში, გვ. 526—532.

21. თეიმურაზ ბაგრატიონის მეუღლე იყო ელენე, ოთარ ამილახვარის ასული. რომელიც თეიმურაზმა შეირთო 1799 წ. მიწურულში.

22. პეტრიწი—იონე პეტრიწი, ქართველი ფილოსოფოსი და მეცნიერი, სამოღვაწეო ასპარეზზე ჩანს XI ს. გასულსა და XII ს. დამდეგს. სწავლა-განათლება მიიღო საბერძნეთში, კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ აკადემიაში. ფილოსოფიურ აზ-

როვნებაში ის მიმდევარი იყო მიქელ ფსელოსის და იოანე იტალი-
სა, რომლებიც ცდილობდნენ პლატონ-არისტოტელთან, ეკლესიურ
ავტორიტეტთა გვერდის ავლით, უშუალოდ მისვლას, „მათი ნაზრე-
ვის თანხმობაში მოყვანასა და ქრისტიანობის მიზნებისათვის საკუ-
თარი მეთოდით გამოყენებას“. ამიტომ მოწინააღმდეგეებმა პრძოლა
გამოუცხადეს იტალისა და მის მიმდევრებს, რაც იმით დამთავრდა,
რომ მიქელ ფსელოსი და იოანე იტალი შეჩვენებული და გაძევე-
ბული იქნენ საბერძნეთიდან. ხოლო იოანე პეტრიწმა თავი შეაფარა
სამშობლოს. მაგრამ მისი იდეოლოგია დაფარული არ აღმოჩნდა სა-
ქართველოში და აქაც დაუწყეს მას დევნა, რის გამოც იძულებულს
გახდა ერთხანს ისევ საბერძნეთისთვის შეეფარებინა თავი, ხოლო
მერე კი—პეტრიწონის მონასტრისათვის ბულგარეთში.

პეტრიწონის მონასტერში ის სათავეში ჩაუდგა სასულიერო სე-
მინარიას და რამდენიმე წელი განაგებდა მას (აქედან მიიღო სახელ-
წოდება პეტრიწი), მაგრამ თავისი ფილოსოფიური შეხედულებების
გამო აქაც დევნა დაუწყეს. ამიტომ იოანე პეტრიწი იძულებული გახ-
და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი. ამ დროს დავით აღმაშენებელმა
მოიწვია ის გელათში, სადაც დავითმა თავი მოუყარა საზღვარგარეთ
მყოფ ქართველ კულტურულ ძალებს. იოანე პეტრიწმა უკანასკნე-
ლი წლები გელათში გაატარა. აქ მან. დავით აღმაშენებლის ხელმძ-
ღვანელობით, ფართოდ გაშალა ლიტერატურული მუშაობა ისტო-
რიის, ლინგვისტიკის, ასკეტიკის, ჰაგიოგრაფიის, ლიტურგიკულ—
ბიბლიოლოგიის, ასტრონომიის, პოეზიისა და, რაც ყველაზე უფრო
საყურადღებოა, ფილოსოფიის დარგში.

23. პირველი მსოფლიო კრება იყო 325 წ. ნიკეაში, რომელსაც
დაესწრო 318 ეპისკოპოსი, უმთავრესად აღმოსავლეთ ქვეყნებიდან.
მთავარ საკითხად იყო ნიკეალებელ არიონის მოძღვრების განხილ-
ვა, რომელიც უარყოფდა ქრისტეს ღვთაებრიობას და აღიარებდა
მასში მხოლოდ ადამიანის ბუნებას. უარყოფდა აგრეთვე ღვთაებაში
პირველი და მესამე პირის თანასწორობას. ამ კრებაზე არიონის
მოძღვრება დაგმობილ იქნა. ამას გარდა, კრებამ დააწესა ყველა საქ-
რისტიანო ქვეყანაში ერთიანი დღე „აღდგომის“ სადღესასწაულოდ
და სხვ.

24. ჯვარის მონასტერი პალესტინაში გაშენდა 1025—1060
წლებში. ამ მონასტრის მშენებელი იყო პროხოზე. აქ ინტენსიური
ლიტერატურული მუშაობა წარმოებდა, რაც უმთავრესად ნათარგმნ
თხზულებათა გადაწერაში გამოიხატებოდა.

